

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

თეა ბურჭულაძე

შერწყმული წინადადება ქართულში



თბილისი
„ქართული ენა“

2005

რედაქტორი პროფ. თ. უთურგაიძე

ISBN 99940-851-5-8

© თ. ბურჭულაძე

შ ე ს ა გ ა ლ ი

1. შერწყმული წინადადების რაობა (ზოგადად)

საზოგადოდ მიღებულია აგებულების მიხედვით წინადადებათა დაყოფა ორ ჯგუფად: მარტივად და რთულად. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კი გამოყოფენ წინადადებათა სამ სახეს: მარტივს, შერწყმულსა და რთულს.

ჩვენი კვლევის საგანია შერწყმული წინადადება. იგი მიჩნეულია მარტივ და რთულ წინადადებათა საშუალო საფეხურად¹: სტრუქტურულად მარტივსაც შეესაბამება და რთულსაც უახლოვდება. ამიტომ მას ხშირად ცალკე ტიპად არც კი გამოყოფენ: აიგივებენ ან მარტივს, ან რთულ წინადადებასთან (ა. კიზირია, 1953, გვ. 203; დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ, საკითხის ისტორიის გადმოცემისას).

საყოველთაო განმარტებით, შერწყმულია წინადადება, რომელშიც მოიპოვება რამდენიმე ერთგვარი წევრი² (ლ. კვაჭაძე, 1966, გვ. 226). ერთგვარ წევრებს კი უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები (ა. დავითიანი, 1973, გვ. 176; სხვადასხვა ვარიაციებით იხ., მაგალითად, ლ. კვაჭაძე, 1966, გვ. 226 და სხვ.):

1. ერთი და იგივე ფუნქცია;
2. სინტაქსური მიმართება ერთსა და იმავე წევრთან;
3. ერთი და იმავე ნიშან-თვისების (სემანტიკური მიმართების) გამოხატვა³.

ამ ნიშნების მიხედვით გვაქვს რამდენიმე ერთგვარი ქვემდებარე,

¹ ქართული რთული წინადადების საფუძველი მარტივი და შერწყმული წინადადებაა. შერწყმული წინადადება განოზომიერი საშუალო საფეხურია. გარდამავალი რგოლია მარტივი წინადადებიდან რთულისაკენ (ა. ლონტი, 1975, გვ. 52 — დაყოფა ავტორისაა — მ. ბ.).

² ამ ტერმინს სასკოლო სახელმძღვანელოში წინ უსწრებდა ერთნაირი წევრი: „შერწყმული ჰქვია წინადადებას, რომელშიაც მოიპოვება რამდენიმე ერთნაირი წევრი“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 95; ა. შანიძე, 1955, გვ. 49).

³ ყველა ეს კი გულისხმობს ლექსიკურსა და გრამატიკულ შეხამებას, რომელიც ძირითადად მორფოლოგიური საშუალებებითაა გამოხატული (ა. დავითიანი, 1973, გვ. 173).

შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება, გარემოება. ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ერთგვარი წევრების არსებობა არ არის მთავარი და საკმარისი იმისათვის, რომ წინადადება შერწყმულად ჩაითვალოს. ვითარება იცვლება არაერთგვარ წევრებთან, რაზეც ქვემოთ გვექნება ცალკე მსჯელობა და სხვ.

შერწყმული წინადადების სხვა სახის წინადადებისაგან გასარჩევად მხოლოდ ერთგვარი წევრების არსებობა ან სპეციფიკური სასვენი ნიშნები არ გამოდგება. მართალია, შერწყმულ წინადადებაში გამოიყენება მძიმე, ორწერტილი, ტირე, კავშირები, რაც არ აქვს მარტივ წინადადებას, მაგრამ ეს ნიშნები გვხვდება განკერძოებულ სიტყვებსა და გამოთქმებთანაც. ასევე კავშირი (კერძოდ, მაერთებელი) იხმარება რთულ თანწყობილ წინადადებებშიც. ამიტომ მართა ამ ნიშნებს წინადადების სახეების გასარჩევად ვერ დავემყარებოდით. ისე კი შერწყმული წინადადების სპეციფიკის ერთი ძირითადი ნიშანი ერთგვარი წევრების არსებობა და მათი თანასწორუფლებიანობაა.

სანამ უშუალოდ ამ და ზოგ სხვა საკითხს შევხებოდეთ, მანამ, ბუნებრივია, განვიხილოთ შერწყმული წინადადების შესწავლის ისტორია ქართულში.

2. შერწყმული წინადადების შესწავლის ისტორიისათვის

ადრეული ხანიდანვე წინადადებათა აგებულების შესახებ საუბრისას ქართველი გრამატიკოსები წინადადების სახეებს შორის გამოყოფდნენ შერწყმულ წინადადებასაც, ოღონდ სხვადასხვა მკვლევარი მას ნაირგვარი ტერმინით აღნიშნავდა.

ანტონის გრამატიკაში წინადადების ორი სახეა გამოყოფილი — ს რ უ ლ ი და უ ს რ უ ლ ი: „სიტყუათანი რომელნიმე არიან სრულ და რომელნიმე არასრული“ (ანტონი, 1997, გვ. 130). მასვე აქვს გათვალისწინებული შეწყობა რამდენიმე ქვემდებარესთან შემასმენლისა რიცხვში: „თუ სადამე მრავალნი სახელნი, მონაბნი ურთიერთას, შევიდენ სიტყუასა შინა უფლად ზმნისა, მაშინ სათანადო არს, რათა ზმნა იყოსმცა მრავლობითად, მაგალ.: პარმენიონ, ფილატოს და კლიტოს მოიკლნეს

ალექსანდრესგან“ (ანტონი, 1997, გვ. 251-252).

ანტონი შენიშნავს (ანტონი, 1997, გვ. 269-270; ე. ბაბუნაშვილი, 1970, გვ. 219-220), რომ წინადადებაში შეიძლება იყოს და კავშირის მეშვეობით შეერთებული სიტყვები („მახლმან და ტყუშბამან და განძარცუამან და დაქცევამან აღსპო ტროადას შინა მკუდროაბანი და შუშნიერ\ შენებულებანი და ერმრავლობანი“), რომლებიც ერთი ფუნქციით გამოიყენებიან.

ანტონი იმასაც დასძენს, რომ ასეთ სიტყვებს შორის შეიძლება კავშირი არც იყოს და რომ ისინი ერთმანეთთან „თანად-შერთვით“, ანუ თანწყობით არიან დაკავშირებულიო (ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 153).

მაშასადამე, ჯერ კიდევ ანტონ ბაგრატიონთან შერწყმული წინადადების ბუნება ძირითადად წარმოდგენილია. ასეთ წინადადებაში ერთგვარი წევრები:

1. ერთი და იმავე ფუნქციისაა;
 2. დაკავშირებული არიან და კავშირის მეშვეობით (ამდენად, ასეთი წევრები თანწყობითაა („თანად-შერთვით“) შეერთებული);
 3. სინტაქსური მიმართება აქვს ერთსა და იმავე წევრთან;
- არა ჩანს მხოლოდ სემანტიკური მიმართების გამოხატვა და არც სათანადო ტერმინი გვაქვს¹.

გაიოზ რექტორი თავის „გრამატიკაში გამოყოფს მარტივსა და რთულ წინადადებებს: „მარტივი არს იგი, რომელსაცა შინა იპოვების ერთი ზმნა და ორნი სახელნი, ანუ ძალითად და ანუ მოქმედებითად მდებარენი; მაგალ. უფალმან შექმნა კაცი და სხუნანი“ (გ. რექტორი, 1970, გვ. 141-142). იქვე ავტორი გვთავაზობს რთული წინადადების განსაზღვრასაც: „ორნი მარტივი სიტყუნანი, ესე იგი არს ორნი პიროვანნი ზმნანი, გარდაებმიან ურთიერთისადმი ანუ კავშირითა, ანუ კულამოდებითა ნაცუალსახელითა და სხუნბითა; მაგალ.: „მე ვჰსწერ და შენ აღმოიკითხე“ (იქვე, გვ. 142).

მართალია, ანტონისეულ რთულ წინადადებაში შემავალი შერწყმული წინადადების ანალოგიური გაიოზ რექტორთან არა ჩანს, მაგ-

¹ ამდენად, აქაც ნათლად წარმოჩნდა ანტონი, „როგორც ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული სისტემის შემქმნელი, წარმომჩენი“ (თ. უთურგაიძე, 1999, გვ. 190). ქართული სინტაქსის ამ მონაკვეთშიც მისი როლი და დაშახურება ცხადია.

რამ წინადადებათა მარტივ და რთულ სახეობათა დაყოფაში ის ანტონს მისდევს. როგორც ჩანს, „ყველაზე დიდი გავლენა გაიოზზე მოუხდენია ანტონის გრამატიკას, ის არის გაიოზის გრამატიკის ძირითადი წყარო“ (ე. ნიკოლაიშვილი, 1970, გვ. 42).

იოანე ქართველიშვილის აზრითაც, წინადადება მარტივი ან რთულია. ერთგვარწევრებიანი წინადადება („განცხრომა და უქმობა მოაძღურებენ სხეულსა“) მასთან რთულია (ლ. წულაძე, 1963, გვ. 7; ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 153).

ს. დოდაშვილიც იმასვე ფიქრობს: ერთგვარწევრებიანი წინადადება რთულია, თუ მასში ერთზე მეტი ქვემდებარე ან შემასმენელია (შდრ. მარტივია წინადადება, რომელშიც გაერთიანებულია ერთი ქვემდებარე და ერთი შემასმენელი: „სიბრძნე არს მაღალი ნიჭი კაცისა“) (ს. დოდაშვილი, 1830, გვ. 79).

პლ. იოსელიანის აზრითაც, ერთგვარქვემდებარიანი წინადადება რთულია, რადგან ის მიღებულია ერთნაირი ზმნის მქონე ორი მარტივი წინადადების შეერთების საშუალებით. მაგ.: „რომული და რემ პირტული რომისა სამეფოდა მეფენი“.

ნავარაუდევია, რომ ეს წინადადება ორი წინადადების შეერთებით გამოხატავს ერთ აზრს (ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 153):

1. რომული იყო მეფე პირტული რომისა სამეფოდა.
2. რემ იყო მეფე პირტული რომისა სამეფოდა.

რა თქმა უნდა, აქ მოყვანილი ნიმუში რთული წინადადების საილუსტრაციოდ არ გამოდგება. „რომული და რემ პირტული რომისა სამეფოდა მეფენი“ ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებაა¹. ხოლო ორი ცალ-ცალკე მოყვანილი წინადადების შეერთება შერწყმული წინადადების მიღების ერთ-ერთი გზაა.

დ. ჩუბინაშვილისათვის „ჩემი დედ-მამანი და და-ძმანი მშვიდობით არიან“ ტიპის ერთგვარწევრებიანი წინადადებებიც რთულია (ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 149).

აგებულების მიხედვით წინადადებათა კლასიფიკაცია განსხვავებულია მონთობანს გამოცემულ ქართული ენის გრამატიკაში. აღსანიშნა-

¹ ერთგვარშემასმენლიანი წინადადებაც პლ. იოსელიანისათვის რთული წინადადებაა (ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 153).

ვია, რომ ნაშრომის ანონიმი ავტორი მიუთითებს: ერთ ფრაზაში იმდენი წინადადება იქნება, რამდენიც პირიანი ზმნა არის მასში წარმოდგენილი ან ნაგულისხმევი¹ (ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 149).

თედო ჟორდანიას შედგენილობის მიხედვით გამოყოფს 5 სახის წინადადებას: 1. მოკლე, 2. მარტივი, 3. ვრცელი, 4. გაერთებული, 5. რთული. აქ საინტერესოა თ. ჟორდანიასეული ტერმინი „გაერთებული“ წინადადება: გაერთებულაა წინადადება, თუ მასში რამდენიმე ქვემდებარეა და ერთი შემასმენელი ან პირიქით: რამდენიმე შემასმენელთან ერთი ქვემდებარე. ე. ი. აქ ფაქტობრივ ლაპარაკია შერწყმულ წინადადებაზე. ცხადია, ასეთი წინადადება განსხვავდება რთულისაგან (თ. ჟორდანიას, 1889, გვ. 34).

ასეთ წინადადებებში ქვემდებარეები და შემასმენლები გამოიყოფიან მძიმით, თუ მათ შორის არ არის კავშირი და. თუ გაერთებულ წინადადებაში ერთგვარი (ე. ი. ერთს კითხვაზე მიმგებელი) დამატებითი ან განმარტებითი სიტყვებია, ისინიც გამოიყოფიან მძიმით ან მათ შორის და კავშირი იქნება (თ. ჟორდანიას, 1889, გვ. 35).

პლ. იოსელიანის დარად, თ. ჟორდანიაც გაერთებულ წინადადებას ორი ან მეტი მარტივის გაერთიანების შედეგად მიიჩნევს. მაგ.: წინადადება „მზე და მთვარე მნათობნი არიან“ გაყოფილია ორად (თ. ჟორდანიას, 1889, გვ. 34; ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 154):

1. მზე მნათობი² არის
2. მთვარე მნათობია

გაერთებული წინადადებებია: „ზღვა სდულს, ჰლელაეს, მძვინვარებს“; „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია“; „სიცროვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (თ. ჟორდანიას, 1889, გვ. 35).

ანდრია ბენაშვილისათვის გაერთებულაა წინადადება, თუ მასში რამდენიმე ქვემდებარეა ან შემასმენელი (ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 154).

¹ შდრ. ამ ბოლო დროს გამოთქმული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც. „რამდენი ზმნა-შემასმენელიცაა, იმდენია პრედიატული ცენტრი წინადადებაში“ (რ. კიკაძე, 1995, გვ. 161).

² წიგნში მნათობის ნაცვალად მნაბი ფორმაა (თ. ჟორდანიას, 1889, გვ. 34)

წინადადებათა სხვა სახის დაჯგუფებას იძლევა სილოვან ხუნდაძე. მას ცალ-ცალკე აქვს წარმოდგენილი „წინადადებანი შედგენილობისამებრ“ და „წინადადებანი გვარისამებრ“. „წინადადებანი შედგენილობისამებრ“ არიან: 1. გაუვრცობელი, 2. გავრცობილი, 3. სრული, 4. ნაკლული, 5. მარტივი, 6. შეერთებული.

ს. ხუნდაძისათვის **შეერთებულია** წინადადება, თუ მასში ერთგვარი ნაწილი რამდენიმეა (რამდენიმე ქვემდებარე, რამდენიმე შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და სხვ.). მაგ.: „ლომი და მგელი, ძალი და მელა მეზობლად იდგნენ“ (ს. ხუნდაძე, 1915, გვ. 87-90). ეს წინადადება მართლაც ერთგვარი ქვემდებარეების მიხედვით არის შერწყმული. ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარეს „ვისრამიანის“ მიხედვით განიხილავს სხვაგანაც: „გაიხარებენ ასული ჩემი და ძე ჩემი“ (ს. ხუნდაძე, 1927, გვ. 54).

ზოგი მკვლევარისათვის **გაერთებული** წინადადება გულისხმობს ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელს ან პირიქით. ს. ხუნდაძე კი ასეთი ტიპის წინადადებაში (ე. წ. **შეერთებული**, როგორც ის მას უწოდებს) სხვა ერთგვარ წევრებსაც აერთიანებს. იგი უფრო უახლოვდება შერწყმული წინადადების დღევანდელ გაგებას. ავტორი ერთგვარ წევრებში ცხადად გულისხმობს როგორც რამდენიმე ქვემდებარესა და შემასმენელს, ასევე დამატებას, განსაზღვრებას და ა. შ. (ს. ხუნდაძე, 1915, გვ. 88).

მოსე ჭანაშვილი მარტივ და რთულ წინადადებათა გვერდით გამოყოფს **გაერთებულსაც**, სადაც რამდენიმე ქვემდებარე ან რამდენიმე შემასმენელია (ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 151). ე. ი. საუბარია ერთგვარქვემდებარიან და ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაზე.

თავისებურია რთულ წინადადებათა სახეები ა. ქუთათელაძესთან. იგი მასთან ორი სახისაა: 1. **გაერთებული** წინადადება (= შერწყმულს), 2. **შეერთებული** წინადადება, რაც დღევანდელი გაგებით თანწყობილიცაა და ქვეწყობილიც (ა. ქუთათელაძე, 1888, გვ. 19; იხ. აგრეთვე ლ. კვანტალიანი, 1990, გვ. 178).

ა. ქუთათელაძე ვაძლევს **გაერთებული** წინადადების განსაზღვრებასაც: „**გაერთებულია** წინადადება, რომელშიც ერთი ქვემდებარეა და რამდენიმე შესმენილი, ან რამდენიმე ქვემდებარეა და ერთი შე-

სმენილი, ან ერთი ქვემდებარე, ერთი შესმენილი და რამდენიმე ამხსნელი სიტყვა, რომელნიც მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზედ“ (ა. ქუთათელაძე, 1888, გვ. 20). იქვეა მოყვანილი სათანადო საილუსტრაციო მასალა: „ვის ეკადრება თავებთან კუდის ბზეკა და ლხენაო“; „ერთხელ კუ და მორიელი დამძობილდნენ“; „კაენი, აბელი და სეთი ადამის შვილები იყვნენ“ (ა. ქუთათელაძე, 1888, გვ. 19).

მ. კელენჯერიძის „პრაქტიკულ გრამატიკაში“ წარმოდგენილ მარტივ, შეერთებულ და რთულ წინადადებათაგან თავისებურია მარტივი წინადადების განმარტება, „სადაც მართო ქვემდებარე და შემასმენელია“ (მ. კელენჯერიძე, 1925, გვ. 15), რთულში გაერთიანებულია თანწყობილიცა და ქვეწყობილი წინადადებებიც (მ. კელენჯერიძე, 1925, გვ. 71). შეერთებული წინადადება კი მაშინაა, „როცა წინადადებაში რომელიმე წევრი რამდენიმეა“ (მ. კელენჯერიძე, 1925, გვ. 20). ე. ი. ასეთი შეიძლება იყოს რამდენიმე ქვემდებარე, რამდენიმე შემასმენელი, რამდენიმე დამატება, რამდენიმე განსაზღვრება, რამდენიმე სხვადასხვა სახის გარემოება და სხვა.

მართალია, ზოგი საილუსტრაციო ნიმუში არაზუსტია, მაგრამ ეს იმითაა გამოწვეული, რომ „კელენჯერიძისთან გათვალისწინებული არ არის ერთგვარ წევრთა თანწყობის (ანტონის მიხედვით „თანად-შერთვის“) წესით შეერთების აუცილებლობა, რაც არსებითი ნიშანია. ამის გარეშე ერთგვარ წევრებად შეიძლება გამოცხადდეს არაერთგვარი წევრებიც (მაგ. თეთრი საზაფხულო კაბა; წელს ზამთარში ადრე მოვიდა თოვლი). (ამის შესახებ იხ. ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 154-155).

ადრე ი. ნიკოლაიშვილი შერწყმულ წინადადებას რთულ წინადადებად მიიჩნევდა. მართალია, მას შერწყმულისათვის საკუთარი სახელი არ მიუცია, მაგრამ საილუსტრაციო მასალა ცხადად შერწყმულისაა (ი. ნიკოლაიშვილი, 1919, გვ. 45). თუმცა მასში საუბარო არ არის ერთგვარ წევრებზე:

„მთაწმინდა გულში იხუტებს / საშვილიშვილო სამარეს,
მამადავითსა ავედრებს, / აბარებს ქვეყნის მოყვარეს“.

მოგვიანებით კი, მისი აზრით, (ი. ნიკოლაიშვილი, 1928, გვ. 124 — დაკვირვება მოგვყავს ლ. კვანტალიანის ნაშრომის მიხედვით; ლ. კვანტალიანი, 1993, გვ. 155) წინადადებაში შეიძლება იყოს ორი ან მე-

ტი ერთგვარი წევრი. აქ მას ერთგვარშემასმენლიანი წინადადება მო-
ჰყავს რთული წინადადების საილუსტრაციოდ. ე. ი. ამ ავტორსაც შე-
რთული წინადადება რთულად მიაჩნია. ამიტომაც, რომ მას დამოკიდე-
ბულ წინადადებათა სახეების შემდეგ განიხილავს.

ი. ნიკოლაიშვილი, მსგავსად ზოგი წინამორბედი ავტორისა, შე-
რთულ წინადადებას ასე განმარტავს: „ისეთ წინადადებას, რომელშიაც
ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია, ან პირუკუ, რამდენიმე
ქვემდებარესთან ერთი შემასმენელი, ან წინადადების მეორეხარისხოვანი
ერთგვარი წევრი, შერთული წინადადება ეწოდება“ (ი. ნიკოლაიშვილი,
1928, გვ. 128). იქვეა საილუსტრაციო მასალა:

ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე ერთგვარი შემასმენელი:

„[ბუღბუღმა] ხან დაუსტვინა, ხან დაჰყეფა, ხან ზედ დაჰკენესა
საწყლად“.

ერთ შემასმენელთან რამდენიმე ერთგვარი ქვემდებარე:

„ლომი და მგელი, ძაღლი და მელა მეზობლად იღგენ ესენი ყვე-
ლა“.

ერთ შემასმენელთან რამდენიმე პირდაპირი დამატება:

„მოწაფეებს სკოლაში უფასოდ დაუარიგეს წიგნები, რვეულები,
კალმები, კალმისტრები და ფანქრები“.

აქ გაუგებარია, რატომაც მსჯელობა ცალ-ცალკე ერთგვარი
წევრებისა და შერთული წინადადების შესახებ, ეს უკანასკნელი განა
ერთგვარი წევრების შემცველი არ არის?

არნ. ჩიქობავა 1928 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში „მარტივი
წინადადების პრობლემა ქართულში“ წერდა: „ერთ (არა შეერთე-
ბულს) მარტივ წინადადებაში შეუძლებელია იყოს ორი ქვემდებარე“
(არნ. ჩიქობავა, 1968, გვ. 219). ანალოგიურ თვალსაზრისს ატარებს ის
მოგვიანებით სხვაგანაც: „ორი ქვემდებარე მხოლოდ შერთულ წინადა-
დებაში შეიძლება გვქონდეს“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 300). ცხადია,
მასთან შერთული შერწყმული წინადადების სინონიმია.

ილია სიხარულიძეს შერთული წინადადება მიაჩნია მარტივი
წინადადების ერთ-ერთ სახედ. მასთანაც ასეთი ტიპის წინადადებაში
რამდენიმე ერთგვარი წევრია: ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმე-
ნელი და პირიქით: ერთ შემასმენელთან რამდენიმე ქვემდებარე ან რამ-

დენიმე ამხსნელი სიტყვა. ერთგვარი წევრების დასაკავშირებლად ავტორი განიხილავს შემდეგ კავშირებს: და, არც, ან, აგრეთვე, როგორც, რაც, მაგრამ, არამედ. ასევე საუბარი აქვს სასვენი ნიშნების ხმარების წესებზე.

ი. სიხარულიძესთან არ ჩანს, თუ რატომ მიიჩნევს იგი შერთულ წინადადებას მარტივი წინადადების ერთ-ერთ სახედ; ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოგვაგონდეს შემდეგი ფაქტი: 1934 წ. თანამედროვე სტრუქტურული სინტაქსის უდიდესი წარმომადგენლის ლ. ტენიერის წიგნში „როგორ უნდა აიგოს სინტაქსი“ (რომლის დასრულებული ვარიანტი მისსავე „სტრუქტურული სინტაქსის ელემენტებშია“ (ლ. ენუქიძე, 1974, გვ. 50) შერწყმული წინადადება მარტივის ერთ-ერთ სახედაა მიჩნეული.

ლ. ტენიერს „ალფრედი და ბერნანდი ეცემიან“ ტიპის წინადადება მიაჩნია მარტივ წინადადებად, რომელიც გავრცობილია ერთგვარი წევრებით (ლ. ტენიერის სიტყვებია: „იუნქცია¹ არის რამდენიმე ერთგვარი კვანძის შეერთება, რომლის შედეგად წინადადება მდიდრდება ახალი ელემენტებით, ხდება უფრო გავრცობილი და, მამასადამე, იზრდება მისი სიგრძე“ — ტენიერი, 1988, გვ. 335). როცა ორი ბირთვი წინადადებაში გამოდის ერთი და იმავე ფუნქციით, მაშინ, ავტორის შეხედულებით, გვქონია ორად გაყოფა. წინადადებაში „ალფრედი და ბერნანდი ეცემიან“ ორი აქტანტი კი არაა (გასაგებია, ზმნა ერთვალენტიანია და ერთი აქტანტი უნდა ჰქონდეს), არამედ ორი ბირთვი აქტანტია (ლ. ტენიერი, 1988, გვ. 337).

გ. როგავას „მეზობელი მოვიდა და თქვა“ ტიპის წინადადება მიაჩნია ორშემასმენლიან წინადადებად (გ. როგავა, 1980, გვ. 278) და არა, ვთქვათ, შერწყმულად. ყოველ შემთხვევაში იმ წერილში ტერმინი შერწყმული არა გვაქვს. როგორც ჩანს, მკვლევარისათვის ასეთი ტრადიციულად ერთგვარშემასმენლიანი წინადადება ფაქტობრივად არაა ერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება, რადგან, მისივე თქმით, აღნიშნულ წინადადებაში „პირველი შემასმენელი — მოვიდა ზმნა გარდაუვალია და ქვემდებარე სახელს შეიწყობს საბ. ბრუნვაში — მე -

¹ იუნქცივი — მავრთებელი კავშირია, იუნქცია — „შვერთება“. „გავრთიანება“.

ზო ბელი მოვიდა, ხოლო მეორე შემასმენელი კი — თქვა გარდამავალი ზმნაა და ქვემდებარეს შეიწყობს ნამყო ძირითადის ჯგუფში მოთხრობით ბრუნვაში — მეზობელმა თქვა, ნაცვლად მეზობელი მოვიდა ამოსავალი კონსტრუქციისა“ (გ. როგავა, 1980, გვ. 278).

როგორც ჩანს, მკვლევრისათვის ასეთი ტრადიციულად ერთგვარ-შემასმენლიანი წინადადება ფაქტობრივად მხოლოდ ორშემასმენლიანია და არა ერთგვარწევრებიანი, თორემ ანალოგიურ წინადადებებს „ადილური ენის გრამატიკაში“ (გ. როგავა, ზ. კერაშევა, 1966, გვ. 407) გ. როგავა ადრე ერთგვარწევრებიანად მიიჩნევდა, ოღონდ ასეთ ტიპს — შედარებით ერთგვარწევრებიანად, როცა მის გვერდითა სრულად ერთგვარწევრებიანი (ზმნა-შემასმენლები ყველა გარდამავალია თავ-თავიანთი დამატებებითა და ერთი საერთო ქვემდებარით).

ცხადია, გ. როგავასათვის გამიჯნულია ერთმანეთისაგან სუბორდინაციული და კოორდინაციული მოვლენები (ამ მოვლენათა შესახებ საგანგებოდ ქვემოთ), რომელზედაც აგებულია საერთო წევრთა გამოყოფის ერთ-ერთი კრიტერიუმი.

აქამდე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში შერწყმული წინადადების სინონიმურ სახელწოდებებად გვხვდება: **გაერთებული, შეერთებული, შერთული.**

მართალია, შერწყმული წინადადების შესახებ გ. ახვლედიანი არას ამბობს, მაგრამ ამ სახის წინადადების მთავარი სტრუქტურული ერთეული — ერთგვარი წევრები მას ესმის როგორც **თანაგვაროვანი**: „საყურადღებოა... თანაგვაროვან წევრთა განმეორებისას თითოეული თანაგვაროვანი წევრი წარმოითქმება ამდლებული ტონით“ (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 139).

თანაგვაროვანი წევრის ნაცვლად ა. შანიძე ადრევე ხმარობდა ერთგვარს: „შერწყმულ წინადადებაში ეს წევრები უნდა ერთგვარი იყოს: თუ დამატებაა, რამდენიმე პირდაპირი, რამდენიმე ირიბი ან რამდენიმე უბრალო; უბრალოს შემთხვევაშიც დამატებები უნდა იყოს ერთგვარი, ე. ი. ერთი და იმავე შინაარსისა“ (ა. შანიძე,

1948, გვ. 95)¹, ამის გვერდითვე მასთანაა ტერმინი ერთნაირი (ა. შანიძე, დასახ. შრ., იქვე): „შერწყმული ჰქვია წინადადებას, რომელშიაც მოიპოვება რამდენიმე ერთნაირი წევრი“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 95).

ასევე პარალელურადაა ნახმარი ერთგვარი და ერთნაირი ტერმინები მის მოგვიანებით გამოცემაში (1955, გვ. 49). აშკარაა, რომ ეს ტერმინები სინონიმურად იხმარება. მაგ., ა. შანიძეს „შერწყმულ წინადადებაში“ მოცემულ ერთ სავარჯიშოს უწერია: „... ერთნაირ წევრებს ქვეშ ხაზი გაუსვით“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 104; სავარჯიშო 6), მეორეს კი — „... ერთგვარ წევრებს ქვეშ ხაზი გაუსვით“ (იქვე, გვ. 104).

ტერმინი „შერწყმული წინადადების“ გავრცელება ქართულ სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში ა. შანიძის სახელს უკავშირდება². შერწყმული წინადადება თარგმანი ჩანს რუსული „слитное предложение“-სი“ (ე. ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 196).

თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში იმაზეც მიუთითებენ, რომ „ტერმინი „შერწყმული“ ვერ ასახავს ამ წინადადების არსს, ამ სახის წინადადებაში ერთგვარი წევრების წარმოდგენასთან გვაქვს საქმე და არა წევრთა შერწყმასთან (შერწყმული სხვა გაგების, სხვა მნიშვნელობის მქონეა). ამიტომაც აჯობებდა ამ სახის წინადადებისათვის გვეწოდებინა ერთგვარწევრებიანი წინადადება, როგორც ეს რუსული ენის გრამატიკაშიაო“ (შ. თალაკვაძე, 1959, გვ. 317, სქოლიო). მაგრამ იმასაც აღნიშნავენ, რომ, რაკი „არ არის შეუძლებელი შერწყმული წინადადების მიღება რთულისაგან, ამდენად ტერმინი „შერწყმული წინადადება“ თითქოს გამართლებულია არა მარტო თავისი „გავრცელებულობის“ გამო, არამედ მისი წარმომავლობის გამოც (ა. კიზირია, 1953, გვ. 207).

¹ ა. შანიძის ეს წიგნი პირველი სასკოლო (და სამეცნიერო) სინტაქსის ცალკე წიგნად დაბეჭდილი სახელმძღვანელოა. ამის შესახებ თვითონაც აღნიშნავს: „ჩემი სასკოლო გრამატიკა, რომელიც პირველად 1939 წ. გამოვიდა, მეორედ 1941 წ. და მესამედ 1946 წ., მეოთხე გამოცემისას ორ წიგნად გაიყო: პირველი შეიცავს ფონეტიკასა და მორფოლოგიას (V-VI კლასის კურსს), მეორე კი — სინტაქსს (VII-VIII კლასის კურსს). სინტაქსი დიდად არის გადამუშავებული და საკმაოდ შევსებული“ (ა. შანიძე, 1948., წინასიტყვაობა, გვ. 11).

² პირველად ეს ტერმინი თავისი ქართული ენის სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაში (1939) იხმარა ა. შანიძემ, რის შემდეგ ის დამკვიდრდა ქართული ენის პროგრამებში, გრამატიკულსა თუ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 267).

ამისი უეჭველი ნიმუშები უკვე ძველ ქართულში იჩენს თავს (ა. კიზირია, 1953, გვ. 205; ა. კიზირია, 1969, გვ. 28). ამაზე გამოწველილვით ქვემოთ. აქ კი ერთი ნიმუში:

რთული თანწყობილი:

შერწყმული:

განიღუძა იოსებ ძილისა მისგან და ყო
ეგრე...

განიღუძა იოსეფ ძილისაგან და
ყო

და წარიყვანა მან ცოლი თუხი: DE მ,
1,24.

ეგრე... და წარიყვანა ცოლი
თუხი: C.

ეს ერთ-ერთი გზაა შერწყმული წინადადების მიღებისა და არა ერთადერთი. ამიტომაც საყურადღებოა უ. ყორღანაშვილის მოსაზრება (უ. ყორღანაშვილი, 1982), რომ იმ ავტორთათვის, რომლებიც ეთანხმებიან ტერმინს „შერწყმული“ მთავარია ამგვარ წინადადებათა მიღების გზა და ისტორია, ხოლო მათთვის, ვინც მხარს უჭერენ ტერმინს „ერთგვარწევრებიანი წინადადება“, ამოსავალია სინქრონული ფაქტი. თვით უ. ყორღანაშვილისათვის ორივე ტერმინი მისაღები ჩანს.

ლ. კვაჭაძის „ქართული ენის სინტაქსის“ უკანასკნელ გამოცემაში ამ ტერმინებს გარდა, ინერგება „შერწყმული (თანწყობილწევრებიანი) წინადადება (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 261). ეს ტერმინი ავტორთან გამართლებულია იმითაც, რომ წინადადებაში ერთგვარი წევრები (რუს. "предложение с однородными членами") ერთმანეთის მიმართ მუდამ თანწყობითაა დაკავშირებული. ამიტომაცაა, რომ ლ. კვაჭაძისათვის „შერწყმული წინადადება“ და „თანწყობილწევრებიანი“ სინონიმური მნიშვნელობის ტერმინებია (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 267).

ა. შანიძესთან ლ. კვაჭაძის თანაავტორობით გამოდიოდა და გამოდის სინტაქსის სასკოლო სახელმძღვანელოები, სადაც გამოყოფილია: რამდენიმე შემასმენელი ერთ ქვემდებარესთან, რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან, რამდენიმე ერთი შინაარსის დამატება, რამდენიმე განსაზღვრება და გარემოება ერთ საერთო წევრთან და ნარევი ტიპის შერწყმული წინადადება. განხილულია ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებები: მაჯგუფებელი, მაცალკეებელი, მაპირისპირებელი კავშირები და უკავშირო შეერთება. შემდეგ მსჯელობაა ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმებასა და ერთგვარ წევრთა განმაზოგადებელ სიტყვებზე... (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, 1987).

ანტონ კიზირიამ მიუძღვნა (1953, იკე, IV) შერწყმულ წინადადებას სპეციალური ნაშრომი „შერწყმული წინადადება ქართულში“, სადაც შერწყმული წინადადება შესწავლილია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში. მისი აზრით, შერწყმული წინადადება მარტივ და რთულ წინადადებათა საშუალო საფეხურია. აღსანიშნავია მის მიერ სპეციალურად გამოკვლეული შერწყმული წინადადების მიღების სამი გზა:

1. თანწყობილი წინადადების მეორე მარტივი წინადადების ქვემდებარე პირველი წინადადების ქვემდებარის განმეორება ჩანს და იგი ჩვეულებრივ ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი. ამ ნაცვალსახელის ამოღებით ეს რთული წინადადება შერწყმული ხდება.

2. თანწყობილი წინადადების პირველი თუ მეორე შემასმენლის კონვერსია.

3. თანწყობილი წინადადების ერთ-ერთი შემასმენლის ინვერსიულობა. ეს ხდება მაშინ, როცა თანწყობილი წინადადების ერთი მარტივი წინადადების ქვემდებარე მეორე მარტივ წინადადებაში იგულისხმება დამატებად ან პირუკუ.

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა ორგვარი შეერთებაა: კავშირიანი და უკავშირო. კავშირებად ფაქტობრივ ისინი არიან წარმოდგენილი, რომლებიც გვხვდებიან რთულ თანწყობილ წინადადებაში.

ნაშრომში შედარებულია შერწყმული წინადადება ძველსა და ახალ ქართულში:

1. ახალ ქართულში ერთგვარი ქვემდებარეები, ისევე, როგორც ძველ ქართულში, ჩვეულებრივ ითანხმებენ შემასმენელს მრავლობით რიცხვში.

2. ერთგვარი შემასმენლები ქვემდებარის მიერ იმართვიან პირში. ბრუნვაში ქვემდებარის მართვა დამოკიდებულია მის ადგილზე: თუ ქვემდებარე პირველ ადგილზეა, იმართვის უახლოესი მომდევნო შემასმენლისაგან (თუ ასეთ შემასმენლად გარდამავალი ზმნაა); თუ ქვემდებარე შუაშია ან ბოლოში, ასევე იმართვის წინამავალი შემასმენლისაგან.

3. ძველი ქართულისაგან განსხვავებით, მესამე პირის ერთგვარი პირდაპირი დამატებები (სახელობითში დასმული) შემასმენელს ვერ ითანხმებენ მრავლობით რიცხვში.

მ. თალაკვაძე „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდოლოგიაში“ (მ. თალაკვაძე, 1959) შერწყმული წინადადების სწავლების საკითხებსაც განიხილავს. საინტერესოა ავტორის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრები თანაბარუფლებიანია.

ლ. კვაჭაძე ზოგადად განიხილავს შერწყმული წინადადების რაობას „რთული წინადადების სწავლების მეთოდოლოგიაში“ (1950 წ.), სადაც მითითებულია მის მკვეთრ განსხვავებაზე რთულ წინადადებასთან მიმართებაში. ავტორი აღნიშნავს, რომ შერწყმული წინადადება მარტივ წინადადებათა შერწყმით არაა მიღებული, როგორადაც ეს მიჩნეული იყო ძველ სასკოლო გრამატიკებში. ამავე თვალსაზრისს იზიარებს ლ. წულაძე თავის წიგნში „შერწყმული წინადადების სწავლება სკოლაში“ (1963წ.), სადაც ნათქვამია: „საფიქრელია, რომ მარტივი და რთული წინადადებისაგან შერწყმულის მიღება დაიწყო გამოხატვის საშუალებათა გამარტივების მიზნით უკვე არსებული შერწყმული წინადადების კონსტრუქციის ბაზაზე“ (ლ. წულაძე, 1963, გვ. 13).

შემდგომში, 1966 წელს, ლ. კვაჭაძემ გამოსცა ფუნდამენტური ხასიათის ნაშრომი „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, სადაც ფართო ადგილი ეთმობა შერწყმულ წინადადებასაც: „ისეთ წინადადებას, რომელშიაც რამდენიმე ერთგვარი წევრი მოიპოვება, ერთგვარწევრებიანი ანუ შერწყმული წინადადება ჰქვია“ (გვ. 226).

შემდეგ ავტორი ცალ-ცალკე განიხილავს შერწყმული წინადადების ტიპებს: ერთგვარქვემდებარიანს, ერთგვარშემასმენლიანს, ერთგვარდამატებიანს, ერთგვარგანსაზღვრებიანს, ერთგვარგარემოებიანსა და შერეულს.

ლ. კვაჭაძე თავის ნაშრომში მეტად შეკუმშულად მიმოიხილავს როგორც ქართველ გრამატიკოსთა ნააზრევს შერწყმული წინადადების შესახებ (ანტონ I-დან მოყოლებული დღევანდლამდე), ასევე რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაში წარმოდგენილ არსებულ შეხედულებებს.

ავტორი ბოლოს განიხილავს „შერწყმული წინადადების ერთ განსაკუთრებულ შემთხვევას“, როცა ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულია რამდენიმე სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციის მქონე წევრი, რომლებიც ერთმანეთთან მაერთებელი კავშირით ან უკავშიროდ არიან შე-

ერთებული, როგორც ერთგვარი წევრები.

ლ. კვაჭაძემ თავისი ნაშრომი განავრცო და მესამე შევსებული გამოცემა დაისტამბა 1988 წელს, რომელშიც უფრო ფართოდაა განხილული შერწყმული წინადადება. დამატებულია ქვეთავი „ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შედგენილობა მთავარ წევრთა მიხედვით“, სადაც ავტორი იზიარებს გ. ბურკულაძისა და რ. ჭიკაძის თვალსაზრისს, რომლის თანახმად ქართულში შეიძლება გამოიყოს ერთ პირდაპირ დამატებასთან რამდენიმე ერთგვარი შემასმენელი (ასევე ირიბთანაც).

ამავე გამოცემაში ლ. კვაჭაძემ ყურადღება გაამახვილა ერთ განსაკუთრებულ შემთხვევაზე: ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულია სხვადასხვა სინტაქსური ფუნქციის მქონე წევრები, რომლებსაც ეწოდა „არაერთგვარწევრიანი შერწყმული წინადადება“ (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 260-261), სადაც გაერთიანებულია „გივი შადური მუღამ და ყველგან ბრალიანია“ ტიპის წინადადებები.

მეოთხე შევსებულ გამოცემაში ლ. კვაჭაძე (1996) სათაურშივე ერთგვარ წევრთა პარალელურად იყენებს ტერმინს **თანწყობილწევრებიანი** და შესაბამისად — შერწყმულ წინადადებას ასე განსაზღვრავს: „შერწყმული ანუ თანწყობილწევრიანი წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულ რამდენიმე ერთმანეთის მიმართ თანწყობილ წევრს“. მაშასადამე, ავტორმა ერთგვარ წევრთა ერთ-ერთ აუცილებელ პირობაზე (ერთმანეთთან თანწყობის საშუალებით დაკავშირება) შერწყმული წინადადების განმარტებაშივე მიუთითა.

70-იანი წლებიდან მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთგვარშემასმენლებიანმა წინადადებამ. რ. ჭიკაძეს (რ. ჭიკაძე, 1968, გვ. 43-45; 1984, გვ. 165-173; 1995, 192 გვ.) ერთ პირდაპირ დამატებასთან ან ირიბთან დაკავშირებული რამდენიმე შემასმენელის შემცველი წინადადება ჯერ შერწყმულად ჰქონდა მიჩნეული, ხოლო შემდგომ — რთული თანწყობილი წინადადების ქვეტიპად (1984, გვ. 165-173; 1995, გვ. 166-167).

იმავე საკითხს ეხება გ. ბურკულაძეც (1974, გვ. 4, 1975, გვ. 31, 1979, გვ. 145-171), რომელიც „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“ ტიპის წინადადებაში საერთო წევრად გამოყოფს მე-ს, რომელთანაც მნიშნავს

და მზრდის იმავე დამოკიდებულებაშია (შდრ. ერთი ქვემდებარე რამდენიმე შემასმენელთან), როგორშიდაც შეიძლება იყოს აგრეთვე ირიბი ობიექტი ანალოგიურ სიტუაციაში: „გული მიტოკავს და მკლავი მითრთის“.

ლ. ენუქიძე ნაშრომში „ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში“ მეორე თავის მეორე პარაგრაფში (1987, გვ. 125-129) განიხილავს შერწყმულ წინადადებას, საერთოდ, და, კონკრეტულად, ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებას, კერძოდ კი, ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელის დაკავშირებას.

ავტორი განიხილავს გ. ბურჭულაძის მოსაზრებას ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ და მხარს უჭერს ამ ტიპის წინადადებათა ცალკე გამოყოფას, თუმცა შენიშნავს, რომ მისთვის ერთგვარშემასმენლებიანი წინადადება, ქვემდებარე იქნება საერთო წევრი თუ პირმიმართი დამატება, რთული თანწყობილი წინადადების ქვეტიპია (1987, გვ. 127).

ლ. კვანტალიანი ნაშრომში „ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები“ ს ერთ-ერთ თავში „ქართული წინადადების კომპონენტთა განლაგებისათვის“ (1990, გვ. 70-74) ზოგადად ეხება შერწყმული წინადადების საკითხს, ემყარება რა გ. ბურჭულაძის ზემოთ განხილულ ნაშრომს, განიხილავს „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“ წინადადებას, როგორც პირმიმართი დამატების მიხედვით შერწყმულ წინადადებას.

ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ შეიძლება „პირველი ზმნის სუბიექტი მომდევნო ზმნასთან ობიექტად იქნეს და პირიქით. ასეთი შეერთების შედეგია სპეციფიკური რიგის თანწყობილი წინადადებები, რომლებიც ზეპირ მეტყველებაშიც გვხვდება და მწერლობაშიც: „შენ ხარ უკვდავი ვენახი, გჩეხეს და მაინც ვენახობ“, „აჰა, შეგვხვდი, მიცანი, გიცანი და ბასტა!...“

ლ. კვანტალიანი აანალიზებს შემდეგი სახის წინადადებასაც: „ფრიქვე ტიროდა, ცრემლი და ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მაგრამ მაინც ჭიუტად მიიწევდა წინ“; „იგონებდა ვერისა და ორთაქალის სალხინო სახლებს და გულზე მუშტს იბაგუნებდა, მაგრამ აღარც ჯანი

მოსდევდა, აღარც წელი, აღარც ჯიბე, ველარც გლეხურ ცხოვრებას მიუღდა“. ავტორის აზრით, „ასეთი თანწყობილი წინადადებები მიღებულია ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადების გაკვეთის გზით. მეორე პრედიკატული ერთეული კვეთს შერწყმულ წინადადებას პირველ შემასმენელთან. თუ ჩართულ კომპონენტს ამოვიღებთ, გვჩვენება ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადება“.

ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმულ წინადადებაში ჩართული მარტივი წინადადება მთავარი წევრებით გამოჩნულია შერწყმულისაგან, როცა მასში ერთპირიანი ზმნით გადმოცემული პრედიკატია, — აღნიშნავს ავტორი. მაგ.: „ის მიიპარებოდა ღობესთან, გასცქეროდა ალგუნებულის თვალებით ნუნუს სახლს, მაგრამ იქ არაინ მოჩანდა და იმედგაწყვეტილი ბრუნდებოდა ისევ მაღალ ბალახებში“.

შერწყმული წინადადების სახეობათა რიცხვი, როგორც ვხედავთ, გაიზარდა. ეს ტენდენცია სპეციალურ ლიტერატურაში ცხადად შეიმჩნევა ვ. იმნაიშვილის ნაშრომში „შერწყმული წინადადების ერთი სახეობისათვის“ (1988, გვ. 158-170). აქ ყურადღება გამახვილებულია და კავშირით არაერთგვარ წევრთა ერთმანეთთან შეერთებაზე. ეს საკითხი ადრევეც იყო სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი (მაგ.: ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 299-301), მაგრამ ცალკე კვლევის საგნად იგი წარმოდგენილია ვ. იმნაიშვილის ზემოთ დასახელებულ შრომაში. ამასთან დაკავშირებით ავტორი გვთავაზობს შემდეგ განმარტებას: „შერწყმულია წინადადება, რომელიც შედგება რამდენიმე ერთგვარი ან თანწყობილი შეერთებული არაერთგვარი წევრისაგან“ (1988, გვ. 170)¹.

ბ. ლემონჯავამ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაცულ დისერტაციაში — „შერწყმული

¹ რა თქმა უნდა, ალბათ საჭიროა თანწყობით და არა თანწყობილი; ჩანს კორექტურაა. ამის შესახებ საგანგებოდ აღნიშნავს თვით ავტორი სხვაგან: „იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რომ ფრაზაში გაპარული აშკარა კორექტული შეცდომაა უცვლელადაა გადმოღებული: უნდა იყოს თანწყობით, არის კი თანწყობილი“ ვ. იმნაიშვილი, 2000, გვ. 196). იქვე ამ რიგის უკვე ჩვენივე კორექტურის ორიოდ შემთხვევაზეა საუბარი... მაგ., ერთგან მიგვანიშნებს: „ციტატა 150-ე გვერდზე კი არა, 147-ზეა“ (ვ. იმნაიშვილი, იქვე, გვ. 196). თუმცა პატივცემულ მკვლევარს ამავე სტატიაში თვითვე გაპარვია ანალოგიური კორექტურული შეცდომა; უთითებს: გ. ბურკულაძე, 1979, გვ. 143... უნდა იყოს გვ. 145... ამ წერილის ზოგ მხარეზე ჩვენ ქვემოთ სპეციალურად აღნიშნავთ თავში „არაერთგვარწევრებიანი წინადადება“.

წინადადება ზანურში ქართულთან მიმართებით“ (ბ. ლემონჯავა, 1997) — ყურადღება გაამახვილა, ერთი მხრივ, ზანურსა და ქართულში იდენტურ მოვლენებზე, მეორე მხრივ კი, იმ განსხვავებებზე, რაც წარმოჩნდა ამ ენებს შორის. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბ. ლემონჯავას რამდენიმე სტატია (1996, 1996ა, 1997).

შერწყმული წინადადების კონკრეტულ თეორიულ საკითხებს ვეხებოდით ჩვენც: „შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა გაგებისათვის“ (1998); „ერთგვარ განსაზღვრებათა გაგებისათვის“ (1999); „ერთი სახის ურთიერთგანმსაზღვრელ წევრთა შესახებ“ (1999ა); „არაერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებათა შესახებ“ (2000), „არაერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებათა ისტორიისათვის“ (2000ა).

3. გზა შერწყმულ წინადადებაზე

გზა, რომელიც გაიარა შერწყმულმა წინადადებამ, რთულია და ყოველთვის ძნელია მისი ჩვენება. ჩვენამდე მოღწეული ძველი სამწერლო ენის ძეგლების მიხედვით, შერწყმული წინადადება ზოგჯერ მომდინარეობს რთულ თანწყობილ წინადადებათაგან. ამას ადასტურებს ქართული ოთხთავის სხვადასხვა რედაქციის შედარება. ამ დროს ჩანს, რომ ზოგი თანწყობილი წინადადება სხვა რედაქციაში შერწყმული წინადადებითაა გადმოცემული (ა. კიზირია, 1969, გვ. 28). „ასეთ შემთხვევაში თანწყობილი წინადადების მეორე მარტივი წინადადების ქვემდებარე პირველი წინადადების ქვემდებარის განმეორება ჩანს და იგი ჩვეულებრივ ნაცვალსახელითაა წარმოდგენილი. ამ ნაცვალსახელის ამოღებით ეს რთული წინადადება შერწყმული ხდება“ (ა. კიზირია, 1953, გვ. 205).

მაგალითად, ძველ ქართულში ერთ ვარიანტში რთული თანწყობილი წინადადებაა:

„განიღუჰა იოსებ ძილისა მისგან და ყო ეგრე... და წარიყვანა მან ცოლი თჳსი¹“: DE მთ 1,24;

„და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა იგიცა“: C მკვ 12,21;

¹ აქ და შემდეგ, მაგალითები ძველი ქართული ენიდან მოგვყავს ა. კიზირიას ნაშრომიდან „შერწყმული წინადადება ქართულში“ (იკვ. IV, 1953).

„მაშინ დედაჲ უფლისა ჩნისა იჲჲ ქსი ლმობიერ იქმნა და შეწუხნა იგი“: არმ. 67, 16-17;

მეორე ვარიანტში კი — შერწყმული:

„განიღძა იოსეფ ძილისაგან და ყო ვგრე... და წარიყვანა ცოლი თჳსი“: C; „და მეორემან შეირთო იგი და მოკულა“: DE;

სხვა შემთხვევაში, თუ თანწყობილი წინადადებიდან ამოვიღებთ ნაცვალსახელს, მივიღებთ შერწყმულს:

„მაშინ დედაჲ უფლისა ჩნისა იჲჲ ქსი ლმობიერ იქმნა და შეწუხნა“;

ახალ ქართულში ამ რიგის ნიმუშები დღესაცაა:

„**ორივენი** ჩაჩუმდნენ და **ორივენი** მაინც კიდევ გაოცებულნი იმეორებდნენ ოცნებაში გუშინდელს საოცარს ამბავსა“ (ილია, გვ. 122);

„**ორივენი** დაჩუმდნენ, **ორივენი** **დარწმუნდნენ**...“ (ილია, გვ. 123); „**მე** გლებკაცს გუშინდელი ბალღივით კი არ შევხარი, ანგელოზია-მეთქი, **მე** ვსინჯავ, **მე** ვჩხრეკავ“ (ილია, გვ. 301); „**მეც** ვიწვი, **მეც** ვიტანჯები“

(ყაზბ., გვ. 119); „ყველა საქვეყნო საქმეს **ის** ნათლავს, **ისა** ზრდის, ჰკვებავს (ჯავ., გვ. 112).

გამეორებული ქვემდებარის ამოღებით (რაც ეკონომიის შედეგია) გვრჩება შემდეგი სახის შერწყმული წინადადებები:

„**ორივენი** ჩაჩუმდნენ და მაინც კიდევ გაოცებულნი იმეორებდნენ ოცნებაში გუშინდელს საოცარს ამბავსა“; „**ორივენი** დაჩუმდნენ, **დარწმუნდნენ**“; „**მე** გლებკაცს გუშინდელი ბალღივით კი არ შევხარი, ანგელოზია-მეთქი, ვსინჯავ, ვჩხრეკავ“; „**მეც** ვიწვი, ვიტანჯები“; „ყველა საქვეყნო საქმეს **ის** ნათლავს, **ზრდის**, ჰკვებავს“.

ანალოგიური ფაქტები დასტურდება დიალექტებშიც. მაგ.:

ქართლური: „... მინდორში **ზოგი** ხნამენ, **ზოგი** ტრაქტორ ამუშავებენ, **ზოგი** ლეწამენ, **ზოგი** მკიან...“ (დიალექტ. გვ. 283);

იმერხეული: „ცხენი მუყუყვანა **ქელოლლანმა**, 'დუღუბა', თავით **ქელოლლანმა** ფერუზეთ ხანუმასთან დაწვა“ (დიალექტ. გვ. 386);

ზემო აჭარული: „... **ხალხ** კატული არ ქონდენ, ბრუწუმალ ქამდენ **ხალხი**“ (დიალექტ. გვ. 395);

მოხეური: „კაცის **ფასი** არ შაფასდების, მაგრამა **ფასი** კი მაინც უნდების...“ (დიალექტ. გვ. 37) და სხვ.

აქაც გამეორებული ქვემდებარეების ამოღებით ვიღებთ შერწყმულ წინადადებას.

ა. კიზირიას მიერ მოყვანილია ისეთი მაგალითებიც, სადაც სხვადასხვა ქვემდებარეებს შეეწყობა ერთი და იგივე შემასმენელი:

„სუფევად საუკუნოდ შუება არს დაუსრულებელი, რომელსა არა შეუთქს მწუხარებად და სიმდიდრედ, რომელსა არა შეუთქს საღმობად და სიხარული, რომელსა არა შეუთქს ურვად და სიმრთელედ, რომელსა არა შეუთქს საღმობად და მეფობად, რომელსა არა შეუთქს აღსასრული და მშჯობად, რომელსა არა შეუთქს შიში და ცხორებად“ (ა. კიზირია, 1953, გვ. 206).

განმეორებული შემასმენლებისა და ირიბი დამატების (რომელსა არა შეუთქს) ამოღებით ვიღებთ შერწყმულ წინადადებას:

„სუფევად საუკუნოდ შუება არს დაუსრულებელი, რომელსა არა შეუთქს მწუხარებად და სიმდიდრედ, საღმობად და სიხარული, ურვად და სიმრთელედ, საღმობად და მეფობად, აღსასრული და მშჯობად, შიში და ცხორებად“.

ანალოგიურია ქართულ დიალექტებში დადასტურებული ზოგი შემთხვევა:

ხევსურული: [ეგ გაჯდა ცხრა ცხვარი] და შემდეგ: „ის სამ ცხვარ გვერდის სამჯდომროდ ახ, სამ ცხვარ საფლავ-სამარის სამჯსნელი ახ, სამ ცხვარიც ჭვარ-ჭვარისკრის სამჯსნელი ახ“ (დიალექტ. გვ. 12).

მთიულური: „შენი ჭირიმე, ცხორს მოგცემ, ძროხას მოგცემ...“ (დიალექტ. გვ. 58).

ა. კიზირია განიხილავს სხვა ხერხებსაც ამ ტიპის წინადადების მისაღებად. მაგალითად, შესაძლოა შერწყმულის მიღება რთული თანწყობილი წინადადების პირველი თუ მეორე შემასმენლის კონვერსიით, რის შედეგად „თანწყობილი წინადადების ერთ-ერთი მარტივი წინადადების პირდაპირი დამატება ქვემდებარედ გამოვა, ან, პირიქით, — ქვემდებარე დამატებად იქცევა და მერე დაიკარგება“ (ა. კიზირია, 1953, გვ. 205). მაგ.:

ძველ ქართულში თანწყობილია:

„ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ ნებითა ღმრთისაგათა და აკურთხეს იგი“;

„შევიდა და უბყრა ჯული მისი და აღდგა ქალი იგი“: C მთ 9,25.

შერწყმულია:

„ხოლო ნეტარი გრიგოლ დაემორჩილა მათ ნებითა ღმრთისადთა, იკურთხა ხუცად ვედრებისაებრ მვედრებელთა მისთაჲსა“: გრ. ხანძთ. ეი; „შევიდა და უბყრა ჯული მისი და აღადგინა ქალი იგი“: DE.

ახალ ქართულში თანწყობილია:

ქართულ გამოთქმაშია: „ვირს პიტნა სძულდა და ცხვირში ატენინდნენო“;

მოხეურ დიალექტშია: „... ცხოს დასწევ, ცხო ამაფრინდება“ (დიალექტ. გვ. 31).

შერწყმულია:

ვირს პიტნა შესძულდა და ცხვირში ეტენებოდაო; ცხო დაიწევა, ცხო ამაფრინდება → ცხო დაიწევა და ამაფრინდება.

მაშასადამე, შერწყმული წინადადების მიღებას თანწყობილ წინადადებათა წვერების შემცირების გზით, ჩანს, თვით ქართულ დიალექტებში აქვს საფუძველი.

ესაა შერწყმული წინადადების მიღების მეორე გზა, რომელსაც ენის ეკონომიურობის პრინციპი განაპირობებს.

არის შერწყმული წინადადების მიღების მესამე გზაც, რომელიც შედარებით ახალი ჩანს. ეს თანწყობილი წინადადების ერთ-ერთი შემასმენლის ინვერსიულობაა. ამის შედეგად თანწყობილი წინადადების ერთი მარტივი წინადადების ქვემდებარე მეორე მარტივ წინადადებაში იგულისხმება დამატებად ან პირიქით (ა. კიზირია, 1953, გვ. 206). მაგალითად, ძველ ქართულშია:

„შენ ჩემი ხატი დაამკუ, და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ, და შენი ადგილი დაგიტევებიეს“: შუშ. 13₉;

„მიიწია ვიზოის პავლე იპატოსი და აქუნდა ბრძანებაჲ მეფისაჲ“: კიმ. 82₁₉.

ავტორი აღნიშნავს, რომ პირველი რთული თანწყობილი წინადადება ახალ ქართულში გაგებულია შერწყმულად სწორედ ერთ-ერთი შემასმენლის ინვერსიულობის გამო: შენ დაამკუ... გარდაასხ... დაგიტე-

გებოეს... და ა. შ. (იქვე, გვ. 206).

ამდენად, შერწყმული წინადადების რთული თანწყობილ წინადადებათაგან მიღების რამდენიმე გზა დადასტურდა¹. განსაკუთრებით ფასეულია ის, რომ ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით ეს ფაქტობრივად წარმოდგენილი. ამას მხარს უმაგრებს დიალექტების მონაცემებიც (ასევე გაბმული მეტყველების ნიმუშებიც), რაც შერწყმული წინადადების წარმოშობის ქართულ ნიადაგზე მიუთითებს.

¹ შერწყმული წინადადების რთული თანწყობილისაგან მიღებაზე შესაძლოა ისიც მიგვანიშნებდეს, რომ შერწყმულსა და თანწყობილ წინადადებაებში მასალობრივ ერთი და იგივე კავშირები გამოიყენება. ამიტომაც აღნიშნავენ სპეციალურ ლიტერატურაში: „შერთებული კავშირი მონაწილეობს შერწყმულ და თანწყობილ წინადადებათა კონსტრუქციაში, — ამიტომ შეიძლება მისთვის შერწყმა-თანწყობის კავშირიც გვეწოდებინა“ (შ. ძიძიგური, 1989, გვ. 22).

თავი I

§.I.1. ერთგვარი წევრების რაობა. სპეციალურ ლიტერატურაში ერთგვარ წევრების განსაზღვრისას აღნიშნავენ, რომ ერთგვარნი არიან „... ისეთი წევრები, რომლებიც ასრულებენ ერთნაირ სინტაქსურ ფუნქციას, შინაარსობლივად ერთნაირად მიემართებიან ერთ საერთო წევრს, მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე და ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან თანწყობის საშუალებით“ (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 225).

მაშასადამე, ამ წესების დაცვით, ერთგვარწევრებიანი იქნება შემდეგი წინადადებები:

I. ერთგვარქვემდებარეობა:

„აღამიანს ვარაში და ჳირი ალაპარაკებს“ (ილია, გვ. 271); „აკობრიული მოპყრობა და სამართლიანობა მათ გულს საიმედოდ დაიმორჩილებს“ (ყაზბ., გვ. 37); „მარაბდელეები, ქოტიხელები, ფარცხელები და ახლო-მანლოელნი ზაალის კარავს შემოეხვივნენ“ (ჯავ., გვ. 53);

II. ერთგვარშემასმენლობა:

„ოთარაანთ ქვრივი ამაზედ ძალიან ჳნადგლობდა და სწუნდა“ (ილია, გვ. 529); „ყველა მის თვალწინ იბადება, იშლება, იფურჩქნება“ (აკაკი, გვ. 13); „თავათ არაბია კი მიჯირითებდა, მიგელავდა, მიკუნტრუშებდა“ (გამს., გვ. 129);

III. ერთგვარდამატებობა:

„ერთხელ ფრიად ღირსაცნობი სჯა და ბაასი გამართეს“ (ილია, გვ. 37); „ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც ალგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას“ (აკაკი, გვ. 70); „მთელი სოფლის გარემო გაქედილი იყო ურმებითა და ცხენებით“ (გოგებ., გვ. 14);

IV. ერთგვარგანსაზღვრებობა:

„იაგო ყოჩაღი, გულადი და მოაზრებული ბიჭი იყო“ (ყაზბ., გვ. 203); „შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალნი ვებეტბოდით სოფლის ორღობებში უპატრონოდ“ (ილია, გვ. 237); „... ყური ვუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის...“ (კალ., გვ. 300);

V. ერთგვარგარემოებანი:

„აღრე და შალე აიგავოს მტვერსავით ეს ობოლი თავი“ (ილია, გვ. 189); „ისინი დასხდებოდნენ ხოლმე რომელიმე მთის ფერდობზედ ან სერზედ“ (ყაზბ., გვ. 101); „... დავდივარ უსამსახუროდ და უფულოდ თბილისის ქუჩებში“ (ასათ., გვ. 384); „მე მინდა ცეცხლი ზეციით-გარდმო ზრახვათა ჩემთა შირქმად და შერთვად“ (კალ., გვ. 99); „მადლობას უთვლიდა ერთგულებისა და მორჩილებისათვის“ (აკაკი, გვ. 356);

VI. ნარევი:

„ქალი და კაცი, მოხუცი და ყრმა, მაღალი და დაბალი, ყველა ერთხმად ადიდებდნენ ღმერთს და აქებდნენ გმირებს“ (აკაკი, გვ. 177); „გეტყვე დიანბეგს, ნაჩაღნიკსა და ქალსაც წაძეყვან“ (ყაზბ., გვ. 23); „კოქლი და ბრმა შიდიოდნენ, შიადგნენ ერთ მდინარეს“ (გოგებ., გვ. 14); „წარამარა ქკვიანურ ამბებს ეკთხებოდა, ნიჰსა და განათლებას უქებდა“ (გამს., გვ. 50).

ამ წინადადებებში ერთგვარი წევრები მიემართებიან საერთო წევრს: I ტიპის წინადადებებში შემასმენლებს, II ტიპისაში — ქვემდებარეებს, III ტიპისაში — შემასმენლებს და ა. შ. გარდა ამისა, ეს ერთგვარი წევრები მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე და ყველა წევრი ერთმანეთთან დაკავშირებულია თანწყობის საშუალებით. მაგრამ წევრთა ერთგვარობისათვის არ არის საკმარისი მარტო ის, რომ ისინი ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებდნენ. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც ერთი კითხვა დაესმით ერთი სახელწოდების არაერთგვარ წევრებსაც (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 225). მაგ.:

„დედამ იყიდა თეთრი საწაფხულო კაბა“

ამ წინადადებაში პირდაპირ დამატებასთან (კაბა) ორი ატრიბუტული განსაზღვრებაა: თეთრი და საწაფხულო. მათ ერთი და იგივე კითხვა დაესმით: როგორი? მიუხედავად ამისა, ისინი არ ჩაითვლებიან ერთგვარ წევრებად, კერძოდ, ერთგვარ განსაზღვრებებად, რადგან მათ შორის შ ი ნ ა ა რ ს ო ბ ლ ი ე ვ ი განსხვავებაა: თეთრი ფერს აღნიშნავს, საწაფხულო — შესაბამისობას დროსთან. ე. ი. შინაარსობლივად ერთნაირად არ მიემართებიან საერთო წევრს (კაბა). მაშასადამე, დარღვეულია ერთგვარ წევრებისათვის დამახასიათებელი ერთი

ნიშანი. გარდა ამისა, საზაფხულო უშუალოდ განსაზღვრავს პირმართ დამატებას (როგორი კაბა? — საზაფხულო კაბა? — თეთრი საზაფხულო კაბა).

ერთგვარწევრებიან წინადადებად ვერ ჩავთვლით ისეთ წინადადებასაც, სადაც ერთი და იგივე სიტყვა რამდენჯერმე მეორდება ექსპრესიულობის გასაძლიერებლად (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 227). მაგ.:

„წინ, წინ გასწით მეგობრებო!“

ერთგვარ წევრებად არ ჩაითვლება აგრეთვე ტოლადშერწყმული სიტყვები. მაგ.:

„წირვა-ლოცვას უიმისოდაც არ ვაკლდებოდი...“ (ილია, გვ. 108); „ვილაცა კაცმა ცოლ-ქმრის არშიყობას თვალი შეჰყრა...“ (ყაზბ., გვ. 598).

ეს წინადადებები შერწყმული იქნებოდა, თუ ასე ვიტყვოდით:

„წირვასა და ლოცვას უიმისოდაც არ ვაკლდებოდი“; „ვილაცა კაცმა ცოლისა და ქმრის არშიყობას თვალი შეჰყრა“.

ერთგვარი წევრები უმეტესად ერთი და იმავე მეტყველების ნაწილით გადმოიცემა. მათ ჩვეულებრივ გრამატიკული ფორმაც ერთი აქვთ. მაგრამ რადგან ერთი და იგივე წევრი შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილით და სხვადასხვა ფორმით, ერთგვარი წევრებიც ზოგჯერ სხვადასხვა მეტყველების ნაწილს განეკუთვნება და ფორმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგ.:

„ყინული და ცეცხლი ერთმანეთს არ დალევენ“ (ილია, გვ. 40);

აქ ორი ერთგვარი ქვემდებარეა (ყინული, ცეცხლი), რომლებიც არსებითი სახელით არიან გადმოცემულნი და მათ გრამატიკული ფორმაც ერთნაირი აქვთ: ორივე მხოლოდით რიცხვშია და სახელობით ბრუნვაში დგას.

წინადადება „მე და პეპია ვიყავით მარტო უბედურნი“ (ილია, გვ. 208) შერწყმულია ქვემდებარეების მიხედვით (მე, პეპია). ერთი წევრი გადმოცემულია უბრუნველი ნაცვალსახელით (მე), მეორე კი — არსებითი სახელით (პეპია). ორივე წევრი სახელობით ბრუნვაშია, ოღონდ

სხვადასხვა მეტყველების ნაწილითაა გადმოცემული¹.

შესაძლებელია შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრები ერთი და იმავე მეტყველების ნაწილით იქნეს გადმოცემული, მაგრამ რიცხვით განსხვავდებოდნენ. მაგ.:

„ელგუჯა წყნარად გავიდა გზის ნაპირად და ბუჩქებში...“ (ყაზბ., გვ. 21); „სტუმრებმა და მასპინძელმაც გაოცებით დამიწყეს ყურება“ (აკაკი, გვ. 76); „ამ ველზე ოდესღაც დადიანისეული ტყე იყო, გაუვალი ჭაობები, ლისი, ლაქაში და უნაყოფო ეწერი“ (გამს., გვ. 162).

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი შეიძლება იყოს როგორც მთავარი, ისე მეორეხარისხოვანი წევრები: თუ დამატებაა, რამდენიმე პირდაპირი, რამდენიმე ირიბი ან რამდენიმე უბრალო დამატება. მაგ.:

„დაიწყეს ჩემი სახელით ძარცვა და ავაჯაკობა იმ არემარეში“ (ყაზბ., გვ. 213); „ის ერიდებოდა ძიძიას სახელის გატენას, მოყვინებას ქვეყანაში“ (ყაზბ., გვ. 530); „ხმლითა და ხანჭლით... საწყალს სამარე გავუჩიქნე“ (ილია, გვ. 209);

პირველ წინადადებაში ერთგვარი დამატებები პირდაპირია, მეორეში კი — ირიბი, მესამეში — უბრალო.

თუ ერთგვარ წევრებად გარემოებები გვაქვს, აქაც ყველა გარემოება ერთი სახისა უნდა იყოს: ყველა ან დროისა, ან ადგილისა, ან ვითარებისა და ა. შ. მაგ.:

„ხვალ თუ ზეგ ჩემი ცოლი იქნები...“ (ყაზბ., გვ. 103); „ხალხი სიმღერით გროვდებოდა ძეწნების და ტირიფების ქვეშ“ (კილ. წვ. 171); „ისინი მიდიოდნენ უზრუნველად, სიცოლით და მხიარულად...“ (ყაზბ., გვ. 363)...

ერთგვარი წევრები შეიძლება იყოს: 1) გაუვრცობელი, 2) გავრცობილი მიმყოლი სიტყვებით (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 226). მაგ.:

„[ის]... ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე“ (ილია, გვ. 245);

¹ ამიტომაც, გამოთქმული მოსაზრება, რომ „ერთგვარი წევრები ძირითადად ერთსა და იმავე კითხვას იკვებებს, გადმოიცემიან ერთი და იმავე მეტყველების ნაწილითა და ერთი და იმავე ფორმით“ (შ. თალაკვაძე, 1959, გვ. 318), ჩვენი აზრით, მოითხოვს დაზუსტებას: ძირითადად „იკვებებს“ ზმნა-შემასმენელთაა, თუ ივარაუდება „გადმოიცემიან“ პრედიკატთან.

ამ წინადადებაში ერთგვარი წევრები (კერძოდ, შემასმენლები) გაუვრცობელია.

„აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები...: ტალახიანი ყარაბადული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალობა-ლახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“ (ილია, გვ. 36);

ეს წინადადება შერწყმულია ქვემდებარეების მიხედვით. ყველა ქვემდებარეს ახლავს განსაზღვრება: ქონიანი შანდალი, თეთრი წაღები, სპილენძის თუნგი, ზურგიელის ნაჭერი. ზოგ გავრცობილ ქვემდებარეს კიდევ თავისი განსაზღვრება ახლავს (ტალახიანი ყარაბადული თეთრი წაღები; პირმოტეხილი სპილენძის თუნგი...). ე. ი. ერთგვარი ქვემდებარეები გავრცობილია ატრიბუტული თუ სუბსტანტიური განსაზღვრებებით.

ზოგჯერ წინადადების ერთი და იგივე წევრი შინაარსით განსხვავებულია ერთმანეთისაგან (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 225). მაგ.:

„სახლიდან ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდან ხასაფლაომდე კუბო არჩილს ეჭირა“ (ილია, გვ. 107); „ორი ბიჭი ყანიდან მოდიოდა სოფლისაკენ“ (გოგებ., გვ. 12); „ვანოს მამა დილით ადრე ურმით ქალაქს მიდიოდა“ (გოგებ., გვ. 16); „მთილამ ბარად მომდინარი არწივი მის კენწეროზედ ისვენებდა“ (ვაჟა, II, გვ. 53);

პირველ წინადადებაში ორი ადგილის გარემოებაა: **სახლიდან ეკლესიამდე და ეკლესიიდან ხასაფლაომდე**. თითოეულში ორ-ორი ადგილის გარემოებაა გაერთიანებული, რომელთაგანაც პირველნი (სახლიდან, ეკლესიიდან) **გ ა მ ო ს ვ ლ ი ს პ უ ნ ქ ტ ს** აღნიშნავენ, მეორენი (ეკლესიამდე, ხასაფლაომდე) კი — **მ ი წ ე ვ ნ ი ს ა ს**. ასევეა მეორე და მეოთხე წინადადებებშიც (ყანიდან, სოფლისაკენ, მთილამ, ბარად); მესამეში კი ორი დროის გარემოებაა (დილით, ადრე).

გამაერთიანებელ წევრს, რომელსაც მოსდევს ერთგვარი წევრები, შეიძლება ახლდეს **და ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ უ ლ ი წ ე ვ რ ი (წევრები)**. მაგ.:

„მთელი მიღეთის **ხალხი** სულ მანდ დაწანწალებს: **თათარი, ყიზილბაში, ურია, ოსი, სომეხი...**“ (ილია, გვ. 168);

ამ წინადადებაში არის ექვსი ერთგვარი ქვემდებარე (**ხალხი, თა-**

თარი, ყიზილბაში, ურია, ოსი, სომეხი), რომელთაგანაც გამაერთიანებელი სიტყვაა: **ხალხი**. ამას კი ახლავს ორი განსაზღვრება „მთელი“ და „მილეთის“.

„შერწყმულ წინადადებაში შესაძლებელია საერთო წევრი არ გვქონდეს, მაგრამ იგი იგულისხმებოდეს წინა ნათქვამისა თუ ზმნის მიხედვით“ (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 227). მაგ.:

„დანახვა მისი მაკვირვებს და არ მალელებს, მაციებს და არ მათბობს“ (ილია, გვ. 22); „ამ სიტყვების შემდეგ ჩოხის კალთები ჩაიკეცა ქაშარში, გადაიგდო თოფი მხარზედ და გასწია ქვეშეთისაკენ“ (ყაზბ., გვ. 80);

მეორე წინადადებაში გამოტოვებული საერთო წევრი ქვემდებარეა (**მან**), პირველში კი — პირდაპირი დამატება (**შე** მ-აკვირვებს, მ-ალელებს, მ-აციებს, მ-ათბობს).

ერთგვარი წევრები გულისხმობენ **შემაერთებელ** წევრსაც (ა. კი-ზირია, 1953, გვ. 203). მაგალითად, ერთგვარქვემდებარიან, ერთგვარდამატებიან ან ერთგვარგარემოებიან წინადადებებში შემაერთებელი წევრია შემასმენელი, ერთგვარშემასმენლიან წინადადებაში კი — ქვემდებარე, ერთგვარგანსაზღვრებიანში — ქვემდებარე ან წინადადების სხვა რომელიმე სახელური წევრი. ცხადია, **შემაერთებელი** წევრი **საერთო** წევრია. მაგ.:

„მშვენიერი **სალამო**, ნათელი **მთვარე** და ნაზი **ბუნება** განმარტოებულ ოცნებისათვის **იზიდავდა** კაცს“ (ყაზბ., გვ. 99); „უკანასკნელმა მიხრწნილმა ხმამ კი კიდევ **ლანძღვა** და **წყევლა** **გააგონა** უსამართლო მტარვალებს“ (ყაზბ., გვ. 277); „ისინი **მიდიოდნენ** **მხიარულად**, **სიმღერით** და თოფის **ხროლით**“ (ყაზბ., გვ. 491); „**დამშეული**, **გაწვალელებული**, **დაღონებული** რუსის **ჭარი** გამაგრდა მინდორზედ“ (ყაზბ., გვ. 391); „**მათთა** **გამოვიდა** საიასაულოდგან, წყნარა **გაიარა** მინდორი და არაგვის პირად **ჩავიდა**“ (ყაზბ., გვ. 100).

მ. თალაკვაძის აზრით, ერთგვარი და არაერთგვარი წევრების გასარკვევად შეიძლება გამოყენებული იყოს ასეთი ხერხი: თუ ამ წევრთა შორის შეიძლება და კავშირის ჩასმა აზრის, სტილის დაურღვევლად, ასეთი წევრები ერთგვარია და, პირიქით, თუ არ გამოიყენება —

არაერთგვარი წევრები იქნება¹ (მ. თალაკვაძე, 1959, გვ. 317) მაგ.:

„ერთი ოთახი მისი მოწყობილობით, საკმლით, სასმლით მომირთმევია“ (აკაკი, გვ. 96).

ამ წინადადებაში მოწყობილობით, საკმლით, სასმლით ერთგვარი წევრებია. მათი ერთმანეთთან შეერთება შეიძლება და კავშირით: მოწყობილობითა და საკმლით, საკმლითა და სასმლით, მოწყობილობითა და სასმლით.

წინადადებაში „მხატვარი ტილოზე საღებავით სურათის დასახატავად ფუნჯს ამზადებს“ რამდენიმე უბრალო დამატებაა (ტილოზე, საღებავებით), მაგრამ ისინი არ არიან ერთგვარი წევრები. ამიტომაც აქ და კავშირს ვერ გამოვიყენებთ.

ამასთან ერთად, უთუოდ გასათვალისწინებელია ვ. იმნაიშვილის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, „როგორც ჩანს, ალბათ შერწყმული წინადადების განმარტებაში რაღაცნაირად უნდა იყოს მითითებული (მინიშნებული), რომ მთავარი წევრების გამაერთიანებელი საერთო წევრი თვითონ არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი, მათზე დაბალი რანგისა. ერთგვარი წევრები თავისი მნიშვნელობით არ უნდა აღემატებოდეს გამაერთიანებელ, შემკრებ წევრს“ (ვ. იმნაიშვილი, 1988, გვ. 159; ხაზგასმა ავტორისაა — თ. ბ.).

ერთსა და იმავე წევრთან დაკავშირებული ერთნაირი ფუნქციის მქონე რამდენიმე სიტყვა ყოველთვის არ იძლევა შერწყმულ წინადადებას. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ „გუშინ დედამ მე დამტუქსა, შენ კი მამამ შეგაქო“ რიგის წინადადებათა შერწყმის შესახებ (ერთ საერთო დროის გარემოებასთან რამდენიმე შემასმენელი) მსჯელობა არაა მართებული, რადგან ქართულში წინადადება, არნ. ჩიქობავას მიხედვით, არის შესიტყვება აგებული ზმნისა და სახელისაგან კოორდინაციისა და მართვის საფუძველზე (ამის შესახებ: გ. ბურჭულაძე, 1979, გვ. 150, სქოლიო 23).

ზემოთ მოყვანილ ნიმუშში ერთგვარ წევრებსა (შემასმენლები: დამტუქსა, შეგაქო) და გამაერთიანებელ წევრს (დროის გარემოება — გუშინ) შორის მხოლოდ მირთვია. „მართალია დადებით სინტაქსურ

¹ შევნიშნავთ, რომ პრინციპულად მართებული ეს წესი ყველგან არ ამართლებს. უფრო გამოწვლილვით იხილეთ: „არაერთგვარწევრებიანი წინადადება“.

ურთიერთობებთან (როგორცაა მართვა და შეთანხმება) შეპირისპირებისას მირთვაც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთობის ნოლ-ფორმად (არნ. ჩიქობავა, 1968, გვ. 223), მაგრამ მ ი რ თ უ ლ ს ი ტ ყ ვ ა ს ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ზ მ ნ ა - შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ე ბ ზ ე რ ა ი მ ე გ ა - ვ ლ ე ნ ის მ ო ხ დ ე ნ ა “ (გ. ბურჭულაძე, 1979, სქოლიო 25, გვ. 150 — დაყოფა ავტორისაა — თ. ბ.).

ქართული წინადადება რომ შესიტყვებაა აგებული სწორედ კოორდინაციისა და მართვის საფუძველზე, ამისი საფუძველი ქართული ზმნის ბუნება, მისი მრავალპირიანობაა. ორ- და სამპირიანი ზმნა-შემასმენლები და მასთან დაკავშირებული (ანუ ძირითადი კოორდინანტები) MS და MO (დიდი, მცირე და უმცირესი კოორდინანტები), ზოგნი რომ აქტანტებს¹ ეძახიან, იგივეა, რასაც წინადადების ბირთვის ეძახიან (გ. ბურჭულაძე, 1990, გვ. 229).

უფრო ადრე თამაზ გამყრელიძე წერდა: „წინადადების ბირთვი განისაზღვრება როგორც ზმნური ფორმა მასთან გარკვეული წესით დაკავშირებული სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელებით ან ნაცვალსახელებით“ (თ. გამყრელიძე, 1979, გვ. 36).

თუ ნათქვამს დავაზუსტებთ იმით, რომ სუბიექტურ პირთა მიმართება ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან ცალკეა განსახილველი (სადაც სუბორდინაცია გვაქვს) ორ და სამპირიან ზმნა-შემასმენელთან ცალკე (სადაც კოორდინაციაა), მაშინ ეს შერწყმულ წინადადებათა მიმართაცაა გამოსაყენებელი.

„შესავლის“ ქვეთავში „შერწყმული წინადადების შესწავლის ისტორიისათვის“ ჩვენ საგანგებოდ მოვეხმეთ გ. როგავას შეხედულებას „მეზობელი მოვიდა და თქვა“ ტიპის წინადადებაზე. აქ ავტორი ასეთ წინადადებას ორშემასმენლიანს უწოდებს და არა შერწყმულს.

იქ მოყვანილი მსჯელობა ცხადად მიგვანიშნებს, რომ გ. როგავა მიჭნავს ერთმანეთისაგან ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ და კ ო ო რ დ ი - ნ ა ც ი უ ლ მოვლენებს“ (გამოწვლილვით ზემოთ, გვ. 11). გასაგებია,

¹ ტერმინი აქტანტი მოდის ლ. ტენიერისაგან და ქართულ სპეციალურ ლიტერატურაშიც გზას იკაფავს (მაგ. იხ.: ლ. ენუქიძე, 1974, გვ. 50-56). ამ ტერმინს იყენებდა თავის სალექციო კურსში „ქართული ენა“ პროფ. თ. უთურგაიძე, რომლის თანახმად, აქტანტი უფრო ფართე ცნებაა, ვიდრე სუბიექტი ან ობიექტი, ან უბრალო ობიექტი — იგი ყველას აერთიანებს. ანუ ქმედებაში ჩართულ ყველა სახელს.

რომ ერთგვარ წევრთა განსაზღვრისას ეს მომენტიც გამოვიყენოთ.

ასე რომ, როცა ვამბობთ, რომ ერთგვარი წევრები ფუნქციურად და სტრუქტურულად იდენტური უნდა იყვნენ¹, უპირველესად ამას ვგულისხმობთ.

ამასთან დაკავშირებით განვიხილოთ დაწვრილებით შემდეგი ტიპის წინადადება:

„ბახულიამ დააგდო ხის ძირას კოდალ-ბზეკალი, იქვე ბალახებში ჩააწყო საგძალი... შესკუბდა საქანელაზე და დაიწყო თითონ ქანაობა“.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ აქ ქვემდებარე (ბახულიამ) მართავს შემასმენლებს პირში, რაც სათანადო მორფოლოგიური ნიშნითაა გამოხატული ზმნაში (დააგდ-ო, ჩააწყ-ო, შესკუბ-ა, დაიწყ-ო) და ითანხმებს რიცხვში (დააგდ-ეს..., ჩააწყვ-ეს..., შესკუბ-ნენ..., დაიწყ-ეს...). თვითონ კი მართულია უახლოესი ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში, როცა ეს უკანასკნელი გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული (გ. ბურკულაძე, 1979, გვ. 147).

შეიძლება აევაგოთ ამ ტიპის წინადადების სქემა რელევანტური ნიშნების მიხედვით:

	I ზმნა	II ზმნა	III ზმნა	IV ზმნა
გვარი ან გარდამავლობა-გარდაუვლობა	მოქმედებითი	მოქმედებითი	ენებითი	მოქმედებითი
პირის მორფოლოგიური მახასიათებელი	ო	ო	ა	ო
მართვა ბრუნვაში	მოთხრობითი	მოთხრობითი	—	მოთხრობითი
ობიექტი	0 ^d	0 ^d	—	0 ^d
პირთა რაოდენობა	2	2	1	2
დრო	წარსული	წარსული	წარსული	წარსული
მწკრივი	წყვეტილი	წყვეტილი	წყვეტილი	წყვეტილი

ერთგვარი წევრების განსაზღვრის მიხედვით, ერთგვარშემასმენლიან წინადადებაში მხოლოდ ის შემასმენლები არიან ერთგვარნი, რომლებისთვისაც საერთოა გარდამავლობა-გარდაუვლობა (გვარი), პირის რა-

¹ თ. უთურგაიძე, „ქართული ენის“ სალექციო კურსიდან.

მელობის მარკირება, მართვა ბრუნვაში¹, წინააღმდეგ შემთხვევაში ირ-
ღვევა ერთგვარ წვერთა ფუნქციური და სტრუქტურული იდენტურობა.

შეენიშნავთ, რომ, ამ სქემის მიხედვითაც, ზემოთ მოყვანილი წი-
ნადადება მთლიანად ვერ ჩაითვლება შერწყმულად, რადგან აღმოჩნდა,
რომ:

1. ყველა შემასმენელი მართულია ქვემდებარის მიერ III პირში
= ო ნიშნით (დააგდ-ო, ჩააწყ-ო, დაიწყ-ო), როცა შესკუბდა -ა ნიშნი-
თაა მართული. შდრ. ბახულია... აგდებ-ს, იწყებ-ს... და სკუბდებ-ა

¹ რაკი ესაა ჩემს მიერ ჩათვლილი რელევანტურად, ამიტომაც მოთხოვნა თუ ყველა
კატეგორიაა ზმნება და მათი ნიშნები აბსოლუტურად იდენტური უნდა იყოს,
მაშინ, ალბათ, შერწყმული წინადადება თითქმის აღარ შემოგვრჩება ხელთ.
მაშინ ხომ არა მხოლოდ შემასმენელს, არამედ ქვემდებარესა და პირმამართ
დამატებებსაც, გარემოებებსაც და ა. შ. უნდა წაუყუენოთ ზემოთ მოყვანილი
მოთხოვნები?! თუ ასე ვაგაგრძელებთ, მაშინ, ვთქვათ, ერთგვარ ქვემდებარეებს
უნდა მოვთხოვათ, რომ ყველა ერთნაირად კვეცადა იყოს ან უკვეცადა,
კუმშვად ან უკუმშველად, ანდა ყველა სულიერი, უნდა გამოვირცხოთ
ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის ერთდროული დაკავშირება შემასმე-
ნელთან და ა. შ. (ე. იმნაიშვილი, 2000, გვ. 195. ხაზგასმა ჩემია — თ. ბ.). ყველა ეს
ჩამონათვლი განა სინტაქსურ ურთიერთობებს ასახავს..., მისი სფეროა?

უვიკრობთ, ზმნის კატეგორიების გათანაბრება კვეცასა და უკვეცელობასთან აქ არ
იყო მოსაძინი, რადგან ისინი სრულიად განსხვავებული ენობრივი მოვლენებია: ზმნის
კატეგორიები გრამატიკას განეკუთვნება, კვეცა-უკვეცელობა კი — მორფონოლოგიას.
მორფონოლოგიური ცვლილებები ცვლიან მორფოლოგიურ ერთეულებს ვარიანტის ღონეზე
და არა გრამატიკული შინაარსის ღონეზე. რაც შეეხება ცოცხალი-არაცოცხალის
დაპირისპირებას, ზოგჯერ ეს, მართლაც, არსებითია, კერძოდ, ცოცხალი სახელი თანდებულთ
უბრალო დამატებას გვაძლევს (აღამიანში, ნადირში; აღამიანზე, ნადირზე...), როცა მის
აღვილზე უსულ სახელი გარემოებას გამოხატავს (მინდორში, მინდორზე...) (ანალოგიურ
შემთხვევათა შესახებ იხ. ე. კოზორიძე, 1985, გვ. 113-121). ეს ჩვენთვის პერიფერიული
მოვლენებია და არა მთავარი. ჩვენთვის არსებითია გრამატიკული კატეგორიები, რადგან
სწორედ მათი საშუალებით ელიდება „სინტაქსური მექანიზმის“, როგორც არნ. ჩიქობავა
იტყვდა, განსაზღვრა, ანუ გრამატიკული ურთიერთობის სახეთა დადგენა სინტაქსურ წვეილში
(სინტაგმაში).

რაც შეეხება ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის (ჩვენ დავემატებდით,
ნებისმიერი შეტყველების ნაწილის!) ერთდროულ დაკავშირებას შემასმენელთან, ეს
აუცილებელია მაშინ, თუ ისინი გრამატიკულად (კატეგორიების მიხედვით!) ერთსა და
იმავე ფუნქციას ასრულებენ, თუ არა, მაშინ არსებითი სახელებიც ანდა
ნაცვალსახელებიც ვერ შექმნიან ერთგვარ წვერებს...

სწორედ ამიტომ უნდა იყოს, რომ ერთგვარ შემასმენლიან წინადადებათა
გამოყოფისათვის იმ ენებში, სადაც ზმნა პოლიპერსონალურია, საჭიროა
გათვალისწინებელი იქნას გარდამავლობა-გარდაუვლობა, ზმნის პირიანობა, ზმნა-
შემასმენლის მიერ სახელის ბრუნვაში მართვა და სახელის მიერ ზმნა-შემასმენლის პირში
მართვა და რიცხვში შეთანხმება... ასეა, მაგალითად, ადიღურში ერთგვაროვან
შემასმენელთა განსაზღვრისას (გ. როგავა, ზ. კერაშვეა, 1966, გვ. 406-408).

(აქაც შესკუპდა სხვა მორფემითა მართული).

2. ყველგან მოქმედებითი გვარის ზმნაა, შესკუპდა გამო-
ნაკლისია; იგი ვნებითი გვარისაა.

3. ყველა გარდამავალ ზმნას ახლავს ობიექტი, შესკუპდა —
უ ო ბ ი ე კ ტ ო ა.

4. ყველა ზმნა ორპირიანია და გარდამავალი, შესკუპდა — ერ-
თპირიანი და გარდაუვალა.

5. გარდამავალ ზმნებთან ქვემდებარე მართულია მოთხრობით
ბრუნვაში (ბახულია-მ), გარდაუვალთან კი — ქვემდებარე იგულისხმება
სახელობითში (ბახულია შესკუპდა).

ამ განსხვავებული ნიშნების გამო ასეთ წინადადებას ვერ ჩა-
ვთვლით შერწყმულად: ერთი ქვემდებარე რამდენიმე შემასმენელთან (ე.
წ. ერთგვარშემასმენლიანი წინადადება). აქ ნამდვილ შერწყმულ წინა-
დადებასთან თანწყობით დაკავშირებულია სხვა წინადადება, (ჩავსვათ:
ბახულია შესკუპდა საქანელაზე) ანუ: ერთ შერწყმულს + ჩვეულებრივი
მარტივი წინადადება — ეს უკვე თანწყობილი წინადადებაა.

ე. ი. ფორმობრივი ანალიზის მიხედვით გვჩვენებს შერწყმული? რა
თქმა უნდა კი (თუნდაც ეს წინადადება „ბახულია შესკუპდა საქანელა-
ზე“-ს გარეშე).

ყოველივე აქედან ჩანს, რომ საჭიროა ერთგვარ წევრთა დეფინი-
ციაში კორექტივის შეტანა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ უზუსტობებს
აგვაცილებს:

1. ერთი და იგივე სინტაქსური ფუნქცია.
2. ერთნაირი სინტაქსური მიმართება საერთო წევრთან (რომე-
ლიც მორფოლოგიურადაც ერთნაირად რეალიზდება)¹.
3. ერთგვარ წევრთა ერთმანეთთან თანწყობით დაკავშირება
(უკავშიროდ ან კავშირით).

¹ „ქართულ ენაში სინტაქსური თავისებურებანი მორფოლოგიურ თავისებურებათა
პირდაპირი შედეგია“ (ლ. ენუქიძე, 1967, გვ. 127). ამას ადრევე აღნიშნავდა არნ.
ჩიქობავა: „... ქართული ზმნის სირთულე არის ის საფუძველი, რომელზედაც
აღმოცენებულია ქართული ფრაზის შედგენილობისა და მქანის თვისებურება:
თავისებური მორფოლოგია იძლევა თავისებურ სინტაქსს“ (არნ. ჩიქობავა, 1998, გვ. 27).
ეს იმიტომ, რომ საზოგადოდაც „ვენებისურ პლანში სინტაქსია დამოკიდებული
მორფოლოგიაზე“ (არნ. ჩიქობავა, 1977, გვ. 9). ამიტომაც, არ უნდა იყოს მიუღებელი
სინტაქსური ბუნების გასარკვევად მორფოლოგიის მოხმობა.

4. ერთი და იმავე ნიშან-თვისების (სემანტიკური მიმართების) გამოხატვა¹.

§.I.2. შერწყმული წინადადების ტიპები (ზოგადად). როგორც აღვნიშნეთ, შერწყმულია წინადადება, რომელშიც რამდენიმე ერთგვარი წევრია. ჩვენ ვიმსჯელებთ ერთგვარი წევრების რაობაზეც. ერთგვარი წევრი შეიძლება იყოს წინადადების ყველა წევრი და ამის მიხედვით შერწყმული წინადადება მრავალგვარია. გვაქვს შემდეგი ტიპები:

1. ერთგვარქვემდებარიანი;
2. ერთგვარშემასმენლიანი;
3. ერთგვარდამატებიანი (ერთგვარი პირდაპირი დამატებები, ერთგვარი ირიბი დამატებები, ერთგვარი უბრალო დამატებები);
4. ერთგვარგანსაზღვრებიანი (ატრიბუტული, სუბსტანტიური, პრედიკატული);
5. ერთგვარგარემოებიანი (აღვილისა, დროისა, ვითარებისა და ა.შ.);
6. ნარევი;

სამეცნიერო ლიტერატურაში კიდევ გამოყოფენ შერწყმული წინადადების ერთ ტიპს; ეს არის არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება.

მაშასადამე, შერწყმული წინადადების ტიპები სხვადასხვაგვარია. მაგალითები:

ა) რამდენიმე ქვემდებარე ერთ შემასმენელთან:

„იმას არ დაიტირებდნენ არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესაობა“ (ყაზბ., გვ. 277)

არც ცოლი


არც შვილი

არ დაიტირებდნენ

არც ნათესაობა


„ცხენი და მე ერთად დავეცით დედამიწაზედ“ (ილია, გვ. 214);

¹ მართალია, შერწყმულ წინადადებაში, არც თუ იშვიათად, წევრთა ერთგვარობის დარღვევის ნიშნად მოჰყავთ სტილისტიკური დარღვევების შემთხვევები (იხ. დაწერილებით: ნ. ბასილაია, 1991, გვ. 313-315). მაგრამ ერთგვარ წევრთა დადგენისას მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუმცა სხვადასხვა სახის სტილისტიკური დარღვევა ფაქტია გაბმულ მეტყველებასა და იმ ტექსტებშიც, რასაც ჩვენ ვიყენებთ.




ბ) ერთგვარი შემასმენლები შეიძლება იყვნენ ერთ ქვემდებარესთან, ერთ პირდაპირ დამატებასთან, ერთ ირიბ დამატებასთან, ქვემდებარესა და ერთ-ერთ პირმიმართ დამატებასთან, ან ქვემდებარესა ან ორივე პირმიმართ დამატებასთან (ამის შესახებ იხ. ქვემოთ).

„თავათ არაბია კი მიჯირითებდა, მიგელავდა, მიკუნტრუშებდა“ (გამს., გვ. 129);




„ამ სალამოზედვე რამდენიმე ბიჭი ამოირჩიეს, დააფიცეს და საჩქაროდ ქართლში ამბის შესატყობად გაგზავნეს“ (ყაზბ., გვ. 122);



გ) რამდენიმე პირდაპირი დამატება ერთ შემასმენელთან:

„რამდენიმე დღის შემდეგ არსენას ცოლმა თავის გამწყრალი დედის სახლიდან ხურჯინით ამოატანინა მატყლი და ძაფი, ხორბალი და საჩეჩელი, ხელწალი და საპენტელი, სართავი დაზგა და საკერებელი, ნემსები და ქარგა“ (ჭავ., გვ. 224);



დ) რამდენიმე ირიბი დამატება ერთ შემასმენელთან:

„საშვილიშვილოდ გააყოლე შენი წყალობა საქართველოს ერთ-გულსა, თემის პირის შემნახავსა, ძმა-ნათესაეების გამტანსა, საწყლის შემბრალებელსა, მშვიდობიანობის დამთესსა“ (ყაზბ., გვ. 73);

ერთგულსა
შემნახავსა
გამტანსა
შემბრალებელსა
დამთესსა

გააყოლე

„ის ერიდებოდა ძიძიას სახელის გატეხას, მოყივნებას ქვეყანაში“ (ყაზბ., გვ. 530);

გატეხას
მოყივნებას

ერიდებოდა

ე) რამდენიმე ერთნაირი შინაარსის უბრალო დამატება ერთ შემასმენელთან:

„ნინია მთელს მთიულეთში ვაჟეკაცობითა და გულადობით განთქმულია“ (ყაზბ., გვ. 86);

ვაჟეკაცობით
გულადობით

განთქმულია

„ხმლითა და ხანჭლით... საწყალს სამარე გავუჩიჩქნე“ (ილია, გვ. 209);

ხმლით
ხანჭლით

გავუჩიჩქნე

ვ) რამდენიმე ერთგვარი განსაზღვრება ერთ საზღვრულთან:

1) ატრიბუტული:


„დამშეული, გაწვალებული, დაღონებული რუსის ჯარი გამაგრდა მინდორზედ“ (ყაზბ., გვ. 391);

დამშეული
გაწვალებული
დაღონებული

ჯარი


2) პრედიკატული:

„ქალი კი იდგა ფერმიხდილი, დაღონებული, თვალებდაშვებული და გატაცებული რაღაცა ღრმა ფიქრით“ (ყაზბ., გვ. 11);



3) სუბსტანტიური:


„ამ სტეპებით შემოდიოდა მონგოლების, არაბების და სელჩუკების კავალერია“ (გამს., გვ. 22);



ზ) რამდენიმე ერთგვარი გარემოება ერთ შემასმენელთან:

1. ადგილისა:

„ყოველი კუთხიდან, ქუქრუტანიდან იქყიტებოდა აწ გადასული მისი ბავშვობა“ (გამს., გვ. 970);




2. დროისა:

„შეუსრულდა თხუთმეტი წელი მზის ამოსვლიდან და მეორედ დაბადებიდან“ (ასათ., გვ. 49);




3. ვითარებისა:

„ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა“ (ილია, გვ. 232);




4. მიზნისა:

„ბავშვები ტიროდნენ შიშით და სიცივით“ (ყაზბ., გვ. 786);



5. მიზნისა:

„ჩვენ ხედვად და სმენად უღონონი ვართ“ (ილია, გვ. 57);



თ) ნარევი სახის წინადადებები:

„დავითი და ელისაბედი იცინიან, ჰხტიან...“ (ილია, გვ. 109);

„... ახლა უძძიმესი და უზუნაესი ვალი მოიხადა ცეზარისა და სამშობლოს წინაშე“ (ჯავ., გვ. 640);

ბირველ წინადადებაში ერთგვარი წევრების ორი წყებაა: ერთგვარი ქვემდებარეები (დავითი და ელისაბედი) და ერთგვარი შემასმენლები (იცინიან, ჰხტიან). მეორე წინადადებაში კი გვაქვს ერთგვარი განსაზღვრებები (უძძიმესი და უზუნაესი) და ერთგვარი უბრალო დამატებები (ცეზარისა და სამშობლოს წინაშე).

§.1.3. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი. ერთგვარ წევრთა შეერთება შერწყმულ წინადადებაში სხვადასხვაგვარია: კავშირიანი (სინდეტური), უკავშირო (ასიდენტური) ან ორივე ერთად — კავშირიცა და პაუზაც (ა. შანიძე, 1955, გვ. 49).

ა) უკავშირო შეერთება

უკავშიროა შეერთება, თუ ერთგვარ წევრთა გადასაბმელად არ არის გამოყენებული საგანგებო სიტყვა-კავშირი (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 268). მაგ.:

„გაბოროტებული, გულდამწვარი, გულჩათუთქული მოვაჯექ ცხენსა“ (ილია, გვ. 209); „მერე ხელპირს დავიბანდით, ჩავიცვამდით..., საზეპირო ლოცვებს ვიტყოდით...“ (აკაკი, გვ. 45); „მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, ნაზი ბუნება განმარტოებული ოცნებისათვის იზიდავდა კაცს“ (ყაზბ., გვ. 99); „არსენამ მოსართავები გაუსინჯა, ზოგს მოუფონა,

ზოგს მოუჭირა..." (ჯავ., გვ. 204); „... მწედ ჰყოლოდა მის რძალს მშობიარობის, გარჯის, აბრეშუმის მოყვანის საქმეში“ (გამს., გვ. 48).

ა. შანიძის აზრით, „უკავშირო შეერთება ხშირია, როცა რომელიმე მოვლენის აღწერაა, სადაც სურათები სწრაფად ცვლის ერთმანეთს, ან კიდევ ჩამოთვლაა სხვადასხვა ამბისა, ან მათი დაპირისპირება“. ასეთი უკავშირო შეერთება ხშირია მხატვრულ ლიტერატურაში (განსაკუთრებით პოეზიასა და პროზაში), მაგრამ იგი „ჩვეულებრივი მოვლენაა ხალხურ მეტყველებასა და ხალხურ პოეზიაში“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 140).

ამგვარ შემთხვევებში ერთგვარ წევრთა შეერთების მთავარი საშუალებაა ინტონაცია: „ყოველი ერთგვარი წევრი თანაბარმახვილიანია, ერთმანეთს შორის კი პაუზაა. ე. ი. ერთგვარ წევრთა წარმოთქმისათვის დამახასიათებელია ე. წ. ჩამოთვლის ინტონაცია“ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 268).

თხრობითი შინაარსის რთულსა და შერწყმულ წინადადებებში მახვილის საკითხი დადგენილი აქვს გ. ახვლედიანს. თუ ქვეწყობილი წინადადების შესახებ იგი წერდა, რომ ასეთ „წინადადებაში ტონი მალდება პირველი წინადადების ბოლოს — სულ ერთია, მთავარია იგი, თუ დამოკიდებული (შდრ., მაგ.: კარგი იქნება, თუ მოხვალ და თუ მოხვალ, კარგი იქნება)“ (გ. ახვლედიანი, 1999, გვ. 143), **შერწყმული** წინადადების შესახებ აღნიშნულია შემდეგი: „საყურადღებოა აგრეთვე ტონის ამალღება წინადადების შიგნით თ ა ნ ა გ ვ ა რ ო ვ ა ნ წ ე ვ რ - თ ა განმეორებისას; მაგ.: „ნახავდით ბუდით ჩამოკიდებულს... თოფს, ხმალს..., ხანჯალს, დამბაჩას, სასწრაფოს და საპირწამლეს“. თითოეული თანაგვაროვანი წევრი, უკანასკნელის გარდა, წარმოითქმება ამალღებული ტონით წყვეტილად (ე. ი. ხმა შეწყდება მომდევნო სიტყვის დაბლად დაწყებამდე). ტონის ასეთ ამალღებას ვეძახით **მოლოდინის ინტონაციას**“ (გ. ახვლედიანი, 1999, გვ. 143).

თუ ერთგვარ წევრებს ახლავს თავ-თავისი მომყოლი სიტყვები, მაშინ ჩამოთვლის ინტონაცია მოიცავს მთელ სიტყვათა ჯგუფს. წერისას ერთგვარ წევრთა შორის მძიმე დაისმის (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 268):

„დედამ შვილს ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები..., კაი ლეკურის შალის ჩოხა-შალვარი, ყანაოზის ახალუხი, ორი წყვილი თავი-

სის ხელით მოქსოვილი კრელი წინდა..." (ილია, გვ. 274); „მას ვარსკვლავთა ბრუნვა, დარის გამოცნობა, ნადირთა ცხოვრება..., საქონლის მოვლა-მკურნალობა ასწავლა“ (ჯავ., გვ. 101); „... იქვე ელაგა დამბაჩები... ოქროს ზარნიშინი სატევრები, ვადამოხატული დამბაჩები, რკინის პერანგები..., ქართული უნაგირები, ამაზონური კაბები“ (გამს., გვ. 390); „მდინარის ჩხრიალი, ტურების მოთქმა... არეულიყო ერთმანეთში“ (ქილ., გვ. 175).

ერთგვარ წევრთა უკავშირო შეერთება ქმნის ღია, დაუხშავ კონსტრუქციას. ამით იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ დაემატოს ახალი ერთგვარი წევრი. უკავშირო შერწყმულ წინადადებაში გვაქვს ჩამოთვლა ან დაჯგუფება ერთგვარი წევრებისა. ამიტომაც მათ შორის შეიძლება და კავშირის ჩასმა. მაგ.:

„გაიყარნენ სიყვარულით, მშვიდობიანად“ (აკაკი, გვ. 78); „აქ ქალმა დაუწყო მუდარა, ხვეწნა“ (ყაზბ., გვ. 45); „თვითონ მღეროდა ბოროტად, ღვარძლიანად, პეტრეს გამოსაჯავრებლად“ (ქილ., გვ. 321);

შევადაროთ:

„გაიყარნენ სიყვარულით და მშვიდობიანად“; „აქ ქალმა დაუწყო მუდარა და ხვეწნა“; „თვითონ მღეროდა ბოროტად და ღვარძლიანად და პეტრეს გამოსაჯავრებლად“.

თუ წინადადებაში ერთგვარი წევრები ორზე მეტია, მაშინ მათი შეერთება შეიძლება იყოს კავშირიანიც და უკავშიროც ერთდროულად. მაგ.:

„თავისის ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე“ (ილია, გვ. 245); „მოხუცი ტანადი, ძარღვიანი და კარგად შეკრული კაცი იყო“ (ყაზბ., გვ. 585); „... მიფერფლილ თვალებს უნდილად ადევნებს ყველა ყმას, ფარეშს, მოახლეს და განაპირებულს ხნიერ გლეხებს“ (ჯავ., გვ. 73);

ამ წინადადებებში ბოლო ორი ერთგვარი წევრი კავშირით არის შეერთებული, დანარჩენი კი — უკავშიროდ, ჩამოთვლის ინტონაციით. ასეთ შემთხვევებში კავშირის ხმარება იმაზე მიუთითებს, რომ ერთგვარ წევრთა დასახელება დამთავრებულია (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 268).

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც უკავშირო შეერთებას ქმნის ანტონიმების კავშირიანი წყვილულები (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 269). მაგ.:

„მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და აშკარა ერთმანეთში გაება და ჩაეწნა“ (ილია, გვ. 274); „... არასოდეს არ დარღვეულიყო სიჭრელისა და ხისადავის, ცრემლისა და ღიმილის, ტუსადისა და მეთვალყურის ერთიანობა...“ (ქილ., გვ. 116); „ქალი და კაცი, მოხუცი და ყრმა, მაღალი და დაბალი, ყველა ერთხმად აღიღებდნენ ღმერთს და აქებდნენ გმირებს“ (აკაკი, გვ. 177).

ერთგვარ წვერთა შორის გვაქვს ჩვეულებრივი დაჭვრელება, მაგრამ გვხვდება იშვიათად დაპირისპირებაც. მაგ.: ღვინოს არ გთხოვ — წყალსა (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 269).

უკავშირო შეერთება გვხვდება ორი, სამი, ოთხი და ა. შ. ერთგვარი წვერის შეერთებისას. მაგ.:

1. გაერთიანებულია ორი ერთგვარი წვერი:

„ვნახე განძი აუარებელი, ოქრო ფრიალი“ (საბა, გვ. 58); „ის ერიდებოდა ძიძიას სახელის გატეხას, მოყვივნებას ქვეყანაში“ (ყაზბ., გვ. 530); „ფსტგენით, თქარუნით მოაშურა ისევ მყინვარებს“ (გამს., გვ. 538);

2. გაერთიანებულია ხამი ერთგვარი წვერი:

„ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა, ყურსა უბურობდა, ისმენდა...“ (შოთა, გვ. 17); „იქვე სასაფლაოზე მარხიან ჩემი ძვირფასი დედ-მამა, ძმები, ნათესავები“ (გოგებ., გვ. 18); „ისინი ვარდის მიწიდან ქრიან, წალკოტებიდან, ტყიდან...“ (კალ., გვ. 334);

3. გაერთიანებულია ოთხი ერთგვარი წვერი:

„ყვავილთა ფშვანი, ხელთა ფხრანი, მფრინველთა ხმანი, ღვინოთა ხმანი შეიწყობოდეს“ (საბა, გვ. 55); „... კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომადგდე“ (ვაჟა, II, გვ. 118); „ქართული, კოლხური, რომაული, ბერძნული ფულების ქორონიკონები ვეღარ ამოიკითხა“ (გამს., გვ. 441);

4. გაერთიანებულია ხუთი ერთგვარი წვერი:

„ნახა კორდი ზურმუხტისა მსგავსი..., ბულბულთა ყეფა, იაღონთა სტგენა, შაშვთა მღერა, მერცხალთა ჭიკჭიკი“ (საბა, გვ. 55); „გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უბუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ“ (ილია, გვ. 237); „იყო ხალისი სოფლად, ქალაქად, ოქროყანაში, ზვარში, მდელოზე“

(ასათ., გვ. 53); „რაზმელებიც შოულობდნენ — ნადირობით, ქურდობით, ტაციაობით, ხარკით, ძღვენით...“ (ჩავ., გვ. 223);

5. გაერთიანებულია ექვსი ერთგვარი წევრი:

„იქვე ხოხბები ხატია, ნიამორები, ჭეირნები, ფრთიანი ლომები, სპილოები, მიმინოები...“ (გამს., გვ. 446); „მაწვეარი თვისი მაწია მღერად, მოლხენად, სიხარულად, როკვად, თამაშად, სულთა მზეობად“ (კალ., გვ. 97);

6. გაერთიანებულია შვიდი ერთგვარი წევრი:

„ტრამგაეზი, სასტუმროები, მეტროპოლიტენები, თეატრები, ქარხნები, უნივერსიტეტები, ქუჩები საესეა ადამიანებით“ (გამს., გვ. 329); „ეკრანის ზოლსავით რიალებდნენ თვალწინ ძველებრძნული კერპების, ბიზანტიის კეისრების, ქართველი მეფეების, ირანის შაჰების, საქართველოს უთვალავი ერისთავების, წმიდანების, ბერების... სახეები“ (გამს., გვ. 442); „ზოგი დაუღვევრად, ტლანქად, უყოყმანოდ, დაუფიქრებლად, ბრმად, ჭიუტად, უკან მოუხედავად... გადათელავს ხოლმე ადამიანის სულში გაკიაფებულ ამ ფარღალალა სინათლეს“ (ქილ., გვ. 53) და ა. შ.

ამდენად, ერთგვარი წევრების უკავშირო შეერთებისას ძირითადია ინტონაცია. ეს ინტონაცია თანდათანობით მალღდება იმგვარად, რომ ყოველი მომღვენო წვერის ინტონაცია უფრო მალღლია, ვიდრე წინასი.

ბ) კავშირიანი შეერთება

უკავშირო შეერთებისაგან განსხვავებით, კავშირიანია შეერთება, თუ ერთგვარ წვერთა გადასაბმელად გამოყენებულია საგანგებო სიტყვა — მ ა ე რ თ ე ბ ე ლ ი კ ა ვ შ ი რ ი (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 268). მაგ.:

„ჰირიცა და ლხინიც სულ მღერით და გლობით იცოღა“ (ილია, გვ. 249); „არც სამტროდ აუღღღღღება გული, არც სამოკეთოდ“ (ვაჟა, II, გვ. 55); „... აღარც წერა შემიძღლია და აღარც ფიქრი“ (ასათ., გვ. 332)...

ერთგვარ წვერთა შეერთებისათვის შერწყმულ წინადაღებაში გამოყენებულია მაჭგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი და მაიგეგებელი კავშირები. განვიხილოთ ცალ-ცალკე:

ა) მაჩუგებელი კავშირები

მაჩუგებელი კავშირებია: და, თუ (და-ს მნიშვნელობით), ც-ც, არც-არც, ვერც-ვერც, ნურც-ნურც, აღარც-აღარც, კიდეც-კიდეც, როგორც ისე, არა მარტო-არამედ, არათუ-არამედ:

და:

„გამოხდეს ხანი და უამი რაოდენიმე“ (საბა, გვ. 28); „ადრე და მალე რად ვითხელებ ჭკვასა და გონებას“ (ილია, გვ. 190); „თემმა მთლად შენი მამული, სახნავე და სათიბი, საძოვრითა და წყალითა, მითა და ბართა, სულ ერთიანად მე მარჯუნა“ (ყაზბ., გვ. 158); „სათარეშოდ გასულ რაზმელს მრავლად მოჰქონდა ყინვა-შაქარი და ნულა, ხმელი ხილი და რაჰათ-ლუხუმი, ძვირფასი მოვი და დიბა, ბაბთი და ყართანი, ფარჩა და შეიდიში, შალი და შევერცხლილი იარალი“ (ჯავ., გვ. 407).

თუ შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრი ორზე მეტია, შეიძლება და კავშირით ბოლო ორი წევრი იქნეს შეერთებული, დანარჩენი კი — ინტონაციის საშუალებით:

„არაბმან ერთი თხა დაკლა, მოხარშა და მოიტანა“ (საბა, გვ. 53); „თამარი კისკისებდა, ხუმრობდა და ბრწყინავდა“ (გამს., გვ. 193); „ვატარებთ წერაქვს, ცხრილსა და ტომარს“ (ასათ., გვ. 187).

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში ახალი ქართულიისათვის დამახასიათებელია და კავშირის გამოყენება უკანასკნელი შემასმენლის წინ (შ. ძიძიგური, 1989, გვ. 21):

„დავაყენე ცხენი, ჩამოვიყვანე ცხენიდან პეპია, გავუშალე ქვეშ ფარაჯა, დავუდე თავით უნაგირის ბალიში და დავაწვინე“ (ილია, გვ. 207); „ეგ დალოცვილი წამოაქცევილებს გლეხკაცებს, ჩაახდევინებს და სულ ისე აროზგვინებს“ (აკაკი, გვ. 41); „გირგოლამ მოართო წაღები, ჩააცვა ტანთ და პირსაბანად იარალი მოუშადა“ (ყაზბ., გვ. 210); „ბაბუა ტარიელმა განწესებული წამალი დალია, კაც ზემბაიას ნათბრობით აღელვებულმა კაბინეტის კარი ჩაიკეტა, საეგებიოდ გადაშალა თავისი დავითნი და გულდასმით გადაიკითხა“ (გამს., გვ. 43).

ნარევი სახის შერწყმულ წინადადებაში და შეიძლება ნახმარი იყოს რამდენჯერმე (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 270). მაგ.:

„ბურთი და მოედანიც დღევანდელი დღის აბაშიძეს, ამილახორს და ანდრონიკაშვილს დარჩათ“ (აკაკი, გვ. 83); „ამ სიმღერას მღერიან ხოლმე მხოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქორწილში“ (ყაზბ., გვ. 492); „აბა რა საკადრისია თავადისა და გლეხის დამძობილება და ლაზღანდარობა!“ (ჩავ., გვ. 133);

პირველ წინადადებაში და კავშირი აერთებს ერთგვარ ქვემდებარეებსა და ირიბ დამატებებს, მეორეში — ადგილის გარემოებებსა და განსაზღვრებებს, მესამეში კი — ქვემდებარეებსა და სუბსტანტიურ განსაზღვრებებს.

ზოგ შემთხვევაში და-ს სხვა ელფერი ახლავს. კერძოდ, იგი აღნიშნავს ერთის მიმართებას მეორე საგნისა თუ მოვლენისადმი. მაგ., „აკაკი წერეთელი და ხალხური პოეზია მნიშვნელობით უდრის შემდეგ: აკაკი წერეთლის დამოკიდებულება ხალხურ პოეზიისადმი“ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 270).

სალიტერატურო ენაში არის შემთხვევები და კავშირის სხვა ნიუანსით გამოყენებისა: ერთ-ერთი ერთგვარი წევრი დასმულია საერთო წევრის წინ, რაც სხვა ერთგვარი წევრის დასახელებას არ გვაპარაულებინებს. სინამდვილეში კი ასეთი წევრი და კავშირის საშუალებით შემოერთებულია. მაგ.:

„ვირადაც მეყოფიან და ლხინადაც“ (ილია, გვ. 273); „ლოქს წაეპოტინა ათროლოებული ხათუნა... და ისევ მიფაცურდა გეჭასთან“ (გამს., გვ. 221); „მაინც ანთია წმინდა ცეცხლი და მაინც იწვის...“ (კალ., გვ. 178).

და კავშირის წინ მდგომი ერთგვარი წევრი მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში ჩვეულებისამებრ გავრცობილია:

„უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს“ (აკაკი, გვ. 7); „იმას თვალები აღგზნებოდა მეტის ჭავრისა და მწუხარებისაგან“ (ყაზბ., გვ. 191); „ნავი ძალისძალათი, ბორძიკითა და ღრჭიალით მიჩოჩავდა“ (ქილ., გვ. 429).

როცა მიცემითსა და ნათესაობითში დასმულ ერთგვარ წევრებს ერთი და იგივე თანდებული მოუდის, და-ს წინ მდგომი უთანდებულოდ იხმარება:

„... თვითონ კი ჭალებსა და მინდვრებში გასულიყვნენ საბალა-

ხოდ“ (ჯავ., გვ. 239); „... ორივე ხელს იცემდა გაშიშვლებულ შუბლსა და თავზე“ (გამს., გვ. 417).

თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ სალიტერატურო ქართულში ამ ტიპის წინადადებებში ზემოთ აღნიშნული ნორმის დარღვევები გვხვდება. კერძოდ, ყველა ერთგვარი წევრი თანდებულიანია. მაგ.:

„იმის სიფიცხეზე და გულქვაობაზე ბევრს საარაკო რამეს ლაპარაკობდნენ“ (აკაკი, გვ. 59); „ერობაში, ხატობაში, მთაში თუ ბარში, ყველგან ისმოდა სიმღერა... ამ შემთხვევის შესახებ“ (ყაზბ., გვ. 661); „სწორედ ტალახებში და ხნულში უნდა ატარო ახლადნახედი ცხენი“ (გამს., გვ. 8); „ეს ჩამოდიოდა გზებზედ და ქალებზედ“ (ყაზბ., გვ. 133).

თუ და კავშირით შეერთებული ერთგვარი წევრები სხვადასხვა თანდებულს მოითხოვენ, მაშინ და-ს წინ მდგომი ყოველთვის თანდებუ-ლიანია (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 271):

„ისევ დუმილი შემეყარა კიუხებში და ბილიკებზე“ (გამს., გვ. 556); „შარდინ აღშიბაიას არ აკლდა წმენდაზე, ადგილობრივ პრესაზე და კედლის გაზეთებში ლანძღვა“ (გამს., გვ. 59).

თუ:

თუ-¹ ზოგ შემთხვევებში და-ს მნიშვნელობა აქვს. ამიტომ იგი აჭგუფებს ერთგვარ წევრებს:

„ყოველი ვაშლოვნელი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, განხარებული იყო ქეთოს გონზე მოსვლით“ (გოგებ., გვ. 427); „ტყეში წასული ხალხი, თუ სამუშაოდ, თუ სანადიროდ გაოცებული რჩებოდა“ (ვაჟა, II, გვ. 138); „სიქემის ზღაპრულ თოვლიან მთებზე, თუ იორდანეს დიდებულ ნაპირთ, თუ ეზდრელონის ლურჯ ხეობაში, სუყველგან შენი ხმა მესმის, რაბი!“ (კალ., გვ. 84).

ც-ც:

ერთგვარ წევრებს (შემასმენლებს გარდა) შეიძლება დაერთოს ც(ცა) ნაწილაკი გაძლიერების მიზნით. მას მაჭგუფებელი კავშირის

¹ თუ კავშირი სხვადასხვა ფუნქციით და რთული ქვეწყობილი წინადადების კავშირდაც გამოიყენება: „ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს!“ (შოთა, გვ. 64); (ასეთ შემთხვევათა შესახებ იხ.: გ. როგავა, 1948, გვ. 374-375; შ. ძიძიგური, 1989, გვ. 113-117).

ფუნქციაც აქვს (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 271). მაგ.:

„... მას ყველაფერი ჰქონდა: **საჭმელიც, სასმელიც, ჩასაცმელიც**“ (ყაზბ., გვ. 515); „**ბოლოს ყველანი გავიდნენ — აჭარლებიც, ყაზაღაფხებიც, ლეკებიც, შთიულელებიც...**“ (ჯავ., გვ. 549); „**განუზომლად უყვარდა ნიორიც, პილპილიც, ძმარიც...**“ (გამს., გვ. 53).

ამათ გვერდით გვხვდება ასეთი შემთხვევებიც:

„**ღმერთთანაც და შენთანაც** ორნივე პირნათლადა ვართ“ (ილია, გვ. 191); „**ავეისაც და კარგისაც** თანასწორად შეგვეძლო ატანა“ (აკაკი, გვ. 49); „**მე ერთი, ხალხისაგანაც და ღმერთისაგანაც** მოძულებული კაცი ვარ“ (ყაზბ., გვ. 183); „**მუდამ მძაგდა სცენაზე** გასული ქალიცა და კაციც“ (გამს., გვ. 404).

ამ ტიპის წინადადებებში **ც-ც** უკვე ნაწილაკის როლში გვევლინება და არა კავშირისა, რადგან ისინი დაკავშირებული არიან და კავშირით¹.

არც-არც:

უკუთქმით წინადადებაში **ც** დაერთვის უარყოფით ნაწილაკებს (არც-არც, აღარც-აღარც, ვეღარც-ვეღარც, ნურც-ნურც) და მათი განმეორებით ხმარება აუცილებელია (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 271). მაგ.:

„**არც უღონობამ, არც სიგამზდრემა, არც სიბერემა, არც თეთრმა წვერმა, არც კაცისა და არც ღვთის სამართალმა არ მიპატივეს** ბებერი მამა!“ (ილია, გვ. 145); „**მე არც ძროხა მყავს, არც ცხვარი, არც ღორი, არც კამეჩი...**“ (ვაჟა, II, გვ. 83); „... **არც მარეკების და მეითარების ჟრიაშული ისმოდა, არც მეძებრების მზიარული წკავ-წკავი, არც მოქეიფეთა და მენახეთა გნიასი, არც ქალწულების მიერ ჩონგურის დაკვრა და ნაზი აფხაზური სიმღერები**“ (გამს., გვ. 71); „... მას საკუთარი **არც** პური, **არც** საკუთარი ჭერი და **არც** საკუთარი ცეცხლი გააჩნია“ (ქილ. გვ. 155).

ვერც-ვერც:

„**ხალიფამ მისი ვერც მოსვლა სცნა და ვერც წასვლა**“ (საბა, გვ.

¹ შლრ. ლ. ლეჟავა, 1959, გვ. 172, სადაც ასეთი ტიპის წინადადებები უკავშიროდაა მიზნეული სწორედ და კავშირის ჩასმის შესაძლებლობის გამო. ნაწილაკები „არც-არც, გინდ-გინდ, ხან-ხან, ან-ან და სხვ...“ კავშირები არ არიან, რადგან მათ გვერდით სრულიად დაუბრკოლებლად შეიძლება და კავშირის ჩართვა“ (ა. კიზირია, 1957, გვ. 149).

54); „იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრობდა ვერც ხენას, ვერც თესვას, ვერცა მკასა“ (ილია, გვ. 139); „შენთან ვერ გავძლებთ ვერც მენა, ვერც შენი ცოლი ლელაო“ (ვაჟა, I, გვ. 490); „ის ვერც მოფერებამ, ვერც ჭავრობამ, ვერც ცემამ ვერ მოაჰკვიანა“ (ყაზბ., გვ. 245).

ნურც-ნურც:¹

„ნურავის დაზოგავთ: ნურც დიდს, ნურც პატარას, ნურც ბებერს და ნურც ყმაწვილს“ (აკაკი, გვ. 164); „ნურც ხანჯალს გარჯი და ნურც ოქროს დახარჯავ“ (აკაკი, გვ. 159); „ღმერთო, ნურც ჩემ ნათლიას — გიჟ-მათიას მოიყვან, ნურც მამასახლისს“ (ვაჟა, II, გვ. 196).

ალარც-ალარც:

„ალარსად იმათ ლახტები, ალარც ხმალი და ფარია, ალარც აღდგომის იმედი იმათთვის არსად არია“ (ვაჟა, I, გვ. 498); „ალარსად ჩემი ნაცარა, ალარც ქოჩორა, ალარც მამლაყინწა“ (ვაჟა, II, გვ. 192); „მას ალარც ხარ-კამეჩი შეარჩინეს, ალარც ურემი, ალარც მუშა ხელი და ალარც სარჩო“ (ჯავ., გვ. 331).

კოდეც-კოდეც:

„ჰლხინობენ კოდეც, კოდეც ჰხარობენ“ (ილია, გვ. 115); „კოდეც ვლხინობდი, კოდეც ვმღეროდი“ (ილია, გვ. 137); „აკაცი კოდეც გაიქცა, კოდეც გაიფცქვნა“ (ანდაზა, ლ. ლეჟავას მიხედვით, 1959, გვ. 172); „აკაცი თავის ენით პატივს კოდეც დაიყრის და კოდეც აიყრისო“ (ანდაზა, ლ. ლეჟავას მიხედვით, 1959, გვ. 172).

როგორც-ისე:

„როგორც მეფე, ისე დარბაისლები გარცეხულნი შეაჩერდნენ“ (აკაკი, გვ. 73); „თვალებით სინჯავდა როგორც ბეგს, ისე თავის ამხანაგ დათას“ (ნინოშ., გვ. 107).

წყვილეული კავშირი როგორც-ისე² რთულ ქვეწყობილ წინადადებაშიც ჩანს, მაგრამ გვხვდება ერთგვარი წვერების შესაერთებლადაც. მაგალითად, „წინადადება „როგორც გუშინ, ისე დღეს არავინ მოვიდა“ შერწყმულია დროის გარემოებების მიხედვით. ზოგი ასეთი კონსტრუქცია ქვეწყობის „შეკვეცილი სახეობაა“ (გ. როგავა, 1948, გვ. 370).

¹ ძველ სალიტერატურო ენაში გვხვდება ნუცა-ნუცა, ნუ-ნუცა (შ. ძიძიგური, 1989, გვ.33).

² როგორც-ისე წყვილეული კავშირის ფუნქციისაა ქართულში ვით-ისე (ისრე...): „ვით მეთი იყო წელან ძაგება, ისე მეთია ეხლა ეგ ქება“ (ილია, გვ. 147).

არათუ-არამედ¹:

„პედაგოგიური კოლექტივების დიდმა უმრავლესობამ არათუ ალ-ლო აულო [მოზრდილთა სკოლების] მთელ რიგ თავისებურებებს, არამედ სათანადო დასკვნებიც გააკეთა“ (სახალხო განათლება, ქეგლ, IV ტ., სვ. 487); „არათუ მინახავს, არამედ მიჭამია კიდეაც“ (შ. ძიძიგურის მიხედვით, 1989, გვ. 35); „არათუ მაჩვენა, არამედ საჩუქრადაც მომართვა“ (შ. ძიძიგურის მიხედვით, 1989, გვ. 35).

ბ) მაცალკეებელი კავშირები:

მაცალკეებელი კავშირებია: ხან-ხან (ხან-ხანაც, ხან-ხან კიდე...), ან-ან (ან-ანდა, ან-ან კიდე), გინდ-გინდ, თუნდ-თუნდ (თუნდ-თუნდაც).

ხან-ხან:

ხან-ხან კავშირი გამოხატავს რიგ-რიგობას. იგი ჩნდება საშუალო ქართულიდან და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ახალ ქართულში. გვხვდება მისი ვარიანტებიც: ხან-ხანაც, ხან-კიდე. მაგ.:

„თითო-ოროლა კაცი ხან პურს მაწვდის ხოლმე და ხან წყალს“ (ილია, გვ. 216); „იაგოს თავისი ამხანაგებით ხან აქ იწვევდნენ, ხან იქ...“ (ყაზბ., გვ. 351); „უნებურად ხან ხმალზე ისევამდა ხელს, ხან ხან-ჯალს აწვალებდა, ხან კიდევე წელზე დამბაჩას ისინჯავდა“ (ჯავ., გვ. 87); „ჴამგამოშვებით სებასტიან ბახის მენუეტს სინჯავდა, ხან ზანტად ფურცლავდა ნოტებს, ხანაც ხრახნილიან სკამს მოაბრუნებდა...“ (გამს., გვ. 68).

ან-ან:

ან-ან კავშირი მიუთითებს, რომ რამდენიმე შესაძლებლობიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი, ან არჩევანი კეთდება ერთ-ერთზე, ან კიდე ჩამოთვლაა ისეთი საგნებისა და მოვლენების, რომლებიც არ გამო-რიცხავენ ერთიმეორეს (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 271). მაგ.:

„... ტყვე-მქმენ, ანუ მააზატე, ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, კირი კირსა მომიმატე“ (შოთა, გვ. 54); „მერე ღმერთს რა პასუხს მისცემთ,

¹ არათუ-არამედ კავშირს ა. კიზირია მაპირისპირებულ კავშირად მიიჩნევს (ა. კიზირია, 1953, გვ. 226; ა. კიზირია, 1982, გვ. 196). როცა სხვა ავტორები მას მაჭგულებულ კავშირად თვლიან (ლ. კვაჭაძე, 1966, გვ. 239; მისივე, 1996, გვ. 269; შ. ძიძიგური, 1989, გვ. 35, ბათიაშვილი, 1977, გვ. 7, ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, 1987, გვ. 71).

ან შენ და ან დედაშენი..." (ილია, გვ. 173); „ყველა მიმსვლელს ხელში ეჭირა ან ქურქელი შინაურის არყით, ან კასრი ლუდით, ან ქათმები და კვერცხები, ან ღორი და ხაბიზგინები და სხვა“ (ყაზბ., გვ. 153); „უიმისოდ ღვთაებები ერთმანეთს სპობდნენ ან ამრავლებდნენ, აღარიბებდნენ ან ამდიდრებდნენ, ასუსტებდნენ ან აძლიერებდნენ“ (ჭილ., გვ. 69).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ან-ან მიღებულია ანუ მაიგივებელი კავშირისაგან: ან-ან კავშირი ანუ-ს შეკვეცილი სახეობაა (შ. ძიძიგური, 1989, გვ. 38):

„ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე საპარი“ (შოთა, გვ. 10); „ჰე, მეფეო! რად ემღურვი ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა?“ (შოთა, გვ. 30); „უცხო და უცხოდ მორთული: ანუ საფენი, ანუ ფარდაგი — ყოველივე სტავრა იყო“ (საბა, გვ. 27); „იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს...“ (საბა, გვ. 49).

გინდ-გინდ:

„არ დაზოგავდა გინდ შორებელი ყოფილიყო და გინდ ახლობელი“ (აკაკი, გვ. 56); „გინდ ქალაქში ვიცხოვროთ, გინდა სოფელში“ (ქეგლ, სვ. 1453); „გინდ რეგვენისათვის გისწავლებია, გინდ მკედრისთვის გიწამლებია“ (ქეგლ, ანდაზა, სვ. 1453); „ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე“ (ილია, გვ. 243).

თუნდ-თუნდ (თუნდა-თუნდაც):

„მაგ მიწაში თუნდა ოქრო იდვას, თუნდა ქვაო...“ (საბა, გვ. 72); „ამას იტყოდა ყოველი კაცი, თუნდა მზღალი და თუნდა ვაჟაკი“ (ილია, გვ. 147); „თუნდ თვალებს დაეთხრი, თუნდ ერთსაც აღარ შევარჩენ კბილსაო“ (ვაჟა, I, გვ. 639).

გ) მაპირისპირებელი კავშირები

შერწყმულ წინადადებაში გამოყენებულია მაპირისპირებელი კავშირები: მაგრამ, ხოლო, კი, ოღონდ, თუმცა.

მაგრამ:

„ყველაყამ იცოდნენ, მაგრამ ერთმანეთს აბრალებდნენ“ (საბა, გვ. 40); „ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდამ არ დაიძრნენ“ (ილია, გვ. 10); „ღამა და ძმამ ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უცნაურ ნასკვს წვეროც ვერ უპოვეს გამოსახსნელად“ (ილია, გვ. 270).

ხოლო:

„პატარა ორაგულები დიდი სიამოვნებით ისვენებდნენ მივარდნილ ადგილას, **ხოლო** დიდსა და კრიალა თვალებს ერთ წამსაც არ ხუჭავდნენ“ (გოგებ., გვ. 146); „ერთ სიმღერას ამბობდნენ ყველანი, **ხოლო** თავ-თავიანთის ხმაზე-კი“ (ვაჟა, II, გვ. 137).

კი:

კი კავშირი ფუნქციურად **ხოლო**-ს ბადალია. იგი მოსდევს ხოლმე წინამავალ სიტყვას. ამის მიზეზი კი მისი ნაწილაკური წარმომავლობაა (შ. ძიძიგური, 1989, გვ. 52). მაგ.:

„თაგვები დღისით სოროებში იყვნენ მიმალულნი, ღამით **კი** ოთახში ამოდინდნენ საკმლის საშოვრად“ (გოგებ., გვ. 45).

შდრ. **კი** ნაწილაკის ფუნქციით: „შიმშილი **კი** თავისას აკეთებდა, აქეთ-იქით დაათრედა, ბარგს აზიდვინებდა, ნაევებს არეცხვინებდა, ნაგავს აყრევინებდა...“ (ქილ., გვ. 350).

ოლონდ:

„მითრიდატე ნამდვილი ვაჟკაცი იყო, **ოლონდ** უიღბლო“ (ლ. მრელ., გვ. 15).

ოლონდ რიგ შემთხვევაში ნაწილაკის (მაგ., გამორჩევეთისა) ფუნქციითაა. იგი ზოგჯერ ქვეწყობილ წინადადებაშიცაა კავშირის როლში და მასთან ერთად და კავშირის გამოყენება ქმნის ე. წ. პარატაქსულ-ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას (ამის თაობაზე გამოწვლილვით იხ.: ლ. კვანტალიანი, 1990, გვ. 75-88).

თუმცა:

„ძლიერი გონების კაცი იყო, მოსწრებული და ენამქვეერი, **თუმცა** კი ხშირად ენამწარეც“ (აკაკი, გვ. 381); „გელამ შუბლი შეიკმუნხა და წყნარად, **თუმცა** მტკიცედ და გარკვევით უპასუხა“ (ყაზბ., გვ. 597); „ღამე იყო ცივი და ნისლიანი, **თუმცა** თოვლის გამო საკმაოდ განათებული“ (ყაზბ., გვ. 499).

თან-თან:

თან-თან კავშირის როლს ასრულებს, როცა აღნიშნავს ორი მოვლენის, მოქმედების ერთდროულობას (ლ. ლეჟავა, 1959, გვ. 172):

„[ვაროს]... **თან** რცხვენოდა და **თან** ეშინოდა ამხანაგებისა“ (გოგებ., გვ. 37); „ხოსიკა **თან** თონხიდა, **თან** ტყებნიდაო“ (ანდაზა, ლ. ლე-

ევას მიხედვით, გვ. 172); „თან კრის, თან კერავს“ (ქეგლ, IV ტ., სვ. 303).

დ) მაიგივებელი კავშირები

მაიგივებელი კავშირებია: ანუ, ესე იგი.

ანუ:

„ვინლა დაეძებს ამ დროში კაცობას, ანუ სახელსა?“ (ვაჟა, I, გვ. 662); „უზარმაზარი ნიგვზები, ანუ, როგორც ზოგჯერ უწოდებენ, კაკლის ხეები... თავმომწონედ შლიდნენ შტოებს“ (აკაკი, ქეგლ, I ტ., სვ. 512); „ამ ძირზე ქვებს შუა ათასობით ეწყო თევზის პაწაწა კვერცხები, ანუ ქვირითი“ (გოგებ., გვ. 144); „დადის მუდამ ერკემლის, ანუ ვაცის ნებაზე“ (გოგებ., გვ. 47).

ე. ი:

„წუხელის კაი სიზმარი ნახა... ე. ი. დაცდილი სიზმარი“ (ვაჟა, II, გვ. 81); „ლოცვის შემდეგ პირს დავისველებდით, ე. ი. ცოტა რასმე ვისაუზმებდით“ (აკაკი, გვ. 45); „ნაფუძრები, ესე იგი გაპატივებული მამული დიდ საფასურშია ჩვენში“ (ქეგლ, III ტ., სვ. 143).

ანუ და ესე იგი არსებითად დანართის კავშირებია და შეუძლიათ ერთმანეთს შეენაცვლონ (შ. ძიძიგური, 1989, გვ. 53).

თ ა ვ ი 11

§.II.1. ერთგვარქვემდებარეობის შერწყმული წინადადება. ერთგვარქვემდებარეობის შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრები ქვემდებარეობა. ყველა ქვემდებარეობის ამ ტიპის წინადადებაში ერთი ბრუნვის ფორმა აქვს. მაგ.:

„უიხლო და ცეცხლი ერთმანეთს არ დალევენ“ (ილია, გვ. 40); „ახლანდელი არც მარულა ვარგაო, არც ცხენი და ცხენის ავტორი“ (გამს., გვ. 121); „დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ“ (ილია, გვ. 276); „გუდამაყრელებს, ხანდისხოველებსა და ქართლელებს უარი შემოუთვლიათ...“ (ყაზბ., გვ. 536);

I და II წინადადებაში ქვემდებარეები სახელობით ბრუნვაში დგას, მესამეში — მოთხრობით ბრუნვაში, მეოთხეში კი — მიცემითში.

ასეა ტრადიციულად დღეს. ისე კი, ჭერ კიდევ არან. ჩიქობავა თავის შრომაში „რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას“ აღნიშნავდა, რომ ქართულში დროთა მესამე ჯგუფისათვის (თურმეობითა წყებაში, III სერიაში) დამახასიათებელია ფორმულა: „მიცემითი (ვერბ. ობიექტი) + ზმნა + სახელობითი (ვერბ. სუბიექტი)“ (გვ. 26). ე. ი., ამ თვალსაზრისით, წინადადებაში „გუდამაყრელებს, ხანდისხოველებსა და ქართლელებს უარი შემოუთვლიათ“ ქვემდებარე გამოდის უარი (სახელობით ბრუნვაში დასმული) და არა ტრადიციულად მიჩნეული გუდამაყრელებს, ხანდისხოველებსა და ქართლელებს. სხვაგან კი, მოგვიანებით, არან. ჩიქობავა წერდა: „გარდამავალ ზმნას სამსავე სერიაში ს ე მ ა ნ ტ ი კ ა აერთიანებს, ხოლო თუ მორფოლოგიას გავითვალისწინებთ, გარდამავალია (და მოქმედებითი გვარისაა) ა წ მ ყ ო ს და ნ ა მ ყ ო ძ ი რ ი თ ა დ ი ს სერია: ვ ნ ე ბ ი თ ი მხოლოდ ამ ო რ ს ე რ ი ა ს ეწარმოება: თურმეობითში კი ყველა ზმნა გარდაუვალია: პირდაპირი წყობისა და ინვერსიულიც (არან. ჩიქობავა, 1981, გვ. 6). ამ თვალსაზრისითაც, გარდამავალი ზმნები დროთა III ჯგუფში გარდაუვლები ხდებიან და, მაშასადამე, მათი სახელობითში დასმულ ქვემდებარედ (სუბიექტად) მიჩნევა თითქოს კანონზომიერია.

ანალოგიურ თვალსაზრისს ატარებს ბ-ნი თ. უთურგაიძე (ლექციების კურსი „ქართული ენა“), ოღონდ მისთვის, რადგან თურმეობითი პერფექტული ფორმა — აქ ინიციატორის როლში გამოდის ქმედების შედეგი (როგორც ორპირიან მელიობასივებში და სტატიკურ ვნებითებში), ამიტომაც ის არის მიჩნეული სუბიექტად. ავტორი განაგრძობს, ეს თვალსაზრისი რომ მივიღოთ, ქვემდებარედ უნდა მივიჩნიოთ ინიციატორი და არა ქმედების ჩამდენი, როცა ისინი სხვადასხვა აქტანტებია (მაგ., ის ეცემინა მას. მოქმედებს მას, მაგრამ ის ინიციატორია და ამის გამო ქვემდებარეც). აქედან გამომდინარე, შემოუთვლიათ შემოთვალეს ფორმისაგან პერფექტულობით განსხვავდება: შემოუთვლიათ იმიტომ გაჩნდა ქართულ ენაში (თითქმის ჩვენ თვალწინ), რომ აწმყოში მიუთითოს წარსულ ქმედებაზე (შდრ. დაწერილ არს: დაწერილ წარსული დროა, არს — აწმყო. დრო — ესაა წარსული აწმყოში). თურმეობითში მოქმედებითი გვარის შედეგია წინ წამოწეული, ზმნა მასზე იგება, შედეგი გამოდის ინიციატორად და სუბიექტის ნიშანიც მას აქვს.

მაშასადამე, III სერიაში თუ მკაცრ თანმიმდევრობას გავატარებთ, შერწყმული წინადადება ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენლის ტიპის ზმნებთან დადასტურებული შერწყმული წინადადების ანალოგიურია.

მიუხედავად ამისა, ჩვენ III სერიის ფორმებთან ქვემდებარედ მივიჩნევთ მიცემითში დასმულ სახელს, რადგანაც III სერიის ფორმებში ეს ზმნა-შემასმენლები სათანადო გარდამავალი ზმნების (I და II სერიაში) გაგრძელებაა სემანტიკურად.

ერთგვარ ქვემდებარეებს რიცხვის ფორმა შეიძლება ერთნაირი ჰქონდეთ ან სხვადასხვა. მაგ.:

ა) ყველა ქვემდებარე მხ. რიცხვში დგას:

„ადამიანს ვარამი და ჭირო ალაპარაკებს“ (ილია, გვ. 271); „მაგას ქვეყანა და თემი გაიგებს“ (ყაზბ., გვ. 238); „ასიოდე ბაღმა და ჭაბუკმა მხიარული ყვილით მოჰყურცხლა იქით...“ (ჯავ., გვ. 40).

ბ) ყველა ქვემდებარე მრ. რიცხვში დგას:

„სულ სხვა თვალთ მიყურებდნენ ამხანაგებიცა და უფროებიც“ (აკაკი, გვ. 64); „ფაშები, ხოჭები და ბეგები ხარბად ჰგლეჯდნენ ამ ოქროს...“ (ჯავ., გვ. 455); „ქალები და ვაჟები რიგრიგობით უახ-

ლოვდებოდნენ მუხას“ (გამს., გვ. 83).

გ) ერთგვარ ქვემდებარეთაგან ზოგი მხ. რიცხვშია, ზოგიც მრავლობითში:

„ველარც ხვეწნა, ველარც მწუნარება, ველარც ცრემლები შეაყენებდნენ“ (ყაზბ., გვ. 264); „ულაზათოდ მოოქროვილა ამ ქინკილების ხელსაკიდები და საპირე“ (გამს., გვ. 32)¹.

ერთგვარ ქვემდებარეებს ხშირ შემთხვევაში ახლავს (ან არ ახლავს) ამხსნელი ანუ მიმყოლი სიტყვები. ამ თვალსაზრისით სამი შემთხვევაა განსახილველი (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 274):

1. ერთგვარ ქვემდებარეებს არ ახლავს მიმყოლი სიტყვები:

„მათი ხილამაზე და მწეთუნანაზობა არც ერთს გზას არ დააკარგინებს“ (აკაკი, გვ. 154); „რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არგუმენტაცია, ინტელიგენცია, კასსაცია და ფილოლოგია“ (ილია, გვ. 16); „... მხოლოდ სიმშვიდე, ღმობიერება და ბედთან შეგუება დაიფარავდათ უფრო დიდი უბედურებისაგან“ (ქილ., გვ. 275);

2. ყველა ერთგვარ წევრს ახლავს თავისი მიმყოლი სიტყვები:

„მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, ნაზი ბუნება განმართობულ ოცნებისათვის იზიდავდა კაცს“ (ყაზბ., გვ. 99); „... შემდეგ კი აქა-იქ თითქოს ხელის ფათური, ფრთხილი წრიპინი, ნელი ფრატუნი და ჟუნაური ფუსფუსი გაისმა“ (ჯავ., გვ. 214);

3. ერთგვარ ქვემდებარეთაგან ზოგს ახლავს მიმყოლი სიტყვები, ზოგს — არა:

„კაცობრიული მოპყრობა და სამართლიანობა მათ გულს სა-

¹ ამ რიგის წინადადებებზე სპეციალურ ლიტერატურაში ამ ბოლო დროს აღნიშნეს: „მორიდებით მიხდა ვიკითხო: სულიერი და უსულო ქვემდებარეების ან დამატებების შერწყმა დასაშვებია? ვთქვათ, „მამამ და შვილებმა პარკში გაისეირნეს“ შერწყმულია? — ალბათ, პასუხი უარყოფითი იქნება“ (ვ. იმანიშვილი, 2000, გვ. 198). მამამ და შვილებმა, ჭერ ერთი, ორივე სულიერ საგანს განეკუთვნება, მეორეც, ის რომ მამამ მხ. რიცხვშია და შვილებმა მრავლობითში, არაა უცნაური. ასეთ შემთხვევებში რელევანტური ერთგვარი წევრების წარმოდგენაა, რაც იწვევს სწორედ შემასწავლელის მრავლობით რიცხვში შეთანხმებას: მამამ და შვილმა პარკში გაისეირნეს. შდრ. მამამ და შვილებმა პარკში გაისეირნეს. შვილებმა-ს ებ მრავლობითის ნიშანი რომაა, აქ აშკარად არარელევანტურია, ზედმეტია. შვილებმა მხოლობით რიცხვში იქნებოდა თუ მრავლობითში. ცხადია, მნიშვნელობა არა აქვს.

რა თქმა უნდა, ჩანს, რომ ამ რიგის წინადადება შერწყმულია. ამდენად, შეკითხვის პასუხი დადებითია.

იმედოდ დაიმორჩილებს“ (ყაზბ., გვ. 144); „გაურკვეველი ბრაგუნი, ჭრაჭუნის და ხვნეშა ისმოდა“ (გამს., გვ. 15); „... იქვე ელაგა დამბარე-ბი, თოფები და ჭაზაირები, ოქროს ზარნიშოანი ხატეგრები, გადა-მონატული დამბარები, რკინის პერანგები, ჩუგლუგები და მუნა-რადები, ქართული უნაგირები, ამაზონური კაბები და ასალები“ (გამს., გვ. 390).

ზოგ შემთხვევაში ერთგვარ ქვემდებარეებს ახლავს საერთო და-ქვემდებარებული სიტყვა, რაც ქმნის უფრო მჭიდრო სინტაქსურ კონ-სტრუქციას (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 275):

„ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს“ (ილია, 229); „შეიქმნა ერთი საზოგადო სიცილი და ხარხარი“ (აკაკი, გვ. 22); „ამდენი ხნის ნათქვამა ჭავრმა და უბედურებამ ერთბაშად დარია ხელი აიეტს...“ (ქილ., გვ. 169).

ერთგვარი ქვემდებარეებისა და შემასმენლის შეწყობა სხვადას-ხვაგვარია. კერძოდ:

1. ერთგვარი ქვემდებარეები პრეპოზიციამა გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან:

„ზურნამ და ბარაბანმა მთელი მარაბდა გარეთ გამოიყვანა“ (ჯავ., გვ. 150); „არზაყანმა და კაცმა თვალი შეავლეს კუთხეში მწო-ლარე თეთრწვერა თხას“ (გამს., გვ. 23); „უჩვეულო სიტყვასა და სი-ნაწეს გული გაეებო მისთვის“ (გამს., გვ. 483);

2. ერთგვარი ქვემდებარეები პოსტპოზიციამა გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან:

„იგი ქირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა“ (შოთა, გვ. 42); „დაიწყეს ცოლმა და ქმარმა ბუზების თელა“ (ილია, გვ. 44); „იმას არ დაიტირებდნენ არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესაობა“ (ყაზბ., გვ. 277); „... ამიტომ მეორე დღიდანვე იქიდანაც დაიწყო დენა ზორბალმაც და ურმებმაც“ (ჯავ., გვ. 239); „ჭეჭილში ჩაიშრილა თვალგახელილმა ყანამა, მთით მობერილმა ნიავმა, ნარგიზის იავნანა-მა...“ (კალ., გვ. 35);

3. გარდამავალი ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ქვემდებარეებს შო-რისაა:

„სპარსელები უმღეროდნენ ბულბულებს და ქართველი პოეტე-

ბი“ (გამს., გვ. 38); „არც გორის ციხე მოგვეცემს რამეს, არც უფლის ციხე და არც მცხეთის ტაძარი, არც ტფილისელი სიონი და არც ბეთანია“ (გამს., გვ. 384).

ამ შემთხვევაში შთაბეჭდილება ისეთი რჩება, თითქოს შერწყმის პროცესი არ იყოს დასრულებული (ა. კიზირია, 1953, გვ. 23).

ერთგვარი ქვემდებარეები გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთანაც გვხვდება:

1. ერთგვარი ქვემდებარეები პრეპოზიციისაშია გარდაუვალ ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან:

„რა უვირილო და ჭყვილო ატყდებოდა ხოლმე“ (ილია, გვ. 35); „ამ მომზვერალთა შორის ელგუჭა და მათიაც ერიენენ“ (ყაზბ., გვ. 120); „მდინარის ჩხრიალი, ტურების მოთქმა და ცხენების ზვიხვინი არეულიყო ერთმანეთში“ (ქილ., გვ. 175);

2. ერთგვარი ქვემდებარეები პოსტპოზიციისაშია გარდაუვალ ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან:

„ისმოდა იარალის ფლარუნი, უშვერი ლანძღვა და მუქარა...“ (ჯავ., გვ. 509); „თავჩაქინდრული იდგნენ ფრთიანი სერაფიმები და ქერუბიმები მთვარიან ღამეში“ (გამს., გვ. 167); „სწორედ ამ ასოების მზერისას ახშიანდება ჩემს გულში სახე, ფერი და მოძრაობა“ (გამს., გვ. 242);

3. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ქვემდებარეებს შორისაა:

„შუაკაციც ის არის და წინამძღოლიც, მოპრიგებელიც და მსაჯულიც, გლეხის მოსარჩლე და ჭირისუფალიც, მრჩეველიც და გზირიც...“ (ჯავ., გვ. 111); „ამ ველზე ოდესღაც დადიანისეული ტყე იყო, გაუვალი ჭაობები, ლისი, ლაქაში და უნაყოფო ეწერი“ (გამს., გვ. 162); „გაქცევამდე არც შიმშილი არსებობდა, არც წყურგილი და არც ხიფათებით სავსე ღამე...“ (ქილ., გვ. 238).

რამდენიმე ქვემდებარე გარდაუვალ ერთპირიან ზმნა-შემასმენელთან ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ უ რთიერთობაშია: ერთგვარი ქვემდებარეები (მსგავსად ანალოგიური მარტივი წინადადების ქვემდებარისა) ზმნა-შემასმენელს მართავენ პირში და ითანხმებენ რიცხვში (ზოგჯერ ორივეს ერთდროულად). ორპირიან გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან კი

ერთგვარი ქვემდებარეები კოორდინაციულ ურთიერთობაშია: ზმნა-შემასმენელი მართავს ქვემდებარეებს სახელობით ბრუნვაში¹, ხოლო ერთგვარი ქვემდებარეები მართავენ ზმნა-შემასმენელს პირში და ითანხმებენ რიცხვში (ზოგჯერ ორივეს ერთდროულად):

1. ერთგვარი ქვემდებარეები პრეპოზიციისაშია ორპირიან გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან:

„**მარაბდელები, ქოტისელები, ფარცხელები და ახლო-მანლო-ელნი** ზაალის კარავს შემოხვეოდნენ“ (ჯავ., გვ. 53); „**ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი** თანასწორად ეჩვევა სიმარდეს“ (აკაკი, გვ. 14);

2. ერთგვარი ქვემდებარეები პოსტპოზიციისაშია ორპირიან გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან:

„**რაში ჰგავდნენ ერთმანეთს მძინარე და წარმავალი?**“ (ილია, გვ. 310); „**მე მუდამ მძაგდა სცენაზე გასული ქალიცა და კაციც...**“ (გამს., გვ. 404);

3. ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ქვემდებარეებს შორისაა:

„**ან კისერი** მოსწყდება კაცსა, **ან თვითონვე ფეხი**“ (ილია, გვ. 35); „**აფხაზეთი** მენატრება, **ჩვენი მთები, ჩვენი ღვინო, ჩვენი პილპილი და წითელი ტალახი**“ (გამს., გვ. 309).

ერთგვარ ქვემდებარეებთან შემასმენლის რიცხვში შეწყობისათვის საზოგადო მნიშვნელობა აქვს ამ წევრთა ლექსიკურ შინაარსს, მათ წყობას და კავშირებს (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 275).

ახლა განვიხილოთ შემდეგი შემთხვევები:

ა) ერთგვარ ქვემდებარეებთან შეწყობილი პირველი თუ მეორე პირის ფორმით გადმოცემული ზმნა-შემასმენელი ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას:

„**მე და შენ, დაო, ესრე ვქნათ**“ (ვაჟა, I, გვ. 571); „**მე და შენ უნდა** გამოვეთხოვოთ ოქუშს“ (გამს., გვ. 550); „**შემოვრჩით მე და შენ მღუმარე ველთა...**“ (კალ., გვ. 302);

¹ „ან კისერი მოსწყდება კაცსა, ან თვითონვე ფეხი“ (ილია, გვ. 35) რიგის წინადადებაში **კისერი** და **ფეხი** იმდენადაა მართული სახელობითში, რამდენადაც **მოსწყდება** ზმნა-შემასმენლის მიერ **კაცსა** (O^{მძ}) — მიცემით ბრუნვაში.

ბ) ერთგვარი ქვემდებარეები I და III პირის ნაცვალსახელებითაა გამოხატული:

„მე და პეპია ვიყავით მარტო უბედურნი“ (ილია, გვ. 208); „მე და ტრაფარეტი მუდამ მოსისხარები ვიყავით“ (ასათ., გვ. 323);

აქ მოყვანილ ნიმუშებში რიცხვში შეთანხმების აუცილებლობა იმითაცაა განპირობებული, რომ პირველი და მეორე პირის ნიშნები პრეფიქსებითაა გამოხატული, და, თუ პირველ (ან მეორე) პირთან ერთად მესამე პირის სახელიც იქნება ქვემდებარედ, მაშინ ზმნაში მისი აღნიშვნის საჭიროებაც თავს იჩენს და ეს გამოჩნდება რიცხვის ნიშნის გამოხატვაში. გარდა ამისა, ეს პირები ერთად გვაძლევენ „ჩვენ“ ნაცვალსახელის გაგებას და ბუნებრივია, რომ შეთანხმება მრავლ. რიცხვში უნდა იყოს (ა. კიზირია, 1953, გვ. 231);

გ) ერთგვარი ქვემდებარეები II და III პირითაა გამოხატული:

„მერე ღმერთს რა პასუხს მისცემთ ან შენ და ან დედაშენი...“ (ილია, გვ. 173); „შენ და შენი თოფი სულ მუდამ გამარჯვებულები ხართ...“ (ვაჟა, II, გვ. 46).

სხვადასხვა პირებით გამოხატულ ერთგვარქვემდებარიან წინადადებაში აშკარაა, რომ ყველაზე მეტი სინტაქსური ძალა პირველ პირს აქვს, შემდეგ — მეორეს (მე და მას ან მე და შენ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელს ითანხმებს რიცხვში I პირი, III და II პირთან კი — მეორე)¹.

ცალკეა აღსანიშნავი სხვა შემთხვევებიც:

1. თუ ერთგვარი ქვემდებარეები სულიერი საგნების სახელითაა გადმოცემული, მასთან შეწყობილი შემასმენელი ჩვეულებრივ მრავლ. რიცხვში დგას:

„ბოლოს ყველანი გავიდნენ — აჭარლებიც, ყარაფაფხებიც, ლეკებიც, მთიულელებიც და ქურთებიც“ (ჯავ., გვ. 549); „არზაყანმა და კაცმა თვალი შეავლეს კუთხეში მწოლარე თეთრწვერა თხას“ (გამს., გვ. 23);

2. როცა სულიერი საგნების სახელით გადმოცემულ ერთგვარ

¹ ამას წინათაც ვაძინებდნენ ძველი გრამატიკოსები. მაგალითად, ქ. მონთობანს ანონიმი ავტორის მიერ გამოქვეყნებულ „მოკლე ქართულ გრამატიკაში...“ ეხვდებით, რომ „თუ მრავალი მხოლოდობითი სახელი სხვადასხვა პირს განეკუთვნება ზმნა შეთანხმდება იმ პირს, რომელსაც აქვს უპირატესობა. მაგალითად: მე და გიორგი ვასრულებთ თანამდებობას ჩვენსა“ (დ. ჩხუბიანაშვილი, 1966, გვ. 203).

ქვემდებარეებს საერთო განსაზღვრებად ახლავს სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვა (ბევრი, რამდენიმე, მრავალი, ყველა...), შემასმენელი მხ. რიცხვში დგას (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 276):

„დიდი და ბატარა, ყველა ყურებში ავლებდა ხელს“ (აკაკი, გვ. 58); „ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს“ (აკაკი, გვ. 14);

3. უსულო საგნების აღმნიშვნელ ერთგვარ ქვემდებარეებთან შემასმენელი მხოლოდით რიცხვში დგას:

„ებლა კი დარდი და ნაღველი არ აცლიდა“ (ილია, გვ. 265); „ალბათ ჩემმა ბედმა და იღბალმა გადომამადლო აქეთ“ (ყაზბ., გვ. 329).

ზმნა-შემასმენელი მრ. რიცხვში დგას იმ შემთხვევაში, თუ ქვემდებარე აქტიურ სუბიექტს გულისხმობს (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 276):

„ყურე და თერგი ერთმანეთს ებრძოდნენ“ (ილია, გვ. 18); „მას უდარდელად აცხოვრებდნენ... მტკვარი, განიერი მკერდი, ვეება მუშტები და ლაზღანდარული ყბელობა...“ (ჩავ., გვ. 484);

4. თუ ერთგვარქვემდებარიან წინადადებაში მაცალკეებელი კავშირებია, შემასმენელი უახლოეს ქვემდებარეს უწევს ანგარიშს (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 276):

„ხან ის მღერის, ხან მისი შვილები, მაგრამ: ხან მისი შვილები მღერიან, ხან ის.“

5. თუ ჭერ შემასმენელია და შემდეგ სულიერი საგნების სახელებით გადმოცემული ერთგვარი ქვემდებარეები, ზოგჯერ შემასმენელი უახლოეს, ყველაზე წინ მდგომ ქვემდებარეს უწევს ანგარიშს და მხ. რიცხვში დგას. მაგ.:

„ასე ტბილად ატარებდა დროს კაი ხნის განმავლობაში პატარა გამღელი და მისი ჭიკჭიკა შეილობილი“ (გოგებ., გვ. 36).

ერთგვარქვემდებარიან შერწყმულ წინადადებათ¹ სქემა შეიძლება

¹ ასეთ წინადადებათა მსგავსად ტოლადშერწყმულ ქვემდებარესთან შემასმენელი როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში დგას. თუმცა აღნიშნავენ, რომ ასეთი წინადადება სტრუქტურულად მარტივია (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 276). მაგ.: „წირვა-ლოცვას უიშისოდაც არ ვაკლდებოდე...“ (ილია, გვ. 108); „ცოლ-ქმარმა გაოცებით ერთმანეთს შეხედეს“ (ილია, გვ. 132).

ანალოგიური ვითარება დასტურდება დიალექტებშიც. მაგ.: „იარეს ღედა-შვილმა და მივიდნენ ღევების ბინაში“ (ასეთ შემთხვევათა შესახებ იხ.: გ. ბურჭულაძე, 1991, გვ. 23).

გამოიხატოს შემდეგნაირად:

გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი მართავს ერთგვარ ქვემდებარეებს ბრუნვაში	სახელობითში	მოთხრობითში	მიცემითში
ორპირიანი გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი მართავს ერთგვარ ქვემდებარეებს ბრუნვაში	სახელობითში	—	—
ერთგვარი ქვემდებარეები ზმნა-შემასმენელთან შეიძლება შეგვხვდნენ	მხოლოდით მრავლობით მხოლოდითსა და მრ. რიცხვში, რიცხვში ან მრავლობით რიცხვში ერთად		
ერთგვარი ქვემდებარეები მართავენ ზმნა-შემასმენელს პირში (ან ითანხმებენ რიცხვში ერთდროულად)	I, II ან III პირში		
ერთგვარ ქვემდებარეების ადგილი ზმნა-შემასმენელთან	მოსდევს, წინ უსწრებს ან ზოგი წინ უსწრებს, ზოგიც მოსდევს		

§.II.2. **ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება.** ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგ., ა. პეშკოვსკის მიაჩნია, რომ ერთგვარშემასმენლიანი წინადადებაში იმდენი ცალკე წინადადებაა, რამდენიც შემასმენელი. ამ მოსაზრებას იზიარებენ სხვებიც. ა. შახმატოვის სიტყვით კი „არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ რამდენიმე შემასმენლის ქონა შეესაბამება რამდენიმე წინადადების არსებობას...“. მისივე აზრით, ქვემდებარესთან შეწყობილი მრავალი შემასმენელი პირობითად შეიძლება ჩავთვალოთ შერწყმულად (ა. კიზირია, 1953, გვ. 204)¹.

ერთგვარშემასმენლიანი წინადადებაში რამდენიმე შემასმენელი გვაქვს ერთ ქვემდებარესთან. შემასმენელი მარტივია ან შედგენილი. ამის მიხედვით ერთგვარშემასმენლიანი წინადადება სხვადასხვაგვარია:

ა) ქვემდებარეს ახლავს რამდენიმე მარტივი შემასმენელი:

„მე ჩაი დავისხხი და ერთი ქიქა იმას დავუღღი“ (ილია, გვ. 18);

„ონისე გაჟრჟოლდა, აღელდა და თავდავიწყებაში ჩავარდა“ (ყაზბ., გვ. 603);

¹ ქართველ გრამატიკოსთაგან კი, როგორც აღნიშნავენ, ი. სიხარულიძემ, წინამორბედ გრამატიკოსთაგან განსხვავებით, ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადება ცალკე გამოყო: „შერთულ წინადადებაში რამდენიმე შემასმენელია ერთ ქვემდებარესთან“ (ლ. კვანტალიანი, 1990, გვ. 179-180).

ბ) ქვემდებარეს ახლავს რამდენიმე შედგენილი შემასმენელი:

„მყინვარი! დიდებულოა, მუჟდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცვიფა და თეთრი“ (ილია, გვ. 22); „ღამე იყო უჩიო, მშვენიერი და თბილი“ (ყაზბ., გვ. 57).

ზოგჯერ წინადადებაში წარმოდგენილია ერთგვარი შემასმენლები, ქვემდებარე კი არ ჩანს. იგი იგულისხმება წინა ნათქვამისა თუ ზმნის ფორმათა მიხედვით (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 278). მაგ.:

„შემდეგ სწრაფად გადასახა პირვეარი, ახსენა სახელი ღვთისა, იშვირა ფეხი...“ (ილია, გვ. 168); „ეს ამოდენა ვაჟკაცი წავბარბაცდი და წავაწვდი ღობეს“ (ილია, გვ. 181); „მიმიკეტეს კარები და დამტოვეს მარტო“ (აკაკი, გვ. 22);

პირველ წინადადებაში გამოტოვებულია ქვემდებარე „მღვდელი“, მეორეში — „მე“, მესამეში კი — „მათ“.

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარის აღგილი თავისუფალია. იგი შეიძლება იყოს ერთგვარ შემასმენლების წინ, მათ შორის ან შემდეგ. მაგ.:

I. ქვემდებარე პრეპოზიციითაა ზმნა-შემასმენლებთან:

„ვირმა წიხლი ჰკრა, კბილები ჩამატვრია მგელსა“ (საბა, გვ. 67); „ღვინო ჯერ უნდა აღუღდეს, აიროს-დაიროს და მერე დაწმნდება ხოლმე“ (ილია, გვ. 13);

II. ქვემდებარე პოსტპოზიციითაა ზმნა-შემასმენლებთან:

„აი, მიდის და ებრძვის წყალს მღვდელი“ (ილია, გვ. 169); „დილიდან საღამომდე წკრიალებდა, კიხკიხებდა და ფერხორციოთ იგსებოდა კეთილშობილი ღვინო...“ (ქილ., გვ. 13);

III. ქვემდებარე ერთგვარ ზმნა-შემასმენლებს შორისაა:

„დაბერდა ბენჯვი, თორღავ, დაბერდა და დაზარმაცდა“ (ყაზბ., გვ. 750); „აილო ისევ კაც ზვამბაიამ, გაავსო და მებორნეს შიაწოდა [ქიქა]“ (გამს., გვ. 24).

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია ერთგვარშემასმენლიან წინადადებაში ზმნა-შემასმენელი წარმოდგენილი იყოს როგორც ერთი და იმავე დრო-კილოს ფორმით, ასევე სხვადასხვითაც (ა. კიზირია, ლ. კვაჭაძე, რ. ქიკაძე...). მაგ.:

ა) ზმნა-შემასმენლები ახლანდელი დროის ფორმითაა გადმოცემუ-

ლი:

„ლუარსაბს უღონდება გული, სული ეხუთება...“ (ილია, გვ. 110); „... ეხლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველივით იკლაკნება“ (ყაზბ., გვ. 98);

ბ) ზმნა-შემასმენლები წარსული დროის ფორმითაა გადმოცემული:

„სულ იმ სამის დღით წასვლა შეილისა აგონდებოდა და აფრთხობდა“ (ილია, გვ. 264); „იმთაც, რასაკვირველია, შემოიბრუნეს შეშის კონა, გადააფარეს ჩოხად და შეჭქმნეს ღრიალი“ (აკაკი, გვ. 28); „ყაყაჩოსავით სახეაბრიალებული უცხოელიც... ტრიალებდა, იღიმებოდა და ითმენდა“ (ქილ., გვ. 13);

გ) ზმნა-შემასმენლები მომავალი დროის ფორმებითაა გადმოცემული:

„ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე“ (ილია, გვ. 243); „ვერ მოგატყუებ, ვერ გიღალატებ...“ (ყაზბ., გვ. 56); „დედოფალას შიგ ჩახდებს... და წყალში გადააგდებს“ (გამს., გვ. 82);

დ) ზმნა-შემასმენლები სხვადასხვა დროის ფორმითაა გადმოცემული:

„... წელანაც ვგრძნობდი და ეხლაცა ვგრძნობ“ (ჭავ., გვ. 61); „ლუკაიამ გარეთ გამოიყვანა კაც ზეამბაია და შერვაშიძეების ახალმოსახლეობას აცნობს“ (გამს., გვ. 78).

სამეცნიერო ლიტერატურაში იმაზეც მიუთითებენ, რომ ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი შემასმენლები შეიძლება გადმოცემულნი იყვნენ როგორც ერთი და იმავე მწკრივის ფორმით, ასევე სხვადასხვითაც (ლ. კვაჭაძე, 1996; რ. ჭიკაძე, 1995). მაგ.:

I. ზმნა-შემასმენლები ერთი და იმავე მწკრივის ფორმითაა; ზოგიერთი ნიმუში:

აწმ.-აწმ.:

„შავი კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბლავის... თავის გარეშემოსა“ (ილია, გვ. 23); „აი, მიდის და ებრძვის წყალს მღვდელი“ (ილია, გვ. 169);

წმგ.-წმგ.:

„ამგვარად ხალხმა პირვეარი გადიწერა, ახსენა თავისი სალოცა-
ვები...“ (ყაზბ., გვ. 29); „ქალმა... სცადა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ
სწრაფად ისევ თავი დახარა და მთრთოლარეს თითებით ნაწნავის წვე-
რებს ძენძნა დაუწყო“ (ყაზბ., გვ. 612);

უწყ.-უწყ.:

„უროყინებდა სიმღერის ხმაზედ გაბრუებულნი ლუარსაბი, ჰბო-
დავდა რალაცეებსა...“ (ილია, გვ. 217); „ფიქრი კი მაინც ერჩოდა,
ექიდებოდა“ (ილია, გვ. 261);

მყ.-მყ.:

„აი, მე გაგლანძღავ... დაგტუქსავ, დაგწყევლი...“ (ილია, გვ.
50); „შევაბამ ტროიკაში ცხენებს, ჩავაწვენ შიგ ნუნუს, ზედ წავაყრო
პატარა თივას...“ (ყაზბ., გვ. 334);

I თურმ.-I თურმ.:

„... ფერია არწივად გადაქცეულა, შეპარულა... და ისე გამობა-
რულა“ (ილია, გვ. 49); „მუშტებად შეკრული ხელები მკერდზე დაუკ-
რეფია ბაბუა ტარიელს, თითქმის ნიკაპთან მიუტანია“ (გამს., გვ. 34);

II თურმ.-II თურმ.:

„ორი ქრა კიდევ გაეკეთებინა და ასე ვაზის რქაც ჩაეყარა“
(ილია, გვ. 277); „ამისთვის ის ამდგარიყო, გამოსულიყო გარედ და
დასუსტებული წმინდა ჰაერზე კარებთან დამჭდარიყო“ (ყაზბ.,
გვ. 295).

II. ზმნა-შემასმენლები სხვადასხვა მწკრივის ფორმებითაა გადმო-
ცემული:

წყგ.-აწმ.:

მიწიდან ყურშა ამოხტა და გაგოჟდა: ჰყეფს, ხტის...“ (ჯავ., გვ.
90); „მერმე... გავზარდე, ახლა გამოვებ ენგურის ქალებში“ (გამს.,
გვ. 23);

II თურმ.-უწყ.:

„... ნათალი თავი სოფლისკენ მიეგრიხნა, შუბლზე ნაოქები მო-
ეგროვებინა, ერთი წარბი მოზიდული მშვილდით აეგრიხნა, თხელ
ნესტოებს თავის ლურჯასავით აცახცახებდა და სოფლის გმინვას ისე

უგდებდა ყურს..." (ჯავ., გვ. 194).

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 62), ერთგვარი შემასმენლების სხვადასხვა დროსა და მწკრივში გადმოცემა შერწყმულ წინადადებაში ტრადიციულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში (რასაც ჩვენს მიერ დამოწმებული ზოგი წინადადებაც მოწმობს). ჩვენთვის სხვადასხვა დროისა და მწკრივის შემასმენლებითი თქოს არ იძლევიან ერთგვარობის გაგებას. მაგ., წინადადებაში „ლუკაიამ გარეთ გამოიყვანა კაც ზვამბაია და შერვაშიძეების ახალმოსახლეობას აცნობს“ (გამს., გვ. 78) გამოიყვანა ლუკაია-მ (მან) და აცნობს ლუკაია (ის) ნიმუშის მიხედვით, დროულმა განსხვავებამ თითქოს შეაპირობა სტრუქტურული განსხვავება ბრუნვათა მიხედვით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ზმნის გარდამავლობას აქვს წამყვანი მნიშვნელობა: აცნობს ზმნა გარდამავალია, კონკრეტულ შემთხვევაშია მასთან ქვემდებარე სახელობით ბრუნვაში, ხოლო, თუ მას გადავიყვანთ წყვეტილში, მსგავსად გამოიყვანა-სი, ქვემდებარე აქაც მოთხრობით ბრუნვაში დადგება. ე. ი. სტრუქტურული სხვაობა ბრუნვათა მიხედვით აქ არარელევანტურია და მოჩვენებითი.

ერთგვარი ზმნა-შემასმენლები შეიძლება გამოხატავდნენ:

ა) მოვლენათა ერთდროულობას:

„მხეცი და კაცი... რამოდენიმე ხანი იბრძოდნენ და ფართხალებდნენ“ (ყაზბ., გვ. 65); „ეს სახელი დიდ მოხელეს ადვილად მიეკერა და შერჩა“ (ჯავ., გვ. 39); „ირგვლივ საზარელი მოჩვენებები დაძრწოდნენ, დაშლივინობდნენ... ფაჩუნებდნენ, კიოდნენ და ხარხარებდნენ“ (ჭილ., გვ. 96);

ბ) მოვლენათა თანამიმდევრობას:

„მერე აკრიბა სადავეები, „მწუ, მწუო“ დაუწრუწუნა უქმელობისაგან გადალეულს... ცხენებს და მოუღერა შოლტი“ (ილია, გვ. 10); „მოვაგროვე აბლაბუდა, დაგიდევი სქლად გაქრილზე... და შეგიკარი მაგრად“ (აკაკი, გვ. 48); „... მირბოდნენ..., წაიქცეოდნენ, ისევ დგებოდნენ და არზაყანის ფაცხისაკენ მირბოდნენ სროლით“ (გამს., გვ. 492);

გ) მოვლენათა მიზეზ-შედეგობრიობას:

„ამ ყოფას ის ჩემი ფრანციელი ფანჯრიდამ უყურებდა და სიცი-

ლითა სკდებოდა“ (ილია, გვ. 10); „აქ მამაჩემმა მეტი შეურაცხყოფა ველარ აიტანა და სტაცა კისერში ხელი“ (აკაკი, გვ. 30);

დ) მოვლენათა თანამიმდევრობას და მიზეზ-შედეგობრიობას:

„გამწარებულმა გლებმა გაიმეტა თავი..., გამოგლოჯა ბურაკი, მოჭრა მარჯვენა ფეხი და დანარჩენი ისევ გადაუგდო“ (აკაკი, გვ. 38); „ეურვამ გაახალისა, ბუნება გაუხსნა, დაუწმინდა და გაუსუფთავა“ (ქილ., გვ. 348);

ე) სუბიექტის მოქმედების ჩამოთვლა-დასახელებას:

„ეს ხუმრობა... შეურაცხყოფად მიიღო და ხმამალა ლაპარაკი დაიწყო“ (აკაკი, გვ. 33); „ელგუჯას თვალები აენტო, გული აემღვრა...“ (ყაზბ., გვ. 12); „ლურჯამ... თავისი მომთვინიერებლის გვამი დასუნა, ცალი ფეხი ჩაჭკრა... და ზურგი მიუშვირა“ (ჯავ., გვ. 663);

ვ) დაპირისპირებას, მონაცვლეობა-რიგ-რიგობას:

„ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდამ არ დაიძრნენ“ (ილია, გვ. 10); „უნებურად ხან ხმალზე ისვამდა ხელს, ხან ხანჯალს აწვალებდა, ხან კიდევ წელზე დამბაჩას ისინჯავდა“ (ჯავ., გვ. 87).

ერთგვარ შემასმენლებს ჩვეულებრივ ერთი და იმავე რიცხვის ფორმა აქვთ:

„ურმები ქვეშეთს ჩამოვიდნენ, შემოგროვდნენ იქავ მდებარე ფაცხასთან და გაჩერდნენ“ (ყაზბ., გვ. 123); „რუსებმა ოსმალეთი თქვენ თვალწინ შემუსრეს, სპარსეთი დააჩოქეს, პოლონეთი შეჭობეს, ნაპოლეონიც კი დაიფრინეს...“ (ჯავ., გვ. 636).

გვხვდება მათი სხვადასხვა რიცხვის ფორმით შეწყობის შემთხვევებიც; ეს ხდება მაშინ, როცა ერთგვარ შემასმენლებს მრ. რიცხვის შემკველი ლექსიკური მნიშვნელობის სიტყვა ახლავს:

„რამდენიმე კაცი მიუახლოვდა გუგუას... და წინ წააყენეს“ (ყაზბ., გვ. 107)¹; „ფეხშიშველა ბავშვების მთელი ლაშქარი უკან მისდევდა ხუცესს, დასცინოდნენ, აპამულაგებდნენ...“ (გამს., გვ. 94).

ერთგვარ შემასმენლიანი შერწყმული წინადადების განხილვისას


¹ ეს ქართულ დიალექტებშიც ცნობილია. მაგ.: მთიულური: „ადამიანობა მიდის და ტირიან სულა“ (დიალექტ., 1961, გვ. 60); გუდამაყარული: „მოდის ლაშქარი, ცხენ-ქორაკებზე სხედან“ (იქვე, გვ. 87) და სხვ.

მკვლევრები მიუთითებენ, რომ ასეთი ტიპის წინადადების კომპონენტებს აქვთ საერთო სიტყვა, რომელიც მეორდება ან იგულისხმება იმავე ან სხვადასხვა წევრად. მას „საერთო“, „საზიარო“ წევრს უწოდებენ, უფრო ხშირად კი „მისამართ“ წევრად მოიხსენიებენ (რ. ჭიკაძე, 1995, გვ. 143).

მისამართი წევრი შემასმენლებთან დაკავშირებულია სემანტიკურად და გრამატიკულადაც. მისი როლი და ადგილი წინადადების აღნაგობის დადგენაში უაღრესად მნიშვნელოვანია. სწორედ მისამართი წევრითა და ზმნა-შემასმენელთა ურთიერთობით დგინდება შერწყმულ და თანწყობილ წინადადებათა სტრუქტურული ურთიერთმიმართებანი (რ. ჭიკაძე, 1995, გვ. 143).

ტრადიციულად, ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებს მხოლოდ ქვემდებარის გარშემო აჯგუფებენ. მაგ.:

„ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება“ (აკაკი, გვ. 13); „ონოფრე შესდგა, ... მოიწურა ცრემლები, გახსწორდა და თავმალაალებულმა იქაურობას თვალი მოავლო“ (ყაზბ., გვ. 740);



პირველ რიგის ნიმუშში ერთ საერთო ქვემდებარესთან ყველა ზმნა-შემასმენელი გარდაუვალია და ერთპირიანი. ქვემდებარე ასეთ შემთხვევაში მ ა რ თ ა ვ ს ზმნა-შემასმენელს პ ი რ შ ი (იბადებ-ა, იზრდება-ა, იშლება-ა, იფურჩქნება-ა) და ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს რ ი ც ხ ვ შ ი (ყველანი იბადები-ან, იზრდები-ან, იშლები-ან, იფურჩქნები-ან). აქაა ს უ ბ ო რ დ ი ნ ა ც ი ა, ზუსტად ისე, როგორადაც ეს ხდება, მაგალითად, რუსულში (იქ დამატებით შეიძლება შეითანხმოს სქესსიტ: Она встала и вышла из комнаты „ის (მდ. სქესი) აღგა და გამოვიდა ოთახიდან“; შდრ. Он встал и вышел из комнаты „ის (მამრ. სქესი) აღგა და გამოვიდა ოთახიდან“).

მეორე რიგის შემთხვევაშიც ერთი საერთო ქვემდებარეა (ონოფ-

რე), რომელიც ყველა ზმნა-შემასმენელს მართავს პირში (შესდგ-ა¹, მოიწურ-ა, გასწორდ-ა, მოავლ-ო), ი თ ა ნ ხ მ ე ბ ს რ ი ც ხ ვ შ ი ² (ისინი შესდგ-ნენ, მოიწურ-ეს, გასწორდ-ნენ, მოავლ-ეს)... მაგრამ აქ უკვე ზმნა-შემასმენლები ა რ ა ე რ თ გ ვ ა რ ო ვ ა ნ ნ ი არიან: შესდგა და გასწორდა გარდაუვალა, ხოლო მოიწურა და მოავლო — გარდამავალნი.

ამიტომაცაა, რომ შესდგა და გასწორდა ზმნებთან ქვემდებარეს არ მართავს ბრუნვაში ზმნა-შემასმენელი, მაშინ როცა დანარჩენ შემთხვევებში იგი მართულია ბრუნვაში (ონოფრემ — მან).

ცხადია, მეორე რიგის შემთხვევაში ზმნა-შემასმენლები გარდამავლობისა და გარდაუვლობის (გვარის), პირთა რაოდენობის მიხედვით (ერთი და მრავალპირიანი) განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც წინადადების სტრუქტურაშიც დაჩნდება.

ამიტომაც, ამ რიგის წინადადებები უნდა ჩაითვალოს რ თ უ ლ თ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ წინადადებად, რომელიც ო რ ი დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი შ ე რ წ ყ მ უ ლ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი ს ა გ ა ნ შ ე დ გ ე ბ ა :

I. ონოფრე... შესდგა, გასწორდა

II. ონოფრემ... მოიწურა ცრემლები და თავმალააღებულმა იქაურობას თვალი მოავლო.

მონოპერსონალურ ზმნა-შემასმენელთან საერთო წევრი მუდამ სახელობით ბრუნვაშია. ე. ი. არაა მართული ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში (ე. წ. სუბორდინაცია). ხოლო პოლიპერსონალურ ზმნა-შემასმენლებთან წინადადებაში კი ზმნა-შემასმენლები სხვადასხვა ბრუნვაში მართავენ ქვემდებარეს (კოორდინაციის ერთ-ერთი ნიშანი). როდესაც წინადადებაში რამდენიმე ზმნა-შემასმენელია ერთ ქვემდებარესთან და ეს ზმნა-შემასმენლები განსხვავებულია გარდამავლობისა და მწკრივების მიხედვით, რა თქმა უნდა, ქვემდებარე ყველას ერთსა და იმავე ბრუნვაში არ ეწყობა. მიღებული თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე იმას უწევს ანგარიშს, რომელი ზმნა-შემასმენელიც (გარდამავალი

¹ ხ აქ სალიტერატურო ენის მიხედვით ზედმეტია.

² ეს საზოგადოდ, თუ ონოფრეს ნაცვლად იქნება საზოგადო სახელი, მაგ. კაცი. კონკრეტულ შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, არ ითანხმებს რიცხვში.

თუ გარდაუვალი)¹ უახლოესია მასთან.

ასეთი თვალსაზრისი კარგა ხანია გატარებულია ლ. კვაქაძის, ა. კიზირიასა და სხვათა შრომებში. მაგ.:

„ამ სიტყვებით თორღა გაბრუნდა, მივიდა, გამოშიგნა ფაშვი, წმინდად გარეცხა იქვე ჩამონადენ წყაროში და გაუღდა თავის ამხანაგს“ (ყაზბ., გვ. 280); „გლეხკაცები იქ დარჩნენ კიდეც რამდენიმე ხანი, შესჩივლეს ერთმანეთს თავიანთ მწუხარე მდგომარეობაზედ, მოიფხანეს თავები და დაიშალნენ სიტყვებით...“ (ყაზბ., გვ. 227).

თუ ერთგვარი წევრების განსაზღვრას გავიხსენებთ, რომ ისინი სტრუქტურულად და ფუნქციურად იდენტური უნდა იყვნენ და შევადარებთ მას ზემოთ ნათქვამს, შეუსაბამობაა. ჩვენ ამის შესახებ დაწვრილებით გვქონდა საუბარი ერთგვარი წევრების რაობის შესახებ მსჯელობისას და აღვნიშნეთ, რომ მხოლოდ ისეთი შემასმენლები ჩაითვლებიან ერთგვარად, რომლებიც ერთნაირნი არიან გარდაუვალობა-გარდამავლობის (გვარის) მიხედვით.

„... მოხუცმა კაცმა აანთო სანთელი, წყნარად გადიწერა პირჯვარი, მივიდა ქალთან, გამოართვა ხელი, ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზები და მოუბრუნდა ონისეს“ (ყაზბ., გვ. 496); „ის შემოვიდა, დაჯდა, წყნარად ჯიბიდან ამოიღო ჩიბუხი, გამობერტყა ხელის გულზედ, მერე ამოიღო ქისა, გაფშენიტა თამბაქო, ჩაყარა ჩიბუხში და ისევ აუჩქარებლად დაუწყო ტალკვის კეცება“ (ყაზბ., გვ. 62).

¹ მაგრამ ქართლის დიალექტებში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა ზმნა-შემასმენელი შერწყმულ წინადადებაში თითქოს მართავს ბრუნვაში გარდაუვალ ზმნასაც გარდამავალის დარად: „ქალმა ჩევიდა ჯარგვალაში და ჩააგლო კვერი“ (ვ. თოფურია, 1923, გვ. 118). პირველი ზმნა-შემასმენელი ჩევიდა გარდაუვალია. მოსალოდნელი იყო ქვემდებარე მასთან მდგარიყო სახელობით ბრუნვაში. რაკი ეს გურული დიალექტის მონაცემია, შეიძლება გვეფიქრა მეგრულის გავლენაო (ი. ყიფშიძე), მაგრამ, როგორც ვ. თოფურიამ ცხადყო, აქ ამ გავლენას ვერ ვივარაუდებთ, რადგან ასეთი შემთხვევები მთის კილოებშიც დასტურდება. ამიტომაც ასეთი „კონსტრუქციის ექვემდებარეული ახსნა“ (ვ. როგავა, 1980, გვ. 278) მდგომარეობს მეზობელ გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარის მართვის ანალოგიაში. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა არნ. ჩიქობავას მიერ მთიულური კილოს მასალებში დადასტურებული მაგალითი: „ადგა ბიქსა და გამაედლიდა“ (ვ. თოფურია, 1923, გვ. 120, სქოლიო 1). ცხადია, ბიქსა, მართალია, უშუალოდ ადგა ზმნასთანაა, მაგრამ მართულია მისგან და კავშირით დაცილებულ გამაედლიდა ზმნისაგან. თუმცა გარდამავალ ზმნიანი შემასმენელი შეიძლება უფრო დაცილებულ პოზიციაშიც იყოს: „წავიდა ქალმა და შასტირა სიზმარას“ (მთიულურშია, დიალექტ. გვ. 68); იქვეა: „წავიდა ქალმა და სიზმარას კარებზე შასტირა“ (იქვე, გვ. 69).

ამ წინადადებებში მისამართი წევრი ყველა ზმნა-შემასმენლისათვის საერთოა სემანტიკურად და ფუნქციურად, ხოლო განსხვავებულია სტრუქტურულად. მაგ., I წინადადებაში მართალია ერთგვარი წევრები (აანთო, გადიწერა, მივიდა, გამოართვა, ახსენა, მოუბრუნდა) II სერიისში დგანან და წყვეტილის ფორმებითაა წარმოდგენილნი, მაგრამ ისინი არ არიან ერთგვარნი გვარის მიხედვით. აანთო, გადიწერა, გამოართვა, ახსენა მოქმედებითი გვარისაა, მივიდა — საშუალო გვარის, მიუბრუნდა — ვნებითისა. ამიტომაცაა, რომ მოქმედებითი გვარის ზმნა-შემასმენელთან საერთო წევრი II სერიის ფორმებთან მოთხრობით ბრუნვაშია მართული (კაცმა), ვნებითსა და საშუალოთა — სახელობითში (იგულისხმება კაცი). ე. ი. სხვადასხვა სტრუქტურის ზმნა-შემასმენელი, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვადასხვაგვარად მართავს (ან არ მართავს) საერთო წევრს.

ჩვენი აზრით, „მოხუცმა კაცმა აანთო წმინდა სანთელი, წყნარად გადიწერა პირჯვარი..., გამოართვა ხელი, ახსენა ხეური ჭვარ-ანგელოზები“ და „[კაცი] მივიდა ქალთან და მიუბრუნდა ონისეს“ ცალ-ცალკე ერთგვარშემასმენლიანი წინადადებებია, ერთმანეთის მიმართ თანწყობის საშუალებით არიან დაკავშირებულნი და მთლიანად თანწყობილი წინადადებაა.

თანამედროვე ქართულ სინტაქსში ფეხს იკიდებს თვალსაზრისი, რომ ერთგვარ შემასმენლებს საერთო წევრად შეიძლება პირმიმართი დამატებებიც ახლდეთ. გ. ბურკულაძე აღნიშნავს, რომ ერთგვარშემასმენლიანი წინადადება განსახილველია კავშირში არა მხოლოდ ერთ საერთო ქვემდებარესთან, არამედ ერთ საერთო პირდაპირ და ირიბ დამატება-ობიექტებთანაც (გ. ბურკულაძე, 1979, გვ. 150). ავტორისათვის ამოსავალია არნ. ჩიქობავას დებულება იმის შესახებ, რომ „ორპირიან ზმნებში, გარდამავალშიც და გარდაუვალშიც, სუბიექტი და ობიექტი არსებითად ერთნაირი სინტაქსური უფლებით სარგებლობს“ (არნ. ჩიქობავა, 1968, გვ. 269), რის გამოც ქართულში წინადადების მთავარი წევრებია არა მხოლოდ ქვემდებარე და შემასმენელი, არამედ პირდაპირი და ირიბი დამატებაც.

ზემოთ ნათქვამის განსამტკიცებლად გ. ბურკულაძეს მოჰყავს შემდეგი მაგალითი:

„ბახულიამ დააგდო ხის ძირას კოდალ-ბზეკალი, იქვე ბალახებში ჩააწყო საგძალი, მერე შურიანათ გასწია საქანოსაკენ, ჩამოაგდო ზედ შემგდარი მწყემსი გოგონა, შესკუტდა საქანელაზე და დაიწყო თითონ ქანაობა“.

აქ ქვემდებარე მართავს ზმნა-შემასმენლებს პირში, რაც სათანადოდ მორფოლოგიური ნიშნითაა ზმნაში გამოხატული (დააგდ-ო, ჩააწყ-ო, ჩამოაგდ-ო, შესკუტდ-ა, დაიწყ-ო) და ითანხმებს რიცხვში. თვითონ კი მართულია უახლოესი ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში, როცა ეს უკანასკნელი გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული (გ. ბურკულაძე, 1979, გვ. 147)¹.

ავტორი აღარებს შემდეგი სახის წინადადებას: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“. აქ ისეთივე სინტაქსური ურთიერთობა გვაქვს, რაც ზემო წინადადებაში: პირდაპირი დამატება (მე) მართავს ზმნა-შემასმენელს პირში (მ-ზრდის, მ-ნიშნავს) და ითანხმებს რიცხვში (მდრ. ჩვენ გვ-ზრდის, გვ-ნიშნავს). თუ ვცვლით პირმიმართი დამატების პირსა და რიცხვს, აღმოჩნდება, რომ ესეც ზმნა შემასმენლებში სათანადოდ აისახება. მაშასადამე, ასეთი ტიპის წინადადება შერწყმულად ჩაითვლება: ერთ საერთო პირდაპირ დამატება-ობიექტთან რამდენიმე ზმნა-შემასმენელი (გ. ბურკულაძე, 1979, გვ. 148). მაგალითები:

„... ან ბრაზიანმა ძაღლმა არ დაგგლიჯოს, ან გველმა არ დაგები-ნოსო“ (წერ.); „აღრე ეინი აბრაზებდა და ახლაც ის აბოროტებს“ (ქეგლ, I, სვ. 71); „... იგივე გვაცოცხლებს და იგივე გვანელებს“ (ქეგლ, I, სვ. 500); „მათი ძუძუ გვავაჟეცეებს და ზრდა სულით გვამაღლებსო“ (ქეგლ, I, სვ. 148); აგრეთვე: „მტერმა მძლო, ამიკლო... და შემიპყრეს, მეფედ ვერ მიცნეს და საჩინბოში დამაბეს“ (საბა, გვ. 56); „... ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო“ (საბა, გვ. 69).

ანალოგიური ვითარება² დასტურდება ირიბ დამატება-ობიექტთა-

¹ ამის შესახებ კრიტიკული ანალიზი გამოწვლილვით იხ. ზემოთ, გვ. 33-35.

² რ. ჭიკაძე-ა. აღრე „ვეფხისტყაოსანი“ დაწერა რუსთაველმა XII საუკუნეში და პირველად დაბეჭდა ვახტანგ VI-მ ტიპის წინადადებები (პირდაპირი დამატება რამდენიმე შემასმენელთან — რ. ჭიკაძე, 1984, გვ. 166-167) და „თეიმურაზს აუჩუყდა გული და მოერია ცრემლი“ (ირიბი დამატება რამდენიმე შემასმენელთან) მიიჩნია შერწყმულად (რ. ჭიკაძე, 1984, გვ. 166). მაგრამ კითხვაზე „აღნიშნული ტიპის წინადადებები შერწყმულია თუ თანწყობილი? აღბათ უფრო თანწყობილი!“ — უპასუხა (იქვე, გვ. 173).

ნაც. მაგ.:

„გული შიტოკაეს და მკლავი შითრთის“ (იგულისხმება მე — ირიბი დამატება) (გ. ბურჭულაძე, 1979, გვ. 149). მაგალითები:

„ამა ყმამან შემიკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა“ (რუსთ.); „... კლანქები დამიდუნდა, კისერზე ბუმბული ამეშალა“ (ქეგლ, I, სვ. 39); „... მკაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით, ჩვენც გვერდში ამოგიდგებით“ (ქეგლ, I, სვ. 402); „... ორი დღის ალო მერგება, გადამიხნავენ ხელადა“ (ქეგლ, I, სვ. 280); „გოგო, იქეთ გამეცალე, საღერღელი ამეშალა“ (ქეგლ, I, სვ. 139); აგრეთვე: „მასავით შენ ცოცხალიც წახდენას მიპირობ და მკვდარი უარეს მიზამ“ (საბა, გვ. 69); „ღედა თავს არ გვანებებდა, მამამ კი ყური არ გვიგდო“ (ვაჟა, II, გვ. 127).

§.II.3. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შედგენილობა მთავარ და მეორეხარისხიან წევრთა მიხედვით. რაკი ქართული ზმნა პოლიპერსონალურია, ამიტომ ერთგვარი შემასმენლები შეიძლება გადმოიცეს ერთ, ორ ან სამპირიანი ზმნებით. განვიხილოთ ცალ-ცალკე:

I. ზმნა-შემასმენლები გადმოცემულია ერთპირიანი და ორპირიანი გარდაუვალი ზმნებით:

ა) ქვემდებარე პრეპოზიციისაშია ზმნა-შემასმენლებთან:

„ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აყვავდება... და კვდება“ (აკაკი, გვ. 13); „ბატონები კი გაჩუმებულან, ... დადუმებულან“ (ჯავ., გვ. 54); „თავათ არაბია კი მიჯიროთებდა, მიგელავდა, მიკუნტრუშებდა“ (გამს., გვ. 129);

ბ) ქვემდებარე პოსტპოზიციისაშია ზმნა-შემასმენლებთან:

„აი, მიდის და ებრძვის წყალს მღვდელი“ (ილია, გვ. 169); „დილიდან საღამომდე იწნებებოდა, იჭრებოდა და იტვიფრებოდა ოქროს ლასტები“ (ჭილ., გვ. 13); „დილიდან საღამომდე წკრიალებდა, კისკისებდა და ფერხორცით ივსებოდა კეთილშობილი ღვინო“ (ჭილ., გვ. 13);

გ) ქვემდებარე ერთგვარ ზმნა-შემასმენლებს შორისაა:

„დაიბრღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ“

ძოვარზედ შიუშვა“ (ყაზბ., გვ. 21); „... ყვენი იმ სამელნეში ბატის ფრთას ჩასჩრიდა, ქალაღდის ნაგლეჯებზე ფირმანს დაქლაბნიდა და გლეხს შიუგზავნიდა“ (ყავ., გვ. 36); „მან ორიოდე თავაზიანი... სიტყვა შიუგდო სტუმარს, კრაქი აიღო ხელში, შეანჭღროა, ისევ თავის ალაგას დაღგა...“ (გამს., გვ. 15);

ბ) ქვემდებარე პოსტპოზიციასშია ზმნა-შემასმენლებთან:

„ქრელი პეპელა დაათრო და გააბრუა იამა“ (აკაკი, გვ. 38); „ატმის ტოტზე შერჩენილი ხმელი თესლი აკენკეს და გაიტაცეს ბელურებმა“ (ყალ., გვ. 45);

გ) ქვემდებარე ერთგვარ ზმნა-შემასმენლებს შორისაა:

„გუპასუხე მე... და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი“ (ილია, გვ. 15); „ნიშანს წინ დაიდებს თმაგაშლილი დედაკაცი, მოისვამს ხელს დალალებზე“ (გამს., გვ. 547).

ორ და სამპირიან გარდამავალ ზმნა-შემასმენლებში ძველი ქართულის II სერიის ფორმებთან პირდაპირი ობიექტის მარკირება სხვადასხვაგვარია:

ა) ორპირიან ზმნა-შემასმენელთა პირდაპირ ობიექტს შეუძლია მართოს პირში ზმნა-შემასმენელი და შეითანხმოს რიცხვში¹, თვით იყოს მართული ბრუნვაში (სახელობითში) ამ ზმნა-შემასმენლის მიერ (ანუ მოგვევლინოს დიდ კოორდინანტად).

ბ) ორპირიან ზმნაში პირდაპირი ობიექტი ვერ მართავს ზმნა-შემასმენელს პირში, თუმცა რიცხვში კი ითანხმებს და თვითაა მართული ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში (ანუ მოგვევლინოს უმცირეს კოორდინანტად).

ამდენად, ეს ობიექტები სტრუქტურული თვალსაზრისით ერთგვარად ვერ ჩაითვლებიან (ერთი დიდი კოორდინანტია, მორე კი — უმცირესი). თუმცა ძველ ქართულში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი შე-

¹ შეიძლება პირდაპირ ობიექტმა რიცხვში ვერ შეითანხმოს ზმნა-შემასმენელი, როცა იგი, მაგალითად, საკუთარი სახელითაა გადმოცემული; ან როცა ზმნა-შემასმენლებთან რამდენიმე პირდაპირი ობიექტია, რიცხვში იგი შეიძლება მხოლოდ უახლოეს შემასმენელს შეუთანხმდეს (ზ. სარაჯველაძე, 1997, გვ. 172): „და დაუტყუა მამამ და დედამ და ძმანი და ნათესაენი“ (სენან. მრავალთ. 412, 22-24).

ძე. ქართულში, როგორც ცნობილია, შერწყმული წინადადების პირდაპირი ობიექტი რიცხვში ითანხმებს უახლოეს ზმნა-შემასმენელს (ზ. სარაჯველაძე, იქვე): „გამოადინ-ნა სისხლ-ნ-ი თჳნი და ასუა ჳნიდა თჳთა“ (კლარჯ. მრავალთ. 98, 2, 11-13).

მთხვევაც, სადაც პირდაპირი ობიექტი ფორმალურად ერთნაირად არის გამოხატული ანალოგიურ ზმნა-შემასმენლებთან:

შე-გ-იპყრ-ნ-ა მან თქვენ და მი-გ-ც-ნ-ა მან თქვენ მას.

გ პრეფიქსით ორივე შემთხვევაში მართულია პირდაპირი ობიექტი, ნ-თი კი ამავე პირდაპირი ობიექტის რიცხვია მარკირებული. ახალ ქართულში გვექნება: შეგიპყროთ მათ თქვენ და მიგცათ მან თქვენ მას.

ცხადია, ორპირიან და სამპირიან ზმნა-შემასმენლებთან მდგომი პირდაპირი ობიექტი იდენტურია და არ იძლევიან სტრუქტურულ განსხვავებას. ამიტომაც ასეთი ტიპის წინადადებები ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებებია, სადაც ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელის გვერდით ერთდროულად პირდაპირი დამატების მიხედვითაც გვაქვს შერწყმა. ზუსტად ამ რიგისადაა წარმოდგენილი შემდეგი ორი წინადადება ახალ სალიტერატურო ქართულში, ოღონდ აქ უკვე ოდენ ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია:

„... ყენი იმ სამელნეში ბატის ფრთას ჩასჩრიდა, ქალადლის ნაგლეჯებზე ფირმანს დაჯღაბნიდა და გლესს მიუგზავნიდა“ (ჭავ., გვ. 36); „მან ორიოდ თავაზიანი... სიტყვა მიუგდო სტუმარს, კრაქი აოლო, ხელში შეაჩღრა, ისევ თავის ალაგას დაღა“ (გამს., გვ. 15).

პირველ წინადადებაში ჩასჩრიდა და მიუგზავნიდა სამპირიანი ზმნა-შემასმენლებია, ხოლო დაჯღაბნიდა — ორპირიანი. ზმნა-შემასმენელთა შორის სხვაობა პირთა რაოდენობის მიხედვით ამ წინადადებაში სტრუქტურას ვერ არღვევს. ერთ საერთო ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია: ყენი ერთნაირად მართავს სამივე ზმნა-შემასმენელს პირში, ითანხმებს რიცხვში და თვით თითოეული ზმნისაგან შეიძლება მართული იყოს ერთნაირადვე ბრუნვაში.

ანალოგიური ვითარებაა მეორე წინადადებაშიც.

III. ზმნა-შემასმენლები გადმოცემულია საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებით:

„მამის სიკვდილზედ პირველში ბევრი ინაღვლა და მგონი იტირა კიდევ“ (ილია, გვ. 176); „ყველანი ჩვეულებისამებრ ოხუნჯობდნენ, იცი-ნოდნენ და მხიარულობდნენ“ (ყაზბ., გვ. 627); „გვგავინავს, ზანზარებს შურთხის სამეფო...“ (კალ., გვ. 443); „ლამაზ მინდორზე თრთის, კანკალებს ჩრდილი ვაშლის ხის“ (კალ., გვ. 121).

ერთგვარ შემასმენლებს ხშირ შემთხვევებში ახლავს თავ-თავისი წევრები (პირდაპირი ან ირიბი დამატებები):

„ყმა შეუპყრეს და სამი იგი თვალთვალ ამოუღეს...“ (საბა, გვ. 35); „მოიპოვა ეს ღონე: დანატა ირემი და მეფესა ხელთ თოჯი მისცა, ბრმა თვალთ დაუხუჭა და მთართვა მეფესა“ (საბა, გვ. 40); „იკორთაში მღვდელმთავარმა გამოიყვანა წორვა, პარაკლისი გადაიხადა და აიაწმა ასხურა ჭარს“ (აკაკი, გვ. 78); „ამ ძახილთან ერთად მთიულთა ურიცხვმა გუნდმა კედლის იქიდან თავები ამოყვეს, თოჯები გადმოიშვირეს და მომავალს ჭარს ლოდინი დაუწყეს“ (ყაზბ., გვ. 134); „აბრამ მღვდელი კი ისევ ქოშებს დააბაკუნებდა, გიშრის კრიალოხანს აწკარუნებდა...“ (ჯავ., გვ. 62); „მაგნოლიების გაზახ წასწვდა... თამარს ეუბნება“ (გამს., გვ. 68).

ერთგვარ ზმნა-შემასმენლებთან I ზმნა-შემასმენლების პირდაპირი დამატება II ზმნა-შემასმენელთან ირიბია: „ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის...“ (კალ., გვ. 33).

ერთგვარ ზმნა-შემასმენლებს ახლავს საერთო წევრი ან წევრები:

ა) რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებასთან:

„დანახვა მისი შაკვირვებს [მე] და არ შაღელვებს, შაციებს და არ შათბობს“ (ილია, გვ. 22); „აქ გაგზარდე, წაგყვანე...“ (ვაჟა, II, გვ. 73)¹; „ონისემ გააპარა ხელი, გააგლო თოფსა...“ (ყაზბ., გვ. 625);

ბ) რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და ირიბ დამატებასთან:

„მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი“ (ილია, გვ. 301); „დედამ საცვლები დამირცხა, ნაბადი დამიკერა, ტყავი გამიპოხა და ისეთი ჩამაცო [მე]“ (ვაჟა, II, გვ. 16); „შენ ბუმბული გაგიდინეს და ძირს ნისკარტის წვერი მოგტენეს [მათ] (ვაჟა, II, გვ. 61); „მრისხანე ბატონს გული შეეკუმშა, შიში ჩაუხახხლდა, მუხლები აუკანკალდა“ (ჯავ., გვ. 179);

გ) რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და უბრალო დამატებასთან:

¹ ამ წინადადებაში ქვემდებარედ იგულისხმება მე, ხოლო პირდაპირ დამატებად — შენ.

„[ის] თავისის ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის...“ (ილია, გვ. 245); „ოთარაანთ ქკრევე ამაზედ ძალიან ჰნაღვლობდა და სწუხდა“ (ილია, გვ. 259);

დ) რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და დროის გარემოებასთან:

„ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას [შე] გახსენე ღმერთი, ავიდე ორლულიანი თოფი, დავუძახე ჩემს მეძებარს...“ (ილია, გვ. 133); „შაშინ ამ გლენჯკაცმა იშოვა დრო, დაადგა თავზე...“ (აკაკი, გვ. 38); „ესინი ჰკითხავდნენ ყოველდღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უხვამდნენ“ (აკაკი, გვ. 65);

ე) რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და ვითარების გარემოებასთან:

„უცბად ოცი-ოცდაათზე მეტი ფარეში შემოიქრნენ და გაჩერდნენ შუა ოთახში“ (აკაკი, გვ. 19); „[მან] წყნარად გადააბიჯა ელგუჯას, შეალო კარები...“ (ყაზბ., გვ. 12);

ვ) რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და ადგილის გარემოებასთან:

„იღბალმა აქაც წამიცდინა და მიღალატა“ (ილია, გვ. 201); „ლამაზ მინდორზე თრთის, კანკალებს ჩრდილო ვაშლის ხის“ (კალ., გვ. 121); „[ესინი] ბალ-ბოსტნებში თოხნიან და ბარავენ...“ (კალ., გვ. 26);

ზ) რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და მიზეზის გარემოებასთან:

„[ის]... ტყვილისაგან დაიღმიჯა და ისევ პირქვე დაეცა, თანაც ბოლმით იხრჩობოდა“ (ჯავ., გვ. 187).

რიგ შემთხვევაში, როგორც ვნახეთ, ერთგვარ შემასმენლებთან საერთო წევრად შეგვხვდა ქვემდებარესა და დამატებებთან ერთად გარემოებებიც. ის საერთო წევრი, რომელიც არ არის ზმნასთან მორტოლოგიურად დაკავშირებული და არ ქმნის წინადადების ბირთვს, ერთგვარშემასმენლიან წინადადებას ვერ ჩამოაყალიბებს, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ ქვემდებარისა და პირმიმართი დამატებების მიხედ-

ვით განისაზღვრება¹.

§.II.4. პირდაპირდამატებებიანი შერწყმული წინადადება. ასეთ შემთხვევებში პირდაპირი დამატებები დაკავშირებული არიან ერთ ზმნა-შემასმენელთან. მაგ.:

„ჩვენი ბარგი და რვა მანეთი ფული თან გაიყოლა იმ სულ-ძაღლმა“ (ილია, გვ. 225); „დაიწყეს ჩემის სახელით ძარცვა და ავაჯაკობა იმ არემარეში“ (ილია, გვ. 213).

ერთგვარი პირდაპირი დამატებები ისევე შეეწყობიან ზმნა-შემასმენელს, როგორც ერთი დამატება (ა. კიზირია, 1953, გვ. 235). ყველა ერთგვარი პირდაპირი დამატება ზმნა-შემასმენლის მიერ ან მიცემითშია მართული, ან სახელობითში. მაგ.:

„ამის შემდეგ რაღაც ფიქრმა წაიღო მისი გონება და სული“ (ილია, გვ. 174); „ლუკიამ ცხენი და შექებრები გამოიყვანა“ (გამს., გვ. 35); „უჩვენებს ხელიასეული ქვითკირის სასახლეს, მოშორებით ჩარაზმულ შრამელებს, სამზადს, მარანს, ხაჯინბოს და მიმინოების გარაბადებს“ (გამს., გვ. 46).

პირდაპირი დამატებების ადგილი შერწყმულ წინადადებაში სხვადასხვაა:

I. პირდაპირი დამატებები პრეპოზიციასა ზმნა-შემასმენელთან:

„ერთხელ ფრიად ღირსაცნობი ხჯა და ბაახი გამართეს“ (ილია, გვ. 40); „სხვისი შური და ხიხარბე გულში არ უნდა შეუშვა“ (აკაკი, გვ. 64); „მისი თვალები თითქოს ხეწნახა და საყვედურს ერთად გამოთქვამდნენ“ (ყაზბ., გვ. 557); „ხან ღვინოს და ხანაც საჭმელს სთავაზობდა სტუმრებს“ (გამს., გვ. 61);

II. პირდაპირი დამატებები პოსტპოზიციასა ზმნა-შემასმენელთან:

„ბრძანა ხალიფამ წახვლა მწერლისა და აღწერა“ (საბა, გვ. 54); „ქალო! რად მიკარგავ გზასა და კვალსა“ (ილია, გვ. 182); „მთელი იმისი მიხრა-მოხრა ამტკიცებდა სიამაყეს და გულადობას“ (ყაზბ., გვ. 112); „მოართვეს ლედი სეინბორნს ახლადდახოცილი მშველები, ირმები,

¹ სპეციალურად ამის თაობაზე იხ. ზემოთ (გვ. 31-32).

ნუკრები, ტახები და სოხბები“ (გამს., გვ. 200); „პოპინამ გარკვევით გაიგონა ფუტკრის ზუზუნისცა და ნაკადულის ჩხრიალიც“ (ქილ., გვ. 193):

III. ზმნა-შემასმენელი ერთგვარ პირდაპირ დამატებებს შორისაა:

„ხალიფამ მისი ვერც მოსგლა სცნა და ვერც წასგლა“ (საბა, გვ. 54); „... თითო-ოროლა კეთილი კაცი ხან პურს მაწვდის ხოლმე და ხან წყალსა“ (ილია, გვ. 216); „მამული აღარ შემარჩინეს და საცხოვრებელი“ (ყაზბ., გვ. 290); „... ჩვენ ბოლშევიკებმა ორშაბათიც მოვსპეთ, ნან, შაბათიცა და კვირაც...“ (გამს., გვ. 344).

ერთგვარი პირდაპირი დამატებები ხან ერთი და იმავე რიცხვის ფორმითაა გადმოცემული, ხან კი — სხვადასხვა რიცხვის ფორმით:

ა) პირდაპირი დამატებები მხოლოდით რიცხვშია:

„... დიდძალი ყმა და მამული უბოძა ზემო-ქართლში“ (აკაკი, გვ. 154); „აქ ქალმა დაუწყო მუდარა, ხევწნა“ (ყაზბ., გვ. 45);

ბ) პირდაპირი დამატებები მრავლობით რიცხვშია:

„... შიშის ქარმა აიტანა მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც“ (აკაკი, გვ. 59); „დედაკაცები ალაგებდნენ ქიშელებში ქაღებებს, სმიაღებებს, ხაჭაპურებს და სხვა სორაგს“ (ყაზბ., გვ. 348); „აქ იგი აზნაურებსა და გლეხებს გულისხმობდა უთუოდ“ (გამს., გვ. 58);

გ) პირდაპირ დამატებათაგან ზოგი მხოლოდით რიცხვშია, ზოგი კი — მრავლობითში:

„ხან ერთმანეთს ტიროდნენ, ხან თურმე მოურაგს, ხან ხელოვნებს, ხან მზარეულებს, ხან ვის და ხან ვის“ (აკაკი, გვ. 27); „ლუკაიამ ცხენი და მეძებრები გამოიყვანა“ (გამს., გვ. 35).

თუ პირდაპირ დამატებებად ჩვენ ნაცვალსახელის მნიშვნელობის გადმომცემი სიტყვებია, შემასმენელი მრავლობითშია (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 283):

„მამამ მე და ჩემი ძმა ქალაქში წაგვყვანა“.

მსგავსი ვითარებაა II პირის ფორმასთანაც (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 283):

„მამამ შენ და შენი ძმა ქალაქში წაგვყვანათ¹; ან „შენ და შენს სტუმარს... ერთად გადგისჯრით ბექითა“ (ეაჟა, I, გვ. 99).

ყოველივე ზემოთ თქმული შეიძლება ასე გამოიხატოს სქემატურად:

გარდამავალ მართაეს პირდ. დამატებებს ბრუნვაში	ზმნა-შემასმენელი	სახელობითში (II და III სერიის ფორმებთან)	მიცემითში (სერეის ფორმებთან)	—
პირდაპირი დამატებები ზმნა-შემასმენელთან გვხვდებიან		მხოლოდითში	მრავლობითში	მხ. და მრ. რ. ერთად
პირდ. დამატებები მართაევს ზმნა-შემასმენელს პირში (ან ერთდროულად ითანხმებენ რიცხვში)		I, II და III პირში ²		
პირდაპირი დამატებების ადგილი ზმნა-შემასმენელთან		მოსდევს, წინ უსწრებს, ზოგი წინ უსწრებს, ზოგიც მოსდევს		

§.II.5. ირიბდამატებებიანი შერწყმული წინადადება. ერთგვარი ირიბი დამატებები შეიძლება ახლდეს როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალი ზმნით გადმოცემულ ზმნა-შემასმენელს. ისინი გვხვდება ზმნა-შემასმენლის სამივე სერიაში. თუ შემასმენელი გარდამავალი ზმნითაა გადმოცემული, ირიბი დამატებები მასთან პირველ და მეორე სერიაში გვხვდება, გარდაუვალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელთან კი სამივე სერიაში. მაგ.:

„არავინ ეხება თქვენს რჩულს, ენას, ეროვნებას, ზნე-ჩვეულებ-

¹ თუმცა ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ ზმნა-შემასმენელი მხოლოდით რიცხვში გვხვდება:

„შენც ღმერთმა შეგარცხდნობს და შენი ხტუშარაც“ (აქაკი, გვ. 41).

² პირდაპირი დამატებები ზმნა-შემასმენელს მართაევს I პირში და ითანხმებენ რიცხვში. II პირში ზმნა-შემასმენელში წარმოდგენილია პირისა და რიცხვის ნიშანი; III პირში პირდაპირი დამატებები ნულოვანი მორფემითაა წარმოდგენილი. აქაც ის წესი ვრცელდება, რაც მარტივ წინადადებაში: როცა პირდაპირი დამატება პირცვალებადია, მისი ნიშანი I და II პირში საგანგებო ნიშნითაა გამოხატული, ხოლო III პირში ნულოვანი მორფემით (თ. უთურგაიძის სალექციო კურსიდან „ქართული ენა“). ამ შემთხვევაში ხომ არაა ისეთი ვითარება, როცა „მორფოლოგიკური პროცესები გარკვეულ გრამატიკულ ფუნქციებს უკავშირდება“ (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 199).

„მართლაც, როგორც მიუთითებენ, „O¹ 3-ის (resp. O_მ 3-ის) ნიშნის ნულოვანი ალომორფი შედეგია მორფონოლოგიური ცვლილებისა; მაგალითად, სამპირიან ზმნებში მატერიალურად გამოხატული მესამე პირის ნიშანი არასოდეს ჰქონია პირუცველ ობიექტს“ (თ. უთურგაიძე, 2000, გვ. 50).

ბას და წესს“ (აკაკი, გვ. 145); „უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს“ (აკაკი, გვ. 7); „... თავისი ხალვათი გული ისევ პოეზიას, სტუმარ-მასპინძლობას, ლხინსა და ნადირობას მიხცა“ (ჩავ., გვ. 621); „ცხენებს და მხედრებს ეკლესიისკენ აქნევდნა ვახმისტრმა პირი“ (გამს., გვ. 12); „აქ კაზაკებს, ჩერქეზებს, ყაზი-ყუმიყებს და ლეკებს მიჯადექი“ (გამს., გვ. 21).

ერთგვარი ირიბი დამატებები, ისევე როგორც პირდაპირი დამატებები, შემასმენელს შეეწყობიან, როგორც ერთი ირიბი დამატება (ა. კიზირია, 1953, გვ. 236). ირიბი დამატებები გვხვდება როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ ზმნებთან და მათი ადგილი ზმნა-შემასმენელთან სხვადასხვაა:

I. ირიბი დამატებები პრეპოზიციისა და გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან:

„ქართულ ტყბილ ღიღინს, ვაჟკაცურ შენმატკბილობასა და სასოების მომგვრელ გალობას ბოლო მოუღო თათრულმა შექანებამ“ (აკაკი, გვ. 326); „... ისევ ბორჩალოს ტრამალს და ლორის მთებს მიაშურა“ (ჩავ., გვ. 618); „მუსიკის ზეგაგლენას და გაზაფხულის აღტიონებას მიაწერა თარაშმა ეს ყოველივე“ (გამს., გვ. 38);

II. ირიბი დამატებები პოსტპოზიციისა და გარდამავალ ზმნა-შემასმენელთან:

„მე თვალგაფაციცებით გულისყურს ვადევნებდი დათიკოსა და გიტოს“ (ილია, გვ. 196); „ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც აღგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას“ (აკაკი, გვ. 70); „საშვილიშვილოდ გააყოლე შენი წყალობა საქართველოს ერთგულსა, თემის პირის შემნახავსა, ძმა-ნათესავის გამტანსა, საწყლის შემბრალებელსა, მშვიდობიანობის დამთესსა“ (ყაზბ., გვ. 73); „ვინ უსმენდა უფროსების ძახილს, ხევწნასა და გაფრთხილებას“ (ჭილ., გვ. 505);

III. გარდამავალი ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ირიბ დამატებებს შორისაა:

„ზოგმა ფარ-ხმალს მოავლო ხელი, ზოგმა ცუღს, ზოგმა წაღდს, ზოგმა ნამგალს, ზოგმა ხელკეტს, ზოგმა რასა და ზოგმა კიდევ რასა“ (აკაკი, გვ. 121).

ანალოგიურ პოზიციებში დასტურდება ერთგვარი ირიბი დამატებები გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან:

I. ირიბი დამატებები პრეპოზიციისა და გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან:

„გორსა“ და სიმდიდრეს ნუ გამოუდგებით“ (ყაზბ., გვ. 182); „შეცა და ჩემს ცოლსაც მზე ამ ბავშვებზე ამოგვდის“ (გოგებ., გვ. 420); „ყოველ ხანლს, ყოველ კარსა და სარკმელს რამდენიმე წყვილი თვალი გამოება“ (ჯავ., გვ. 150); „... ფარნაოზის წარბებს, უპეებს და მხრებს ქვის რუხი მტვერი ედებოდა“ (ქილ., გვ. 247);

II. ირიბი დამატებები პოსტპოზიციისა და გარდაუვალ ზმნა-შემასმენელთან:

„უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს“ (აკაკი, გვ. 7); „ამ ბრძანების აღსრულებისათვის მეფე პირდებოდა დიდ პატივს და წყალობასაც“ (ყაზბ., გვ. 50); „ოთახში შესული სალდათები მაშინვე დაეპატრონნენ ქვრივის სკივრს, ლოგინს, ტახტებს, ქურქელსა და კაბა-კუბასაც“ (ჯავ., გვ. 184);

III. გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ირიბ დამატებებს შორისაა:

„... ხან ერთმანეთს ტიროდნენ, ხან თურმე მოურავს, ხან ხელოსნებს, ხან მზარეულებს, ხან ვისა და ხან ვისა“ (აკაკი, გვ. 381); „... ხან დაღესტანს ევომებით, ხან ერეგნის ხანს... და ხანაც ყველას ერთად“ (ჯავ., გვ. 331).

ერთგვარი ირიბი დამატებანი ზმნა-შემასმენლის მიერ მართულია მიცემით ბრუნვაში.

თუ ერთგვარ ირიბ დამატებებში პირველი პირის ნაცვალსახელები ურევია, ან ასეთი დამატებები ჩვენ ნაცვალსახელის მნიშვნელობისაა, შემასმენელი ირიბი ობიექტური პირის მიხედვით ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 283). მაგ.:

„დაგვრჩა ბუხარი მე და ბერუას“ (ვაჟა, II, გვ. 42); „... ნუმც მე და ნუმც ჩემს ცხენებს ჩემთან ნუ აჯიხებთ“ (გამს., გვ. 131); „მე და ჩემს ტოლებს ბანაკი გველდს“ (ასათ., გვ. 233).

ანალოგიური ვითარებაა, როცა ირიბ დამატებებად II და III პირის ფორმებია:

„დაგრჩათ ბუხარი შენ და ბერუას“; „შენ და შენ ტოლებს ბანაკი გელით“.

მესამე პირის ფორმასთან შეწყობილი რამდენიმე ირიბი დამატება შეიძლება ზმნა-შემასმენელს მრავლობით რიცხვშიც შეეწყოს, თუ ეს უკანასკნელი არაა შეთანხმებული ქვემდებარესთან (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 283-284): „დათვსა, შგელსა და მელთას ყანწები ებურათ ხელშია“ (ვაჟა, I, გვ. 98).

გვაქვს შეუთანხმებლობის შემთხვევებიც: „ცხენოსანი ჯარი მიუ-
ახლოვდა გაგის... და მის ამხანაგებს“ (ყაზბ., გვ. 80).

ერთგვარი ირიბი დამატებები გვხვდება როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობით რიცხვში. მაგ.:

„ელაგუჯა ვაჟკაცისათვის შესარცხვენად უყურებდა ამისთანა... საქმის მორიდებას და შინ მყუდროებაში მოფარებას“ (ყაზბ., გვ. 15); „ის დაბადებიდანვე... შეთვისებოდა ყოველ მთას, ყოველ კუნჭულს“ (ყაზბ., გვ. 647); „... ვეშაპებს, გველებს, ჭოჭოებს და ხვლიკებს მოაწამვლინებს წყლებს“ (გამს., გვ. 82); „მე გადავხედე კერის გარშემო დამსხდარ ვაჟკაცებს და ფეხზე მდგომ ქალებს“ (გამს., გვ. 618).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ირიბი დამატებებიდან ერთდროულად ზოგი მხოლოდობითა და ზოგიც — მრავლობითში. მაგ.:

„იაგომ კი... კიდევ კარგა ხანს ესაუბრა თავის მოუსვენარს გულსა და აზრებს...“ (ყაზბ., გვ. 352); „ასეთი სუნი ასდის ოდიშში ხანლებს და აგეჯს“ (გამს., გვ. 92); „შემოდგომის სიმშვიდე ეფინებოდა ხილნარს, აკაციებს და სიმინდის ყანას...“ (გამს., გვ. 353).

ყოველივე ზემოთ თქმული შეიძლება სქემის სახით ასე გამოიხატოს:

გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი მართავს ირიბ დამატებებს ბრუნვაში	მიცემითში (ყველა სერიის ფორმებთან)	—	—
გარდაუვალი ზმნა-შემასმენელი მართავს ირიბ დამატებებს ბრუნვაში	მიცემითში (I და II სერიის ფორმებთან) ¹		
ირიბი დამატებები ზმნა-შემასმენელს მართავენ პირში (ან ერთდროულად ითანხმებენ რიცხვში)	I, II და III პირში		
ირიბი დამატებების ადგილი ზმნა-შემასმენელთან	მოსდევს, წინ უწერებს, ზოგი წინ უსწრებს, ზოგიც მოსდევს		

თ ა ვ ი III

§.III.1. უბრალოდამატებებიანი შერწყმული წინადადება. პირ-მიუმართავი დამატებები პირიანობას ვერ ქმნიან ზმნაში, ამიტომაც მეორეხარისხოვან წევრებად ითვლებიან და მხოლოდ მართულ სახელად გვევლინებიან (ა. კიზირია, 1953, გვ. 217).

უბრალო დამატების მიხედვით, შერწყმულ წინადადებაში ყველა ერთგვარი შინაარსის უბრალო დამატება ერთსა და იმავე წევრთან უნდა იყოს დაკავშირებული (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 287). უბრალო დამატებები ფორმითა და შინაარსით მრავალგვარია. ისინი გვხვდება მიცემით, ნათესაობით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში. მაგ.:

„უშთავრესი ყურადღება ჩენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მოქცეული“ (აკაკი, გვ. 46); „ქერა ჭილაგი ხარბია დატკობობს, გნებობს და სიყვარულის მიმართ“ (გამს., გვ. 328); „ხმლითა და ხანჯლით... საწყალს სამარე გაუფიჩქნე“ (ილია, გვ. 209); „მე კი ეს ხირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც“ (ილია, გვ. 227).

¹ გარდაუვალ ზმნასთან წარმოდგენილი ირიბი დამატებები III სერიის ფორმებში უბრალო დამატებებად იქცევიან: „მუსიკის ზეგაგლენახ და გაზაფხულის ალტკინებას მიაწერა თარაშმა ეს ყოველივე“ (გამს., გვ. 38) ტიპის წინადადების ზმნა-შემასმენელს თუ III სერიაში გადავიყვანთ, გვექნება: „მუსიკის ზეგაგლენახა და გაზაფხულის ალტკინებობათგან მიუწერია თარაშს ეს ყოველივე“ — ირიბი დამატებები გადაიქცა უბრალოდ.

იშვიათად მოქმედებითი ბრუნვა შედის პარონომაზიულ გამოთქმებში: „ზოგჯერ იგი [ვაჟა] მათი სიცილით იცინის და მათი ტირილით ტირის“ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 151). ამ რიგის შემთხვევის სხვაგვარი კვალიფიკაციის შესახებ: სიცილით იცინის: ერთი წევრია — შემასმენელი (იხ.: კ. წერეთელი, პარონომაზია ქართულში, იკე, VI ტ., 1954, გვ. 477).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მოქმედებით ბრუნვაში დასმული უბრალო დამატება ორი სახისაა: საქურვლისა და თანაობისა (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 149). ამოთგან საქურვლისა ყოველთვის უთანდებულა, ხოლო თანაობით თანდებულნიცაა და უთანდებულაც. მაგ.:

1. საქურვლისა¹:

„მთელი სოფლის გარემო გაქედილი იყო ურმებითა და ცხენებით“ (გოგებ., გვ. 14); „სალხინოდ მოზადებული ეზო ხიშტებით, თოფებით, ხმლებითა და ხანჯლებით გაივსო...“ (ჯავ., გვ. 140);

2. თანაობისა:

„დაესწართ მრავალს მჟეულთ და შვილებით“² (ვაჟა, I, გვ. 38); „თალაგვა კოლონელიძე ნიკურნას მონასტერში წავიდა სახლეულითა და საკლავითურთ“ (გამს., გვ. 50).

თანაობითი ვითარებით ბრუნვაშიც გვხვდება. აქ იგი -იან სუფიქსითაა ნაწარმოები: მგზავრები ხურჯინებიანად და ტომრებიანად ვაგონიდან ხტებოდნენ.

უბრალო დამატებები გვხვდება უთანდებულოდ და თანდებულნიანდაც:

„გახლავარ შენი ლოცვით და კურთხევით“ (ილია, გვ. 53); „მათი ქამრებიც მოწონდა თარაშს მრავალთავიანი ენებით, საქონეებით, საწაშლებით დამშვენებული“ (გამს., გვ. 151); „... უნდილად ჰფიქრობდა ფიქრიას ბედზე, თავის დაკარგულ შამაზე, ბუნდოვან მომავალზე და ახლად ატეხილ ოშზე“ (ჯავ., გვ. 94); „ღმერთთანაც და შენთანაც

¹ საქურვლისა ანუ ინსტრუმენტალისია ის, რომელიც აღნიშნავს იარაღს ან საშუალებას, რითაც მოქმედება წარმოებს (თ. შარაძენიძე, 1956, გვ. 415).

² -ურთ თანდებულნიანი ფორმა დღეს იშვიათია, ძველად კი იგი ჩვეულებრივი გახლდათ. მის დანიშნულებად თანაყოფობას აღნიშნავენ (თ. შარაძენიძე, 1956, გვ. 416).

ორნივე პირნათლადა ვართ“ (ილია, გვ. 191); „აფხაზეთში ოდითგანვე კიდილი იყო ქრისტიანობას, მაჰმადიანობას და წარმართობას შორის“ (გამს., გვ. 72); „თალაგვა კოლონკელიძე ნიკურნას მონასტერში წავიდა სახლელულითა და საკლავითურთ“ (გამს., გვ. 50); „ჩალმაზს არ მოსწონდა მისი უსაზღვრო სიყვარული არაბიასადმი, წადებისა, საცვეთებისა და ხიზილალისფერი ფაფახისადმი“ (გამს., გვ. 121); „... მუშაობდნენ მარტო ლუკმა-პურისთვის, ზედ ჩასაცვამის კონკ-ძონძებისათვის“ (ყაზბ., გვ. 60).

თუ უბრალო დამატებები მაჭგუფებელი კავშირით არის შეერთებული, კავშირის წინ მდგომი ჩვეულებრივ უთანდებულოა (ლ. კვაქაძე, 1996, გვ. 287). მაგ.:

„შხერა გადაიტანა მკვრეტელმა ბუხრის თაროზე შელაგებულ ფერად ჭინჭილებსა და შუშთან ვაზებზე“ (გამს., გვ. 32); „ალბათ უდიდესი ენერჯია ლაბარაკსა და ჭამაში გეხარჯებათ“ (გამს., გვ. 60).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა თანდებული ყველა უბრალო დამატებას აქვს:

„უმთავრესი ყურადღება ჩენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მოქცეული“ (აკაკი, გვ. 46); „... ამის შემდეგ პირველი იმათი კითხვა იყო იაგოზელ და ნუნუზელ“ (ყაზბ., გვ. 329).

უბრალო დამატებები გვხვდება როგორც ზმნა-შემასმენელთან, ასევე ნაზმნარ სახელთანაც.

ა) ზმნა-შემასმენელთან:

„მოხუცმა პირველი გაშტერების და შეშინების შემდეგ დაუწყო იმას დამშვიდება“ (ყაზბ., გვ. 262); „უსამართლობის, შეცდომის, გაუგებრობის მეტი ვერაფერი შეაჩერებდა იმას“ (ქილ., გვ. 231); „სიხარულის ზათქით და ზარით ღამეს უტევდნენ ღამისმთევლები“ (ასათ., გვ. 91);

ბ) ნაზმნარ სახელთან:

„ღარდით და ბოღმით გამძვინვარებული მარაბდელი არაგვისაკენ მოეშურებოდა“ (ჩავ., გვ. 649); „... თავგზას უბნევდა ერთდროული შემოტევა ასაკისა, სიყვარულისა და ავი წინათგარძნობისა“ (ქილ., გვ. 230); „ვიმღერებ მუღამ მე შენი ეშხით და სიყვარულით განუკურნელი“ (ასათ., გვ. 73).

უბრალო დამატებათა ადგილი სხვადასხვაა:

I. უბრალო დამატებები პრეპოზიციაშია ზმნა-შემასმენელთან (ან ნაზმნარ სახელთან):

„სალხინოდ მომზადებული ეზო ხიშტებით, თოფებით, ხმლებითა და ხანჭლებით გაივსო“ (ჯავ., გვ. 140); „იქვე მეზობლად ყვავილითა და მწვანით მოსილი ტრაქტორი ჩაეარდნოდათ ლაფში ქორწილში მომავალ ტფილისელ ტრაქტორისტებს“ (გამს., გვ. 194); „სინხარულის ზათქით და ზართით ღამეს უტევდნენ ღამისმთევლები“ (ასათ., გვ. 91);

II. უბრალო დამატებები პოსტპოზიციაშია ზმნა-შემასმენელთან (ან ნაზმნარ სახელთან):

„ღარეჯანს აქებდნენ ხილამაზით, „თავაზიანობით“ და მეოჯახეობით“ (ვაჟა, II, გვ. 23); „ისევ მომინდა ჩემი სოფელი ხალხურ ღექსებით და საკრავებით“ (ასათ., გვ. 98);

III. ზმნა-შემასმენელი (ან ნაზმნარი სახელი) ერთგვარ უბრალო დამატებებს შორისაა:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“ (შოთა, გვ. 9); „ჭიარადაც მეყოფიან და ლხინადაც“ (ილია, გვ. 273); „უსამართლობა არავისთვის არც ღირსებად ჩაითვლება და არც პატივსაცემ მოქმედებად“ (ყაზბ, გვ. 121).

იშვიათად გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფორმიანი უბრალო დამატებებიც:

„ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება“ (ილია); „მუსიკასავით შეესმოდა მათი უღვივილი, ხორცთა მატკობელ შეწყობილ ხმებად“ (ბარნ.); „ბრწყინაედა იგი უზადო ბრწყინვით, მშვენიერების დიდების დიდებულ ხატად“ (კლანდ.); „ეს მთვრალეები კეტებით გაჩეჩქავდნენ, მსხალივით“ (ჭილ.); „ერთი წუთის წინათ... თითქოს მათგან, ან მათი მიზეზით არაფერი სტკენოდა“ (ჭილ.).

ერთი შეხვედრით, ასეთი ტიპის წინადადებები შეიძლებაოდა ჩაგვეთვალა ერთგვარ უბრალოდამატებებიან შერწყმულ წინადადებად. ამის საფუძველს მოგვცემდა ის ფაქტი, რომ წინადადებაში არსებული უბრალო დამატებები ერთ საერთო წევრს მიემართებიან (მაგ.: ფულზედ და ფულით იყიდება; მუსიკასავით და (შეწყობილ) ხმებად შეესმოდა; ბრწყინაედა (უზადო) ბრწყინვით და (დიდებულ) ხატად; კეტებით

და მსხალივით გაჩეჩავდნენ; მოვლივარ შენთან და ნატვრით); ე.ი., როგორც უბრალოდამატებიან შერწყმულ წინადადებისთვისაა დამახასიათებელი, მოცემულ წინამდადებებშიც ყველა უბრალო დამატება მიემართება ერთ საერთო წევრს — შემასმენელს. გარდა ამისა, მათ შორის იოლად ჩაისმება და კავშირი, რაც, აგრეთვე, შერწყმული წინადადების დადგენისათვის ერთ-ერთი პირობაა. მაგალითად, მუსიკასავით შეესმოდა მათი უდივილი და ხორცთა მატებობელ შეწყობილ ხმებად; ბრწყინავდა იგი უხადო ბრწყინვით და მშვენიერების დიდების დიდებულ ხატად; ეს მთვრალეები კეტებით და მსხალივით გაჩეჩავდნენ; მოვლივარ შენთან და ნატვრით.

ზოგიერთ შემთხვევაში კი წინადადებაში კავშირი თვითონაა გამოყენებული: „ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება“ (ილია); „ერთი წუთის წინათ... თითქოს მათგან, ან მათი მიზეზით არაფერი სტკენოდა“ (ქილ.); „აქ შენი კეთილდღეობისათვის და ჩემი დედამამიშვილური ვალის მოსახდელად მოვსულვარ“ (ჩხ.).

ყველა დასახელებულ წინადადებაში მოცემული უბრალო დამატებები ერთმანეთთან თანწყობით არიან დაკავშირებულნი (კავშირით ან უკავშიროდ, პაუზით).

მაგრამ ამ მონაცემებით ისინი ერთი შეხედვით ჩანან ერთგვარ უბრალოდამატებიან შერწყმულ წინადადებად. მხოლოდ ზემოთ მოხმობილი მომენტები კი არ კმარა იმისათვის, რომ ასეთი ტიპის წინადადებები ჩაითვალოს შერწყმულად. მაშ, რატომ არ არიან ისინი შერწყმულნი?

ასეთი ტიპის წინადადებები ფუნქციურად კი არიან იდენტურნი, მაგრამ სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სინამდვილეში აქ არაერთგვარი უბრალო დამატებები გვაქვს; სტრუქტურულად ესენი უბრალო დამატების სხვადასხვა ნიუანსია.

წინადადებაში „ლოცვა არც ფულზედ და არც ფულით არ იყიდება“ ორი სემანტიკურად არაერთგვარი უბრალო დამატება გვაქვს: საქურვლისა (ფულით — რით?) და სადაობითი (ფულზედ — რაზე?).. აქ უბრალო დამატების სხვადასხვა ნიუანსი რომ გვაქვს, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ გამონატვლების პლანიც შესაბამისად რეალიზებულია: ერთ შემთხვევაში ზმნა-შემასმენელი მოქმედებით ბრუნვაში მართავს სა-

ხელს (ფულ-ით), მეორე შემთხვევაში კი იგივე ზმნა-შემასმენელი -ზე თანდებულის მეშვეობით მიცემით ბრუნვაში მართავს უბრალო დამატებას (ფულ-ზე) — ე.წ. შუალობითი მართვაა.

სხვა წინადადებებშიც ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, წინადადებაში: „ბრწყინავდა იგი უზადო ბრწყინვით, მშვენიერების დიდების დიდებულ ხატად“ ორი უბრალო დამატება გვაქვს: ბრწყინავდა ბრწყინვით (რით?) და ხატად (რად?). ერთი დამატება მოქმედებით ბრუნვაში დგას, მეორე კი — ვითარებითში. ერთი საქურვლისაა (ბრწყინვით), მეორე — ე.წ. ვითარების დამატება. „ასეთი დამატება ჩვეულებრივია ზმნებთან, რომლებიც აღნიშნავენ დანიშვნას, გადაქცევას, მოჩვენებას“ (შანიძე, 1948, 44). ამ სხვადასხვაობის გამო გამოხატულებაც სხვადასხვაგვარი ამიტომაც აქვთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ **ბრწყინავდა ბრწყინვით** პარანომაზიული გამოთქმაა. ცნობილია, რომ პარანომაზია ერთ ცნებას გამოხატავს (წერეთელი, 1954, 477). აქ ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა „პარანომაზიული წყვილის ცალი ზოგჯერ იმავე ძირისაგან წარმოქმნილი აბსტრაქტული სახელია“ (კვაჭაძე, 1996, 150) და სემანტიკურად ერთია. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია ისიც, რომ „შერწყმული წინადადების ნაწილები იშვიათად პარანომაზიული გამოთქმებია“ (კვაჭაძე, 1996, 151). აქაც სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

წინადადებაში „ერთი წუთის წინათ... თითქოს მათგან, ან მათი მიზეზით არაფერი სტკენოდა“ (კილ.) უბრალო დამატებები ნათესაობითსა (მათგან) და მოქმედებით ბრუნვაშია (მიზეზით) მართული. **მათგან** სემანტიკურად აღნიშნავს გამოყოფას, გამორჩევას. იგი, ფაქტობრივ, ირიბისებრი დამატებაა, ხოლო **მიზეზით** — თანაობისა.

სხვაგვარი ვითარება გვაქვს წინადადებაში „აქ შენი კეთილდღეობისათვის და ჩემი დედმამიშვილური ვალის მოსახდელად მოვსულვარ“. ორივე უბრალო დამატებას ერთი კითხვა დაესმის — რისი გულისთვის? (კეთილდღეობისათვის და ვალის მოსახდელად). კითხვა ერთი აქვთ, ფუნქციაც — საერთო, მაგრამ სხვადასხვა ბრუნვაში იმართვიან — ერთი ნათესაობითში (კეთილდღეობისათვის), მეორე კი — ვითარებითში (ვალის მოსახდელად).

„მოვდივარ შენთან, მოვდივარ ნატვრით...“ — აქაც სხვადასხვა

ბრუნვაში დასმული ორი უბრალო დამატებაა: **შენთან და ნატკრით**. ერთი თანდებულიანია და მიცემით ბრუნვაში დგას (შენთან), მეორე კი — მოქმედებითში (ნატკრით). ოღონდ, უბრალო დამატებები თავ-თავიანთ ზმნა-შემასმენელთანაა, რომელიც, ფაქტობრივ, განმეორებულია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სწორედ ამ რიგის ზმნა-შემასმენლებისაგან შეიძლება შერწყმული წინადადების მიღება (კი-ზირია, 1953, 206). მოცემულ მაგალითშიც ასეთი ვითარება გვაქვს: სხვადასხვა უბრალო დამატებებს შეეწყობა ერთი და იგივე შემასმენელი (მოვდივარ). განმეორებული შემასმენლის ამოღებით გვრჩება შერწყმული წინადადება — მოვდივარ შენთან, ნატკრით.

ასევე სხვადასხვა ბრუნვაშია მართული უბრალო დამატებები წინადადებაში: „ბოროტი სიბნელე დაძრულიყო ჩვენი ქვეყნისაკენ სითბოსინათლის გასადევნად, ბუნების კეთილ ძალთა შესაბოროკავად, წყვდიადით, ყინვით, ხალხის საწამებლად“ (ბარნ.). საერთო წევრი — დაძრულიყო — მართავს ზოგ უბრალო დამატებას მოქმედებით ბრუნვაში (წვდიადით, ყინვით), ზოგს კი — ვითარებითში (გასადევნად, შესაბოროკავად, საწამებლად). მოქმედებითში დასმული დამატებები თანაობისაა, ხოლო ვითარებითში დასმულნი — ვითარების დამატებისაა. აქაც, როგორც ჩანს, უბრალო დამატებების სხვადასხვა ნიუანსია.

წინადადებაში „მოუხაროდათ სახლში ცოლ-შვილთან, სატრფოებისაკენ“ (ბარნ.) კი ზმნა-შემასმენელი (მოუხაროდათ) მართავს ერთ უბრალო დამატებას მიცემით ბრუნვაში (ცოლ-შვილთან), ხოლო მეორეს — ნათესაობითში (სატრფოებისაკენ), ორივე დამატება თანდებულიანია. სამეცნიერო ლიტერატურაში -კენ თანდებულიანი სახელის მნიშვნელობაზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგი -კენ თანდებულისან სახელს მხოლოდ გარემოებაად მიიჩნევს (შანიძე, კვაჭაძე, 1991), ზოგის აზრით კი, ასეთმა სახელმა შესაძლოა ობიექტური მიმართება გამოხატოს (თოფურიას სალექციო კურსიდან — კოშორიძე, 1985; თალაკვაძე, 1959, 313; კოშორიძე, 1985, 113-12). ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ „...თითქოს დავას არ უნდა იწვევდეს ცოცხალი არსების გამოხატველი -კენ თანდებულიანი სახელები, განსაკუთრებით „ვინ“ ჭგუფისა... ჩვენც მიგვაჩნია, რომ უბრალო დამატებაა გამოხატული „ვინ“ ჭგუფის სახელებით ყველა ქვემოთ მოყვანილ შემთხვევაში: მასაც

იდუმალი გრძნობა ეზიდებოდა გაუცხაკენ; არ გაუხედავს დედუნასაკენ..." (კოშორიძე, 1985, 116).

ჩვენს შემთხვევაშიც საქმე გვაქვს უბრალო დამატებასთან, რადგანაც აქაც სახელი არსებითია და „ჰინ“ ჭკუფისა — სატრაფოებისაკენ. მას კითხვაც სწორედ უბრალო დამატებისა დაესმის — ვისკენ? რაც შეეხება სინტაქსურ ურთიერთობას ზმნა-შემასმენელსა და ასეთ უბრალო დამატებას შორის, „სპეციალურ ლიტერატურაში ეს ურთიერთობა მიჩნეულია შუალობით მართვად, სუსტ მართვად... ან სუბორდინაციულ დონეზე მართვად" (კოშორიძე, 1985, 119). ასეთ ურთიერთობას არნ. ჩიქობავამ „შუალობითი მართვა“ უწოდა (ჩიქობავა, 1968, 117), ხოლო ა. დავითიანმა — „სუბორდინაციულ დონეზე მართვა“ (დავითიანი, 1973, 287).

შესაძლოა, შეგვხვდეს „დაწერა ქალაღზე ფანქრით“ ტიპის წინადადებებიც. ესეც ერთი შეხედვით შეიძლება ჩაგვეთვალა უბრალოდამატებიან შერწყმულ წინადადებად. რადგან მართვა შემასმენელსა და უბრალო დამატებას შორის ცალმხრივია და ზმნისაგან მოდის, თითქოს შერწყმული ტიპის წინადადებისათვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა სხვადასხვა ბრუნვას: დაწერა ქალაღზე ან ფანქრით შერწყმული გამოვა უბრალო დამატებათა მიხედვით, მაგრამ ეს ასე არაა: ქალაღზე და ფანქრით არ აერთვები უბრალო დამატებები: საქურვლისა (ფანქრით — რით?) და სადაობითი (ქალაღზე — რაზე?), ე.ი., სტრუქტურულად სხვადასხვა ნიანსისანი არიან.

მაშასადამე, ზემოთ განხილული წინადადებები ვერ ჩაითვლებიან ერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებად. ისინი არ არიან შერწყმულნი არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვადასხვა ბრუნვაში დგანან და იმართვიან (უბრალოდამატებიანი შერწყმული წინადადება კი მხოლოდ ერთ ბრუნვაში გვხვდება), არამედ იმიტომაც, რომ მათთან ირდვევა ერთგვარვი წევრების ერთ-ერთი კრიტერიუმი — ერთნაირი სემანტიკური მიმართება. ჩვენ კი საქმე გვქონდა სხვადასხვა შინაარსის მქონე უბრალოდამატებიან წინადადებებთან.

ვფიქრობთ, დასახელებული ტიპის წინადადებები უნდა გავაერთიანოთ რთულ თანწყობილ წინადადებათა რიგში ცალკე წყების სახით.

ყოველივე ზემოთ თქმული სქემის სახით შეიძლება ასე გამოიხა-

ტოს:

ზმნა-შემასმენელი მართავს უბრალო დამატებებს ბრუნვაში ¹	მიცემითში, ნათესაობითში, მოკმედლებითსა და ვითარებითში (თანდებულაანად ან უთანდებულად)	უბრალო დამატებები არიან მხ.-ში ან მრ. რიცხვში, ან ორივეში ერთად
ნაზმნარი სახელი (ან კიდევ ზედსართავი და ზმნისართი) მართავს უბრალო დამატებებს ბრუნვაში	მიცემითში, ნათესაობითში, მოკმედლებითსა და ვითარებითში	უბრალო დამატებები არიან მხ.-ში ან მრ. რიცხვში, ან ორივეში ერთად
უბრალო დამატებები ვერ მართავენ პირში და ვერ ითანხმებენ რიცხვში ზმნა-შემასმენელს	—	—
უბრალო დამატებების ადგილი ზმნა-შემასმენელთან (ან ნაზმნარ სახელთან)	წინ უსწრებს, მოსდევს, ზოგი წინ უსწრებს, ზოგიც მოსდევს	

§.III.2. **ერთგვარჯანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება.** რამდენიმე განსაზღვრება ერთგვარია მაშინ, თუ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული საზღვრულთან და ასევე ერთნაირად მიემართებიან მას² (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 288). მაგ.:

„იმის გამხდარს და გაუვითლებულს პირი-სახეზედ მღელვარების სიწითლე თამაშობდა“ (ყაზბ., გვ. 304); „ალგეთის დილაც დაროსავით უძილო, მოღუშული, ცრემლიანი და შფოთიანი გათენდა“ (ჭავ., გვ. 424); „ბოჩიას განუწყვეტლივ ენატრებოდა თავისი კაფანდარა, ხალისიანი და დაუზარელი ფოთოლა“ (ქილ., გვ. 21); „დგას სურნელება ღვინისა, სიმინდისა და რთველისა“ (ასათ., გვ. 460); „... ყური დავუგდოთ ამ ძლიერ მუსიკას ცისა და მიწის“ (კალ., გვ. 300).

ერთგვარი განსაზღვრებები ასახელებენ საზღვრულით გადმოცე-

² ეს თითქმის იგივეა, რაც განმარტება: „განსაზღვრებები ერთგვარია, თუ ყოველი მათგანი უშუალოდაა დაკავშირებული საზღვრულ წევრთან და თითოეული ცალ-ცალკე ჩამოთვლის მის მიერ დამახასიათებელ განსხვავებულ ნიშნებს“ (ლ. წულაძე, 1963, გვ. 95).

მულ საგანთა ერთი რიგის განმასხვავებელ ნიშნებს:

„დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ **ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუბოვარი და დაუმონავი, მღვრიე თერგი**“ (ილია, გვ. 22); „**მიბუნდებულს, უღრანს, ბნელს, დაბურულს ტყეს ხომ არა შეედრება!**“ (ვაჟა, II, გვ. 52); „**არყისა და კაჭიჭის ბოთლები მუხლთან მიიღვა**“ (გამს., გვ. 17).

ერთგვარი განსაზღვრებები ასახელებენ ერთი და იმავე საგნის სხვადასხვა ნიშან-თვისებას:

„ეს იყო... **კაცი ძველი, გულჩანვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრიყვებული**“ (ილია, გვ. 282); „**ზაალის სახეზე წყრომისა და ღიმილის ხაზები აიკლაკნა**“ (ჯავ., გვ. 79); „**დაწერე ჰიმნი ხეებისა, ნისლისა, მარტოობისა**“ (ასათ., გვ. 328).

ერთგვარი განსაზღვრებები ეთანხმებიან ბრუნვაში სახელით გამოხატულ საზღვრულ წევრს სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (უთანდებულოდ) სრულად ან ნაწილობრივ. მაგ.:

„**იმათ იტყუებდა მსუქანი, ნოჟიერი, მწვანე ბალახი...**“ (ყაზბ., გვ. 21); „**ამ ევროპულად განათლებულმა და გონებაგანვითარებულმა მეცნიერებამ დედაჩემზედაც დიდი გავლენა იქონიეს...**“ (აკაკი, გვ. 24); „**ახალგაზრდას, ლამაზსა და პათოსანს ქვრივს მრავალი მთხოვნელი გაუჩნდა**“ (ჯავ., გვ. 63); „**მონადირეებს ენახათ ხმელი წიფლის გარშემო დედა-გვეფხვის და იმის ლეკვების კვალიო**“ (ვაჟა, II, გვ. 54); „**საწნახელი მთლად აივსო ყურძნითა თეთრითა და შავითა**“ (გოგებ., გვ. 22); „**ამოდენა უსახლკარო ხალხი ერთ შენივთულ, ატორტმანებულ, აღნავლებულ, ამღერებულ და აყაყანებულ მასად ქცეულიყო**“ (პილ., გვ. 171).

ერთგვარგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებაში გვხვდება **ატრიბუტული, სუბსტანტიური და პრედიკატული** განსაზღვრებები:

I. ატრიბუტული:

ატრიბუტული განსაზღვრებები გადმოიცემა ზედსართავი სახელით ან მიმღვობით:

„**აქ მთავრდება ჩემი ბავშვობის ხანა ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი**“ (აკაკი, გვ. 49); „**გალავნიდან გამოვიდა ტროიკა ბარგ-**

ჩალაგებული და მომზადებული“ (ყაზბ., გვ. 226); „არსებობს სულთა კავშირი მარადიული და დიდებული“ (კალ., გვ. 47).

II. სუბსტანტიური:

წინადადებაში ხშირად გვხვდება სუბსტანტიური განსაზღვრებები, რომლებიც ფორმით არიან მართული ან მართულ-შეთანხმებული (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 290). ისინი წინადადებაში გადმოიცემიან არსებითი სახელით ან ანალოგიური მნიშვნელობით ნახშირი სხვა მეტყველების ნაწილებით:

„მე მხოლოდ ძველი დღის დაფასების და გახსენების მქონდა სურვილი“ (ასათ., გვ. 63); „დაკმაყოფილებულიყო მარტო ტყისა და მინდვრის ბალახითა“ (გოგებ., გვ. 214); „შენ ვინა გკითხავს, უჯიშოვ, თოფისასა და ხმლისასა?“ (ვაჟა, I, გვ. 465); „მადლსაც სიმართლისას, პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშისცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას, — დასაბამად სათავედ სიბრალულის მადლი აქვს“ (ილია, ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 291).

ერთგვარგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებაში ვრცელდება განზოგადება, რომლის თანახმადაც, თუ ერთ საზღვრულთან დაკავშირებულია რამდენიმე მსაზღვრელი, მაშინ: „... მსაზღვრელები ახალ ქართულში ჩვეულებრივ საზღვრულის წინ დაისმის“ (ლ. ქანთარია, 1956, გვ. 329).

იგივე ვითარება დასტურდება სუბსტანტიურგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებაში. აქაც, თუ რამდენიმე მართული განსაზღვრება უსწრებს წინ საზღვრულს „... შემთხვევათა უმრავლესობა იცავს წყობას საზღვრულ-მსაზღვრელი, შედარებით იშვიათია მსაზღვრელ-საზღვრულის შემთხვევები“ (ც. კალაძე, 1961, გვ. 114):

„ათი წელი იქ მაროზგვინეს უირჯიზების, ბაშკირების ახალგაზრდები“ (გამს., გვ. 21); „ენგური გაეცსო ნაძვების, ფიჭვების, ურთხმელების მორებს“ (გამს., გვ. 507);

მაგრამ:

„მერმე მობეზრდა ეს გაუთავებელი ამბები შემოსევისა და შესევის, წარტყვევისა და წალეკვის...“ (გამს., გვ. 700).

ცალკე გამოიყოფა სუბსტანტიურგანსაზღვრებიანი წინადადების

ერთი ტიპი, რომლებშიც ერთგვარი წევრები არ არის:

„ეს მოხდა რომელიღაც თანამშრომლის ბავშვის დაბადების დღეზე“ (ფანჯ., გვ. 634); „ოთარ რამიშვილის ცვლის უფროსობის დროს გეგმას წელიწადში სამჯერ თუ შეასრულებდნენ“ (ფანჯ., გვ. 250); „მათი თუჯის ზარბაზნების... ლულების ცქერას არაფერი მერჩია“ (ფანჯ., გვ. 207).

ერთი შეხედვით, ამ ტიპის წინადადებები ერთგვარგანსაზღვრებიანი ჩანს — ე. წ. მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებითი სახისა¹, მაგ-

¹ ტერმინს მართულ-შეთანხმებული აქ ტრადიციულად ვხმარობთ (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 252). ... ასეთ წინადადებაში, როცა საზღვრული უსწრებს მსაზღვრელს — მართულ-შეთანხმებულად ვთვლით, ისე კი, სინამდვილეში ეს უკანასკნელიც მართვია, მართულია, რადგან ნანათესაობითარი მსაზღვრელია აქ მთლიანად ფუძისათვის ამოსავალი. ა. შანიძე ამის მიხედვით დაასკვნის: „ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მსაზღვრელი, რომელიც მართულია უშუალოდ წინ დასმის შემთხვევაში (ზის სახლი, მებაღის სახლი), მართულ-შეთანხმებული ხდება უკან გადასმისას: მართულია იმიტომ, რომ ნათესაობითის ფორმა საზღვრულისაგანაა დამოკიდებული, შეთანხმებული იმიტომ, რომ ეს ნათესაობითის ფორმა ფუძედ არის გამოყენებული და ხელმეორედ ნაბრუნე საზღვრულის ფორმასთან შეწყობის მიზნით. ამ გზით მიღებულია ორმაგი ბრუნვა: ნათესაობით-სახელობითი, ნათესაობით-მოთხრობითი, ნათესაობით-მოცემითი და სხვ.“ (ა. შანიძე, 1980, გვ. 92).

ამის თაობაზე მართულად შენიშნავენ: „ასეთი გაგება გამართლებული არ ჩანს. მსაზღვრელი ერთდროულად მართულიც და ბრუნვაში შეთანხმებულიც არ შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში „ნათესაობითის ფორმა ფუძედ არის გამოყენებული“ ხზოლოდ და პრინციპულად ისეთივე ვითარებაა, როგორც კუთვნილებითი ნაცვალსახელების შემთხვევაში გვაქვს: მსაზღვრელი მისი (მისი წიგნი და წიგნი მისი) მართულ-შეთანხმებულ მსაზღვრელად არ მიიჩნევა, თუმცა ფუძედ ნათესაობითის ფორმაა გამოყენებული და შემდგომ კი მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნვაშია შეთანხმებული“ (ი. გიგინეიშვილი, 1984, გვ. 43). უფრო მეტიც. „დაბადების დღე“ ტიპის სინტაგმაში მართვია კი არა გვაქვს, როგორც ამას ტრადიციულად მივიჩნევთ, არამედ შეთხრობაა. აქ რეალურად საქვე გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმებასთან ბრუნვაში“ (თ. უთურგაძე, 1986, გვ. 126). შდრ. დაბადების— დღე—, დაბადების დღე—... შდრ. დღე— დაბადების—, დღე— დაბადებისა—... მართლაც, სინტაგმაში შემავალ წევრებს საერთო აქვთ ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები: „შეთანხმებისათვის საჭიროა, რომ სინტაქსურად დაკავშირებულ სიტყვებს ზიარი გრამატიკული კატეგორია ჰქონდეს“ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 20), ასევე: „შეთანხმების საფუძველია, ერთი მხრივ, ლექსიკური შეხამებულობა, ხოლო მეორე მხრივ, „საზიარო“ მორფოლოგიური კატეგორიის არსებობა“ (ა. ლავითიანი, 1973, გვ. 255).

ძველი ქართულის დღეა დაბადებისა—ის ა, როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულში გაქრა. ამასთან დაკავშირებით მოიშალა ამ ბგერების შემცველი დიფთონგები, ამ ფაქტმა შედეგად ის მოგვცა, რომ ასეთი მსაზღვრელის ბრუნვა დეფექტური გახდა“ (ი. გიგინეიშვილი, 1984, გვ. 42). ახალ ქართულში აღარა გვაქვს ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნვის ფორმები: დღისა— დაბადებისა— და დღისა— დაბადებისა— ფორმების ბადალი ახლა უკვე აღარ არის. აქ მსაზღვრელის საზღვრულთან მტკიცედ დამაკავშირებლად ემფატიკური ა ხმოვანი გვხვდება.

რამ მწერლისთვის აშკარაა, რომ აქ ერთგვარი განსაზღვრებები არ არის, არსად არ წერია „მძიმე“. შდრ. ასეთი ნიმუშები:

„... ახალმა სასიძომ მაშის მაშის, შერგილ დადიანის ოჯახში შემოაგვლვა პირველი ცხენი“ (გამს., 479); „... სახელგანთქმული ათენელი მხატვრის, დედალუსის სახლში იწვა...“ (ქილ., გვ. 336); „იგი იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის მეჭინბეთუხუცესი ყოფილა“ (გამს., გვ. 30).

მეტყველებისას ასეთ წევრთა შორის ინტონაცია განსხვავებულია — არა გვაქვს ე. წ. ჩამოთვლის ინტონაცია. ამიტომაცაა, რომ მათ შორის არ დაისმის ხოლმე კავშირი „და“, რომელიც შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა შორის ყოველთვის შეიძლება ვიხმაროთ. მაგ.:

„... ისევ გამოჩნდა სახედაკაწრული, თმაგაჩეჩილი, ოფლში გაღვარული ლუკაია“ (გამს., გვ. 59); „... ახალ ცხოვრებას ჰქმნიდა — ლალს, თავისუფალს, მადლარსა და სამართლიანს“ (ჯავ., გვ. 503); „ქარისა კი ჩვეულებრივი ბავში იყო, ცელქი, დაულალავი, კისკისა“ (ქილ., გვ. 28).

მართლაც, ამ წინადადებებში თავისუფლადაა შესაძლებელი კავშირის აღდგენა: „სახედაკაწრული და თმაგაჩეჩილი ლუკაია“, „თმაგაჩეჩილი და ოფლში გაღვარული ლუკაია“, „ჰქმნიდა — ლალსა და თავისუფალს, მადლარსა და სამართლიანს“, „ბავში იყო: ცელქი და დაულალავი, დაულალავი და კისკისა“ და ა. შ.

ჩვენს შემთხვევაში კი ეს არ ხერხდება, რადგან სემანტიკურად დაუკავშირებელ წინადადებებს მივიღებთ, თუ და კავშირს აღვადგენთ ასეთ განსაზღვრებებს შორის: „თანამშრომლის და ბავშვის და დაბადების დღეზე“; „თუჯის და ზარბაზნების და ლულების ცქერას“...

მართალია, აქ ყველა განსაზღვრება მართულია ნათესაობით ბრუნვაში, მაგრამ ერთმანეთს თანწყობით არ უკავშირდებიან და არც

ამრიგად, ახალ ქართულში აღარა გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმები.

ლექსის ენაში კი „პოსტპოზიციური (ნანათესაობითარი) მსაზღვრელის გამოყენებისას მოიშალა შეთანხმება ბრუნვაში, ნანათესაობითარი სახელობითის ფორმა... გავრცელდა ყველა ბრუნვაში, გაჩნდა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმებიც...“ (ი. გიგინეიშვილი, იქვე, გვ. 44). მაშასადამე, ლექსის ენაში სალიტერატურო ენის დეფექტური ბრუნების გვერდით ჩნდება ნანათესაობითარი მსაზღვრელის უდეფექტო ბრუნება (დღე დაბადებისა...ს რიგში მსაზღვრელი დაბადებისა უცვლელია, იცვლება მხოლოდ დღე: დღე დაბადებისა, დღე-მ დაბადებისა, დღე-ს დაბადებისა...).

ერთსა და იმავე ნიშან-თვისებას (სემანტიკურ მიმართებას) გამოხატავენ. ეს კი ერთგვარ წევრთა განსაზღვრების ორი მომენტის დარღვევაა¹ (ერთგვარ წევრთა ლეფინიციის შესახებ იხ. ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 225).

ასეთ წინადადებებში ამ ტიპის წევრები ურთიერთგანმსაზღვრელნი არიან და არა ერთგვარი განსაზღვრებები. მაგ.: „ღღე-ს“ განსაზღვრავს „დაბადების“, „დაბადების“ — „ბავშვის“, „ბავშვის“ — „თანამშრომლის“ და ა. შ. აქ ესენი საზღვრულის („ღღე“-ს) უშუალო განსაზღვრებები კი არ არიან, არამედ ურთიერთგანმსაზღვრელი წევრებია. მაშასადამე, აქ გვაქვს მართულ მსაზღვრელთა რიგი. ამდენად, დასახელებული წინადადებებიც მარტივია და არა შერწყმული.

ძველ ქართულში გვქონდა სამმსაზღვრელიანი ნიმუშებიც (ც. კალაძე, 1961, გვ. 112-116), თუმცა უფრო ბუნებრივია ორმსაზღვრელიანი კონსტრუქციები. ახალ ქართულშიც ჩვეულებრივია ორმსაზღვრელიანი ნიმუშები, მაგრამ არც თუ იშვიათად გვხვდება სამმსაზღვრელიანი კონსტრუქციებიც:

„მათი თუჯის ზარბაზნების... ლულებს ცქერას არაფერი მერჩია“ (ფანჯ., გვ. 207); „ექსპერიმენტული ფილმების სტუდიის უფროსის მოსაცდელში სამი კაცი იდგა“ (ფანჯ., გვ. 504); „იუგოსლავიის თერმოატომგულის ინსტიტუტის ოთხი თანამშრომელი მეგატრონზე მუშაობის რადიაციული გამოსხივების შედეგად დაავადდა სისხლის გათეთრებით“ (ფანჯ., გვ. 640).

შესაძლებელია სამმსაზღვრელიანი კონსტრუქციების გავრცობა და ოთხ, ხუთ და ა. შ. მსაზღვრელიანი ნიმუშების მიღება:

ინსტიტუტის დირექტორის ფოსტის მოწესრიგება.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ფოსტის მო-

¹ სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი „დიდი ჰრელი კატა ტახტზე მიდი-ჰოლიოდა“ სახეობაში, მართალია, სემანტიკურ განსხვავებას ხელავენ (ჰრელი ფერია, დიდი — სიდიდის აღმნიშვნელია), მაგრამ აქ მთავარია ის, რომ „ჰრელი“ უშუალოდ განსაზღვრავს ქვემდებარეს (როგორი კატა? — ჰრელი), დიდი კი — ქვემდებარეს მის უშუალო განსაზღვრებინად¹ (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 226). ე. ი. აქ და კავშირის ჩასმა-არჩასმა კონტექსტზეა დამოკიდებული. ამიტომაც შინაარსობლივი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ესენი ურთიერთგანმსაზღვრელი წევრებია (მდრ. ანალოგიურ შემთხვევაში ლ. წულაძე, 1963, გვ. 92-93). ზემოთ მოყვანილი მასალა მართულია, აქ მოყვანილი კი — შეთანხმებული.

წესრიგება¹.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ფოსტის მოწესრიგების საკითხის გადაწყვეტა და ა. შ.

ეს არაა ურთიერთგანმსაზღვრელ კონსტრუქციითა კერი, რადგან შეიძლება აქ მოყვანილი ფრაზის გავრცობაც:

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის ფოსტის მოწესრიგების საკითხის გადაწყვეტა“ (II ურთიერთგანმსაზღვრელი წევრია).

რა თქმა უნდა, ასეთ წინადადებებს გამოყენების თავისი არე განიხი, რაც სტილისტიკურადაა შეპირობებული². სუბსტანტიურ განსაზღვრებათა პრეპოზიციული რიგი მსაზღვრელთა შინაარსობლივ ორაზროვნებას თავიდან აგვაცილებს (ლ. ლეჟავა, 1972, გვ. 91).

ხაზგასმულია, რომ ურთიერთგანმსაზღვრელ წევრთა გვერდით შეიძლება იყოს ე. წ. სუბსტანტიური დანართი³. მაგ.: „ნაპოლეონის მარშალის მფურატის ჩამომავალს შეეხო თარაში, ს ა მ ე გ რ ე ლ ო ს მ თ ა ვ რ ი ს ს ი ძ ე ს“ (გამს., გვ. 57).

ამ წინადადებაში სუბსტანტიური დანართი (მფურატის) საზღვრულის აღმნიშვნელი საზოგადო სახელის სინონიმს წარმოადგენს. ამიტომ დანართი იდენტური მნიშვნელობის მატარებელია (ნ. ცქიტიშვილი, 1983, გვ. 120) და შეიძლება საზღვრულს დაუკავშირდეს მიაგივებელი კავშირებითაც. მაშინ ეს წინადადება ასეთ სახეს მიიღებდა: ნაპოლეონის მარშალის, ანუ მფურატის (ან: — მფურატის —) ჩამომავალს

¹ წინადადებაში „ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფოსტის მოწესრიგება“, ჩვენ „ფოსტის მოწესრიგება“ ტიპის წევრებს მართულ განსაზღვრებად მივიჩნევთ, ვ. თოფურიას შეხედულების მსგავსად. შდრ. ა. შანიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ „საწყისთან შერწყმული სახელი ობიექტია (წიფლის მოკრა), არსებითთან შერწყმული კი განსაზღვრება (წიფლის სახელი). განსხვავება იმისგან წარმოდგება, რომ მიმართება სახელისა სახელთან სხვაა და ზმნისა სახელთან კიდევ სხვა...“ (ა. შანიძე, 1980, გვ. 93); ვ. თოფურიასათვის კი ორივე განსაზღვრებაა — რაკი ასეთი წევრები სინტაქსურად მართულია... (ვ. თოფურია, 1967, გვ. 8).

² ბრუნვაში მართვის გრძელი ჯაქვია შესიტყვებაში: „საქართველოს საბჭოთა... რესპუბლიკის... კომისართა საბჭოს დადგენილება...“ საკანონმდებლო ენაში მსგავსი შესიტყვებები ჩვეულებრივია... (არნ. ჩიქობავა, 1998, გვ. 62, სქოლიო).

³ სუბსტანტიური დანართი განსაზღვრებაა, რომელიც ხსნის და განმარტავს წინა განსაზღვრებას (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 300-302).

შეეხო თარაში, სამეგრელოს მთავრის სიძეს.

სტილისტური დანიშნულებისა ჩანს ურთიერთგანმსაზღვრელიან წინადადებაში თანაინი მრავლობითის წარმოჩენა ჩვეულებრივი -ებ-იანი მრავლობითის გვერდით: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი (შდრ. გრამატიკულად დასაშვები, მაგრამ სტილისტიკურად გაუმართავი „საქართველოს მეცნიერებების აკადემიის პრეზიდიუმი“). ამ რიგის გავრცელებულ შესიტყვებებში, როგორც ცნობილია, აღარა გვაქვს რიცხვში შეთანხმება (ლ. ლეჟავა, 1970, გვ. 144).

ამრიგად, ურთიერთგანმსაზღვრელ სუბსტანტიურ წევრებს (ერთს ან რამდენიმეს) შეიძლება ახლდეს სუბსტანტიური დანართიც, რომელიც წარმოშობით თვითაა სუბსტანტიური განსაზღვრება. ასეთი დანართი არაა გამოყოფილი და ამით, თითქოსდა, იქმნება ურთიერთგანსაზღვრებიან სინტაგმათა მთელი ჯაჭვი. თანაც, არსებითი სახელი და მსაზღვრელი არსებითი სახელი (დანართი) ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული (ნ. ცქიტიშვილი, 1983, გვ. 113). ზოგჯერ მწერლის ენაში წარმოჩნდება ისეთი ვითარება, როცა ასეთი განსაზღვრების დანართად ქცევის პროცესი დასრულებულიც არაა.

III. პრედიკატული:

პრედიკატული განსაზღვრების¹ საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია: ა. ლლონტი, ი. იმნაიშვილი, ა. კიზირია, ნ. ბასილაია (ამის შესახებ: ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 218-227). საინტერესოა ლ. კვაჭაძის დასკვნა (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 227), რომლის თანახმადაც, „პრედიკატული განსაზღვრება დამოუკიდებელი წარმომავლობისა ჩანს. იგი თითქოს შედგენილი შემასმენლის შეკუმშული სახეა. სახელადი ნაწილია უმეშველ-ზმნოდ (შდრ. „ოქრობირი თავდახრილი უსმენდა თეოფილეს“ და „ოქრობირი თ ა ვ დ ა ხ რ ი ლ ი ი ყო და უსმენდა თეოფილეს“).

ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომში კი „პრედიკატული

¹ „ტერმინი „პრედიკატული განსაზღვრება“ გადმოღებულია გერმანული გრამატიკებიდან... მოხდენილად ესადაგება ამ ტერმინით აღნიშნული ენობრივი ერთეულის სინტაქსურ ფუნქციას“ (ლ. კვაჭაძე, 1999, გვ. 40). ამიტომაც ამ ტერმინის ნაცვლად ატრიბუტული გარემოების თუ ატრიბუტული მსაზღვრელის სემანტიკურ-სტილურ ვარიანტად“ (ა. დავითიანი, 1973, გვ. 250) ხმარება, როგორც მიუთითებენ, მიზანშეწონილი არ უნდა იყოს (ლ. კვაჭაძე, 1999, გვ. 40).

განსაზღვრება დამოუკიდებელი წარმომავლობისა ჩანს“ ნაცულად პირდაპირაა გაცხადებული (ლ. კვაჭაძე, 1999, გვ. 39), რომ „არ მართლდება, თითქოს ის წარმოშობით იყო განსაზღვრება, მაგრამ მიატოვა თავისი ადგილი, ზმნას დაუკავშირდა, დაკარგა საზღვრული სახელი, დაკარგა მსაზღვრელობითი ფუნქციაც და ვითარების გარემოებად იქცა. პრედიკატული განსაზღვრება განსაზღვრება იყო და განსაზღვრებადვე დარჩა. იგი პირმიმართ წევრს განსაზღვრავს ზმნა-შემასმენლით გამოხატულ დროსთან მიმართებით, არა აქვს გაწყვეტილი საზღვრულ სახელთან კავშირი (ეთანხმება მას ბრუნვასა და რიცხვში“).

პრედიკატული განსაზღვრებები გადმოიცემა ზედსართავი სახელით ან მიმღობით:

„ერთხელ ტყუილ-უბრალოდ ნათრევ-ნახეტი, დაღლილი და ხელცარიელი მივდიოდი ჩემ ნათლიმამისაკენ“ (ილია, გვ. 135); „მასავით მყავდა... თანაშეზრდილი და შეჩვეული“ (აკაკი, გვ. 127); „ერთ საღამოს შალვა შეშინებული, აფორთქლებული დაბრუნდა ქოხში“ (ვაჟა, II, გვ. 107).

ერთგვარგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებაში შეიძლება შეგვხვდეს დისტანციური, ატრიბუტული და პრედიკატული განსაზღვრებები:

ა) დისტანციური ატრიბუტული განსაზღვრებები:

„ნაერთგულარს და ნამსახურს კაცი ძალღსაც არ გაიძეტებს“ (აკაკი, გვ. 34); „ბრძოლა შეიქმნა უფრო მწარე, გაშმაგებულ“ (ყაზბ., გვ. 48); „ტანზე ალაგვ აღარ შერჩა დაუქრელი, დაუბეგველი, დაუსერავი“ (ჯავ., გვ. 90)¹;

ბ) დისტანციური სუბსტანტიური განსაზღვრებები:

„მოთალხო ფერი წვებოდა ატმების, აღუჩების იისფერ ფოთლებზე“ (გამს., გვ. 37); „არსებობს მთელი ლექსიკონი ნადირობის დროს ტაბუდადებული საგნებისა და მოქცევებისა“ (გამს., გვ. 647); „მიუსაფრობის, მარტოობის დარეკეს ზარბ“ (კალ., გვ. 17);

გ) დისტანციური მართულ-შეთანხმებული განსაზღვრებები:

„[მათია]... წარმოსთქვამდა ფიცს სამულამო სიყვარულისა და

¹ დისტანციურ ატრიბუტულ განსაზღვრებათა თაობაზე მარტივ წინადადებაში იხ. ა. კიხიარია, 1982, გვ. 217-218.

ერთგულებისას¹ (ყაზბ., გვ. 100);

დ) დისტანციური პრედიკატული განსაზღვრებები:

„ამიტომაც დადოდა ახლა სასახლის ეზოში ხელებგაშლილი, გაკვირვებული და სულელურად მომღიმარი“ (ქილ., გვ. 157).

ერთგვარი განსაზღვრებების ადგილი წინადადებაში სხვადასხვაგვარია:

I. განსაზღვრებები პრეპოზიციაშია საზღვრულთან:

„მისი ძახილი შეეყენებულს, აუღუღებელს და შიქეფარეს წაღილად იქცა“ (ყაზბ., გვ. 609); „ერთ სალამოს შალვა შეშინებული, აფორთქლებული დაბრუნდა ქონში“ (ვაჟა, II, გვ. 107); „ეს გაბურჭვნილი, ძვალმსხვილა, თავმოტვლებილი, კბილებჩაცვენილი, მეჭეჭიანი კაცი თამარის მამაა...“ (გამს., გვ. 54); „ლურჯი ზღვისა თუ ცხრა შთის გადაღმა გადასცილდი ტალღების ღელვას“ (ასათ., გვ. 249); „სხივი ციაგებს მზისა დონის და გოლგის წყალზე...“ (კალ., გვ. 68);

II. განსაზღვრებები პოსტპოზიციაშია საზღვრულთან:

„ქალი კი იდგა ფერმინდილი, დაღონებული, თვალედაშეგებული და გატაცებული რალაცა ღრმა ფიქრით“ (ყაზბ., გვ. 11); „ამ ცხრაკლიტულში კიდევ მრავალი კარია... შეუცნობი და შეუვალი“ (გამს., გვ. 428); „დგას სურნელება ღვინისა, სიმინდისა და რთველისა“ (ასათ., გვ. 460); „არსებობს სულთა კავშირი მარადიული და დიდებული“ (კალ., გვ. 77); „სცნეს მათც ცვალება ჟამისა და დროსი...“ (კალ., გვ. 40);

III. საზღვრული ერთგვარ განსაზღვრებებს შორისაა:

„... თავვის სუნი იყო ეს, ქონდრის თუ დამწვარი ჭლანისა?“ (გამს., გვ. 44); „თინა ახალი ქალი იყო, შეუბღალავი, გაუტეხავი, იმედიანი და ხალისიანი“ (ქილ., გვ. 413); „არა მრქვა გულმა მიწით-რი ბედნიერება უმადლესი და ჭეშმარიტი, ნათელი და ქებული...“ (კალ., გვ. 10); „მიწის ხმა ხარო, მზის, მშვიდობის და ბედნიერების“ (კალ., გვ. 51).

ერთგვარსუბსტანტიურგანსაზღვრებიან წინადადებაში ხშირად

¹ ამ რიგის მარტივი წინადადების შესახებ იხილეთ ძველ ქართულსა („ჟამ ისმა მამისამ“ — იხ. ა. კიზირია, 1963, გვ. 277) და ახალ ქართულში („სიყვარულისას დავწნავ ვეირვეინსა“ — ა. კიზირია, 1982, გვ. 228-229).

განსაზღვრებებთან დაკავშირებით ეხვდებით -ა სავრცობს, როცა საზღვრული მსაზღვრელებს უსწრებს:

„ტფილისიდან მომდგარი ტრამალები ბუნებრივი გაგრძელებაა კასპისა და აზერბაიჯანის სტეპებისა“ (გამს., გვ. 22); „გააკეთებინა პურის ცომისაგან პაწია ქანდაკებანი: ცხენისა, უნაგირისა, სადავისა, მოსართავისა და მათრახისა“¹ (გამს., გვ. 67).

ყოველივე ზემოთ თქმული სქემის სახით ასე შეიძლება გამოიხატოს:

ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებანი ეთანხმებიან ბრუნვაში სახელით გამოხატულ საზღვრულ წვერს	სახელობითში, მოთხრობითში, ნათესაობითში, მოქმედებითში, ვითარებითში (უთანდებლოდ) სრულად ან ნაწილობრივ	ერთგვარი განსაზღვრებები შეიძლება იყვნენ მხ. ან მრ. რიცხვში
ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრებანი ² ა) მ ა რ თ უ ლ ი ა (წყობა პირდაპირი და შებრუნებული). ბ) მ ა რ თ უ ლ - შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი (თუ სუბსტანტიური განსაზღვრებანი მოსდევს თავის საზღვრულ წვერს)	ა) ნათესაობით ბრუნვაში ბ) ნათესაობითში, ნათ.-მოთხრობითში, ნათ.-მიცემითში	ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრებები შეიძლება იყვნენ მხ. ან მრ. რიცხვში
ერთგვარი პრედიკატული განსაზღვრებანი (ზედსართავით ან მიმღობით, ან მათთან გათანაბრებული სხვა სახელით) წყვილში შედიან ზმნა-შემასმენელთან, მაგრამ დაკავშირებულნი არიან სახელთან (ქვემდებ	სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითში	—

¹ „სტეპებისა“, „მათრახისა“ ფორმათა ა სავრცობია, რომელიც წინადადებაში აზრის დამთავრებაზე მიუთითებს. ჩანს, თითქოს წინადადება დასრულდა. ეს ა სავრცობია, რომელიც „ამთავრებს და ხმავს კონსტრუქციას“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 037; არნ. ჩიქობავა, 1998ა, გვ. 29). ამიტომაცაა, რომ „ასეთ წინადადებას ჩ ა კ ე ტ ი ლ ა ნ დ ა ხ შ უ ლ კონსტრუქციას ეძახიან“ (ვ. თოფურია, 1965, გვ. 103). ზოგჯერ ამ აკ ვერ ეხვდებით და წინადადება დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ახდენს:

„არის ზეიმი ადამიანის. მზის და ბუნების“ (ასათ., გვ. 90); „პოიწერე ამბები სახლის. კარის“ (ასათ., გვ. 307).

ცხადია, მსმენელი ელის საუბრის გაგრძელებასა და დასასრულს.
² ერთი რიგის ურთიერთგანსაზღვრელი სუბსტანტიური წვერები არ ჩაითვლება ერთგვარ განსაზღვრებებად. ამიტომაც ამ სქემაში ვერ შევიტანთ. მაგ.: „ნაპოლეონის მარშალის მგურატის ჩამოშვალს შეეხო თარაში...“

არსთან ან დამატებასთან) — შეთანხმებული არიან მასთან ბრუნვაში		
ერთგვარ განსაზღვრებათა ადგილი საზღვრულ სახელთან	წინ უსწრებს, წრებს, ზოგიც მოსდევს	მოსდევს, ზოგი წინ უსდევს

§. III.3. ერთგვარგარემოებიანი წინადადებანი. ქართულში სხვადასხვა სახის ერთგვარი გარემოება დასტურდება. ამის მიხედვით ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადებაც მრავალგვარია (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 292-294). განვიხილოთ ცალ-ცალკე.

I. რამდენიმე ერთგვარი ადგილის გარემოება

ერთგვარი ადგილის გარემოება გადმოიცემა ერთი და იმავე მეტყველების ნაწილით:

„ისინი დასხდებოდნენ ხოლმე რომელიმე მთის ფერდობზედ ან სერზედ“ (ყაზბ., გვ. 104); „პირიქინების ხმა მოდიოდა კობიტნარიდან, თხილნარიდან და ხილნარიდან“ (გამს., გვ. 283); „არაგვს ზემოთ, არაგვს ქვემოთ წელამდეა სათიბები“ (ასათ., გვ. 405); „... ბრწყინავს რაღაც შიგნით და გარეთ“ (კალ., გვ. 334).

თუმცა შესაძლოა სხვადასხვა მეტყველების ნაწილებითაც გადმოიცეს:

„სულ გარეთ და გაშლილ ჰაერზე მინდა ყოფნა“ (ასათ., გვ. 279)¹.

¹ ამ წინადადებაში გარეთ ზმნიზედაა, ჰაერითი — არსებითი სახელი, მაგრამ ჰაერზე ამ კონტექსტში უკვე ზმნიზედააა ქცეული (კითხვაზე ხალ?), მიერთვის ზმნა-შემასმენელს. ამიტომაც შესაძლებელია, რომ წარმოშობით სხვადასხვა ბრუნვის ფორმა, (იყო ხალისი სოფლად, ქალაქად, ოქროყანაში, ზეარში, მღელოზე“ (ასათ., გვ. 53) დღეს ზმნიზედად ქცეული, ერთნაირად მიერთვის ზმნა-შემასმენელს, როგორც ერთგვარი წევრი.

ის მოთხოვნები, რაც ზემოთ ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებას წავუყენეთ, ბუნებრივია, აქ არ გამოდგება. ამდენად, თქმა იმისა, რომ ადგილის

ადგილის გარემოებებს, ჩვეულებრივ, ერთი და იმავე ბრუნვის ფორმა აქვთ — მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი (თანდებულთ თუ უთანდებულთ):

„ჩვენც ჩვენი წინაპრებივით სადმე ერაცხ, მალრიბხ და მისრით-ში გვიკრავენ თავს“ (ჯავ., გვ. 524); „ბარდებში, ეკლებში, ლოჭიან-ში იკაფავს გზას არზაყან“ (გამს., გვ. 111); „... ისარივით მოდიოდა... ღუშეთისაკენ, მღეთისაკენ, დარიალისაკენ“ (ჯავ., გვ. 649); „ხალხი სიმღერით გროვდებოდა ძეწნების და ტირიფების ქვეშ“ (ქილ., გვ. 171); „ყოველი კუთხიდან, ჭუჭრუტანიდან იყვიტებოდა აწ გადასული მისი ბავშვობა“ (გამს., გვ. 970); „ირევა მალღით და ძირით მაგრიღებელი ნიავი“ (ვაჟა, I, გვ. 446); „იყო ხალისი ხოფლად, ქალაქად...“ (ასათ., გვ. 53).

ადგილის გარემოებები იშვიათად გვხვდება სხვადასხვა ბრუნვა-შიც:

„ელგუჯა წყნარად გავიდა გზის ნაპირად და ბურჩებში“ (ყაზბ., გვ. 21); „იყო ხალისი ხოფლად, ქალაქად, ოქროყანაში, ზვარში, მღელღოზე“ (ასათ., გვ. 53).

ერთგვარ ადგილის გარემოებებს შეიძლება სხვადასხვა თანდებუ-ლი დაერთოს. მაგ.:

„აგროვებდნენ ტყეში, ან წისქვილის კარზე... ეზოში, კაკლის ძი-რას და სახლის ლაფაროში“ (გამს., გვ. 85); „სპარსეთში და დაღეს-ტანში, კრწანისთან თუ შამქორთან საქართველოს ერთი მუქა ცხელი მიწა თან ჰქონდათ!“ (ასათ., გვ. 93); „აყვავდებოდი ადრე გაზაფხულს ქვეყანასა ზედა და ცათა შინა“ (კალ., გვ. 6).

მიცემით ბრუნვაში დასმულ ერთგვარ ადგილის გარემოებებს თუ ერთი და იგივე თანდებული მოუღის, მაშინ და კავშირის წინ მღგომი ჩვეულებრივ უთანდებულთა (ეს ღღეს ნორმატაა სალიტერატურო ქარ-თულში):

„[ხეები] ხილისანი¹ ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახლის

გარემოებასაც ანალოგიურად უნდა მივუღვეთ“ (ე. იმნაიშვილი, 2000, გვ. 197) არაა კორექტული. აქ, როგორც ვნახეთ, სხვა კრიტერიუმები ღგას.

¹ ხილისანი ე. წ. განმარტობული სუბსტანტიური განსაზღვრებაა (ა. კიხიია, 1982, გვ. 229)... მართალია, ხილისანი მიღებულია, ალბათ, ხ ი ლ ი ს ა ნ ი ხ ე ე ბ ი დ ა ნ,

თოვლის ქულითა“ (ილია, I, გვ. 409; ამოდებულია შრომიდან: ა. კიზირია, 1982, გვ. 229); „ამიტომაც პარკებსა და სკვერებში განუკითხავად გადადიოდა მწვანე გაზონებზე...“ (გამს., გვ. 77); „უბნის თავსა და ბოლოში იმდენი სარკე დაედგათ“ (ქილ., გვ. 13).

ერთგვარი ადგილის გარემოებების პოზიცია ზმნა-შემასმენელთან სხვადასხვაგვარია:

ა) ადგილის გარემოებები პრეპოზიციაშია ზმნა-შემასმენელთან:

„მთათა და გორათა არბენინა“ (საბა, გვ. 46); „ჩვენც ჩვენი წინაპრებივით სადმე ერაყს, მალრობს და მისრითში გვიკრავენ თავს“ (ჯავ., გვ. 524); „გაშლოვანში ან საზოგადოდ კახეთში მაშინდელს დროში ხშირად დაიარებოდნენ ლეკები“ (გოგებ., გვ. 416); „სულ გარეთ და გაშლილ ჰაერზე მინდა ყოფნა“ (ასათ., გვ. 279); „შენი მართალი მახვილი მტრისაკენ, ბნელისაკენ მიმართე“ (კალ., გვ. 92).

ბ) ადგილის გარემოებები პოსტპოზიციაშია ზმნა-შემასმენელთან:

„ეხოცდით მხეცსა უზომოსა შინდლორით და მითთ და ქედით“ (შოთა, გვ. 94); „ირევა შაღლით და ძირით მაგრილებელი ნიავი“ (ვაჟა, I, გვ. 446); „... მეწამულ ოქროს აფრქვევდა ჭალებსა და ველებზე“ (გამს., გვ. 28).

გ) ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ადგილის გარემოებებს შორისაა:

„იაგოს თავის ამხანაგებით ხან აქ იწვევდნენ, ხან იქ...“ (ყაზბ., გვ. 351); „ისინი ვარდის შიწიდან ქრიან, წალკოტებიდან, ტყიდან...“ (კალ., გვ. 334); „რკენას თუ იყავ, ამლიონების ხატსა?“ (კალ., გვ. 403); „მარცხნისას¹ ფარი გადიგდო, მარჯვნით — სითათა კრელიო“

მაგრამ იმ დროს, როცა ეს განმარტოებით მდგომი გახდა, ხილ-ის-ა-ნ-ი ფორმაში -ის უკვე ს ი ტ ვ ვ ა თ წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი სუფიქსია, ამიტომაცაა, რომ მას მოსდევს -ნ(-ი) (სახელობითისა)... -ის ბრუნვის ნიშანი რომ იყოს, მის შემდეგ -ნ- გამორიცხულია (გარდა სახელობით-წოდებითისა, -ნ- ხომ სხვა ბრუნვებში არა გვაქვს). ანალოგიური ვითარებაა საგულვებელი ამხანაგ-ის-ებ-ი შემთხვევაში (ამის შესახებ იხილეთ: \ თ. უთურგაიძე, 1986, გვ. 124).

¹ მარცხნისას წარმოშობით სუბსტანტიური განსაზღვრება ჩანს, მსაზღვრელდაკარგული (ჩავარდნილი — ა შანიძე, 1980, გვ. 94). მართალია, ასეთ შემთხვევათა თაობაზე აღნიშნავენ: „... მსაზღვრელები, ნათესაობით ბრუნვაში დასმულნი, საზღვრულის დაკარგვის შედეგად დამატებით ირთავენ ბრუნვის ნიშანს და ორმაგი ნიშნით ასრულებენ საზღვრული სახელის ფუნქციას წინადადებაში“ (ა. კიზირია, 1997, გვ. 140), მაგრამ ჩვენს შემთხვევაში მარცხნისას უკვე ადგილის გარემოებაა (მსაზღვრელჩავარდნილი განსაზღვრება ქცეულ-ადგილის ზმნიზედად).

(ვაჟა, I, გვ. 466).

ყოველივე ზემოთ თქმული სქემის სახით ასე შეიძლება გამოიხატოს:

ადგილის გარემოებები (ზმნიზედა თუ მასთან გათანაბრებული სახელი) მიერთიან ზმნა-შემასმენელს ¹ ან სახელზმნას	მიცემითში, მიც-ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში (თანდებულით თუ უთანდებულად)	ადგილის გარემოებები შეიძლება იყვნენ მხ., მრ. რიცხვში	—
ადგილის გარემოებები ვერ მართავენ (ვერ ითანხმებენ) ზმნა-შემასმენელს პირში (რიცხვში)	—	—	—
ადგილის გარემოებების პოზიცია ზმნა-შემასმენელთან	წინ უსწრებს, მოსდევს, ზოგი წინ უსწრებს, ზოგი მოსდევს		

II. რამდენიმე ერთგვარი დროის გარემოება

ერთგვარი დროის გარემოებიანი შერწყმული წინადადება იშვიათად გვხვდება. ერთგვარი დროის გარემოებები არიან წარმოშობით სახელობით, მიცემით, მიცემით-ნათესაობით, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (თუმცა ფუნქციურად ისინი დროის ზმნიზედების როლშია):

„ღღე და ღამე იგონებდის საყვარელსა მასვე მისსა“ (შოთა, გვ. 42); „დილას, საღამოს და შუადღეს ამ შესანიშნავ მთებს შესცქერიან“ (გამს., გვ. 561); „დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ წავიდა“; „პატარა გნომი? როგორი არის აქ ზამთრობით და შემოდგომით?“ (კალ., გვ. 176); „თავის ქუჩამღე, პირდაპირ სახლამღე მიაცილა“; „შევცქერი მათ დილას, შუადღეს, მწუხრისას და ღამით“ (გამს., გვ. 574).

ერთგვარი დროის გარემოებები წინ უსწრებს ან მოსდევს ზმნა-შემასმენელს:

ა) დროის გარემოებები პრეპოზიციაშია ზმნა-შემასმენელთან:

¹ ფაქტობრივ, ზოგ შემთხვევაში (ადგილის გარემოებების ზმნისართებით გადმოცემის გარდა) ეს მართვა შინაგანი მართვაა.

„ღღე და ღამე იგონებდის საყვარელსა მასვე მისსა“ (შოთა, გვ. 42); „... სამი ღღე და ღამე წართვით სვა“ (საბა, გვ. 43); „ადრე და მალე აიგავოს მტვერსავეთ ეს ობოლი თავი“ (ილია, გვ. 89); „ზგალ თუ ზეგ ჩემი ცოლი იქნები“ (ყაზბ., გვ. 103).

ბ) დროის გარემოებები პოსტპოზიციამა ზმნა-შემასმენელთან:

„შესრულდა თხუთმეტი წელი მზის ამოსვლიდან და მეორედ დაბადებიდან“ (ასათ., გვ. 49); „მოდის ღღით და ღამით...“ (ასათ., გვ. 254).

ზმნა-შემასმენელი დროის გარემოებებს შორის არ შეგვხვედრია.

ყოველივე ზემოთ თქმული სქემის სახით ასე შეიძლება გამოიხატოს:

დროის გარემოებები (ზმნიზნა თუ მასთან გათანაბრებული სახელი) მიერთიან ზმნა-შემასმენელს ან სახელზმნას ¹	სახელობითში, მიცემითში, მიც.-ნათესაობითში, ნათესაობითში, მოქმედებითში, ვითარებითში (თანდებულთ ან უთანდებულთ)	—
დროის გარემოებები ვერ მართავენ (ვერ ითანხმებენ) ზმნა-შემასმენელს პირში (რიცხვში)	—	—
დროის გარემოებების ადგილი ზმნა-შემასმენელთან	წინ უსწრებს,	მოსდევს

III. რამდენიმე ერთგვარი ვითარების გარემოება

ერთგვარი ვითარების გარემოებების მიხედვით შერწყმული წინადადებები ქართულში ხშირია. მათი შეერთება, ჩვეულებრივ, კავშირინია ან უკავშირო. ამ უკანასკნელის შემთხვევაში შეერთება ქმნის ღია კონსტრუქციას (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 293). მაგ.:

„გაიყარნენ სიყვარულით, მშვიდობიანად“ (აკაკი, გვ. 78); „რა ზმ-რა ზმად, წყვილ-წყვილად აწებოდნენ ურთიერთს მხარგრძელ-

¹ ფაქტობრივ (დროის გარემოებების ზმნისართებით გადმოცემის გარდა). ეს მართვა ხშირად შინაგანი მართვაა.

ნი“ (გამს., გვ. 512); „ისევ აკოცებს პეპელა ჩუმაღ, მიპარავით“ (კალ., გვ. 164).

კავშირიანი შეერთებისას სამივე სახის (მაჭგუფებელი, მაცალკევებელი, მაპირისპირებელი) კავშირი გვხვდება:

„გული ოღნავ და მეტად ტკბილად მიცემდა“ (ილია, გვ. 178); „მე გავატარე ზაფხული ლალად და მიმზიდველადა“ (ასათ., გვ. 229); „ზარი ისევ რეკავდა ხან კაპახად, ხან შიშით, ზოგჯერ გააფთრებით და ზოგჯერ კი უფრო დუნედ“ (ჯავ., გვ. 144); „ისა ლოცულობდა ჩუმაღ, მოკლედ, მაგრამ გულმხურვალედ“ (ყაზბ., გვ. 589).

ერთგვარი ვითარების გარემოებები გვხვდება სახელობით, მიცემით, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში. მაგ.:

„ხან კრუხავით ჩხავის, ხან... კატასავით...“ (რაზ. — ამოღებულა ლ. კვაქაძის წიგნიდან, 1996, გვ. 179); „ჩემი მხრის ქალები ხატში ლხინით და თამაშით მიდიან...“ (ყაზბ., გვ. 438); „... დავდივარ უსამსახუროდ და უფულოდ თბილისის ქუჩებში“ (ასათ., გვ. 384); „პატარა ქორებიც ქორულად და შმაგად იცქირებოდნენ“ (ვაჟა, II, გვ. 73).

არცთუ იშვიათად გვხვდება ბრუნვათა სხვადასხვაობა ამგვარ შერწყმულ წინადადებებში (ვითარებითი და მოქმედებითი ბრუნვა ერთად). მაგ.:

„ამიტომაც მწყურალად და გაჭავრებით მითხრა“ (ილია, გვ. 188); „გიორგის ბელადობით ჩუმაღ და სიფრთხილით მიდიოდნენ ჩვენი მგზავრები“ (ყაზბ., გვ. 20); „ისევ აკოცებს ყვავილს პეპელა ჩუმაღ, მიპარავით“ (კალ., გვ. 164).

ეს იმიტომაცა, რომ ორსავე ბრუნვაში წარმოდგენილი სახელი უკვე ზმნიზედის ფუნქციითაა: ამიტომაცაა შესაძლებელი ვითარებით და მოქმედებით ბრუნვათა ფორმები ერთად იყოს.

ერთგვარი ვითარების გარემოებები შეიძლება ახლდეს სახელზმნასაც (ლ. კვაქაძე, 1996, გვ. 293):

„გიორგის კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა“

¹ მართალია, მოყვანილ ნიმუშში ვით თანდებული სახელობითსაც დაერთვის და მიცემითსაც, მაგრამ ჩანს, რომ სახელობითში მხოლოდ ხმოვანფუძიან სახელებთანაა, მიცემითში კი ორივესთან — ხმოვანფუძიანთანაა და თანხმოვანფუძიანთანაა — ორივე შემთხვევაში ვით თანდებული მსგავსებაზე მიგვიითობს (ამის შესახებ იხ. თ. შარაბენიძე, 1939, გვ. 147-148).

(ილია, გვ. 251); „ამისათვისაც გაბედა ამ კაცმა პირდაპირ, დაუბრუნებლად თავისი არშეყოფა“ (ყაზბ., გვ. 44).

ვითარების გარემოებები კონტექსტში ზოგჯერ ისე უახლოვდებიან და ავსებენ ერთმანეთს, რომ მათ სინონიმური მნიშვნელობა ეძლევათ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 293). მაგ.:

„შენ იყავ მშვიდობით, მოსვენებით...“ (ყაზ., გვ. 433); „მთელი სოფელი ხარხარით, ყრიაშულით და ყიყინით ჩამოიარეს..“ (ჯავ., გვ. 36).

ზოგჯერ უკავშიროდ შეერთებულ ერთგვარ ვითარების გარემოებებს შუა შეიძლება ვიხმაროთ ახსნა-განმარტებითი ხასიათის კავშირი, კერძოდ, მაიგივებელი კავშირები ე. ი., ანუ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 294):

„თქვენ იყავით მშვიდობითა, კარგადა...“ (ყაზბ., გვ. 164) → მშვიდობით, ე. ი. კარგად. „... იმის ხმა გამოისმა როგორღაც ყრულ, უსიამოვნოდ“ (ყაზბ., გვ. 247) → ყრულ, ე. ი. უსიამოვნოდ.

ერთგვარი ვითარების გარემოებების ადგილი სხვადასხვაგვარია ზმნა-შემასმენელთან:

ა) ვითარების გარემოებები პრეპოზიციისა ზმნა-შემასმენელთან:

„პატარა ქორებიც ქორულად და შმაგად იცქირებოდნენ“ (ვაჟა, II, გვ. 73); „... ლუკაია წყევლით, ლანძღვითა და ყვირილით მოიჭერებდა ხოლმე გულს“ (გამს., გვ. 94); „... დაუფიქრებლად, უყუყუანოდ, უშეშრად და ყველას დასანახად სიკვდილი არჩია მისი მეფობის აღიარებას“ (ქილ., გვ. 524).

ბ) ვითარების გარემოებები პოსტპოზიციისა ზმნა-შემასმენელთან:

„გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ“ (ილია, გვ. 237); „ის ტიროდა მდუღარედ, თრთოლვით და ადელგებით“ (ყაზბ., გვ. 103); „მე გავატარე ზაფხული ლაღად და მიმზიდველად“ (ასათ., გვ. 229).

გ) ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ვითარების გარემოებებს შორისაა¹: „უფროსმა ღიმილითაც ჩამოართვა ეს დაცინება და ლაქუცი-თაც“ (ილია, გვ. 224); „აქ გამოქვეყნებული ბარათები ზოგი ფრანგულად იყო დაწერილი, ზოგი ქართულად“ (გამს., გვ. 553).

ყოველივე ზემოთ თქმული სქემის სახით ასე შეიძლება გამოიხატოს

ვითარების გარემოებები (ზმნა-ზედა თუ მასთან გათანაბრებული სახელი) მიერთიან ზმნა-შემასმენელს ან სახელ-ზმნას	სახელობითში, მიცემითში (გთ თანდებულთ), ნათესაობითში ² (ებრ(შებრ) თანდებულთ), მოქმედ-ბითსა და ვითარებითში (უთანდებულთ)	—	—
ვითარების გარემოებების ადგილი ზმნა-შემასმენელთან	წინ უსწრებს, მოსდევს, ზოგი წინ უსწრებს, ზოგი მოსდევს		

IV. ერთგვარი მიზეზის გარემოებები წინადადებაში

ერთგვარი მიზეზისგარემოებიანი შერწყმული წინადადება იშვიათად გვხვდება. იგი გადმოცემულია ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვებით (თანდებულთ ან უთანდებულთ):

„მადლობას უთვლიდა ერთგულებისა და მორჩილებისათვის...“ (აკაკი, გვ. 356); „ბავშვები ტიროდნენ შიშით და სიცივით“ (ყაზბ., გვ. 453).

ერთგვარი მიზეზის გარემოებები წინ უსწრებენ ან მოსდევენ ზმნა-შემასმენელს:

¹ „ერთგვარი ვითარების გარემოებები უსწრებენ შემასმენელს ან მოსდევენ მას“ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 294). იშვიათად, როგორც ეხედავთ, შეიძლება ზმნა-შემასმენელი ერთგვარ გარემოებებს შორის იყოს.

² ნათესაობით ბრუნვაში ვითარების გარემოება მარტივ წინადადებაში ებრ(შებრ) თანდებულთ გვხვდება (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 180), მაგრამ შერწყმულში ვერ დაედასტურეთ. საზოგადოდ ასეთი ფორმები დღეს მოძველებულია. თუ ხელოვნურად გადავაკეთებდით „მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული“ (კავ.) წინადადებას, მივიღებდით: მეც მისებრ და შენებრ, ძამო, მიღრინავს გული.

ა) მიზეზის გარემოებები პრეპოზიციასია ზმნა-შემასმენელთან:

„ჩვენი შიშით და მორიდებით ხვანთქარს თქვენი ბუზიც ვეღარ აუფრენია“ (აკაკი, გვ. 320); „შიმშილისაგან, სიარულისაგან და ცემისაგან ძლივს იდგნენ ფეხზე“ (ჩავ., გვ. 489); „... აყლაყულა მეომარს ბედნიერებისა და მოულოდნელობისაგან თავზარი დაეცა“ (ქილ., გვ. 187).

ბ) მიზეზის გარემოებები პოსტპოზიციასია ზმნა-შემასმენელთან:

„... ახლოც არ გაუარა ოთარაანთ ქვრივს რიღისა და კრძალვისაგან“ (ილია, გვ. 313); „მთავრობაც დიდ პატივს სცემდა სიმართლისა და პირდაპირობისათვის...“ (აკაკი, გვ. 382); „მარადიულობის მოსასხამით დაეჭიღოვებინა ჭიუტობისათვის, ამტანობისათვის, გულგრილობისათვის, შეურყენელობისათვის, სიბრძავისათვის და სიყრმისათვის (ქილ., გვ. 525).

ყოველივე ზემოთ თქმული სქემის სახით ასე შეიძლება გამოიხატოს:

მიზეზის გარემოებები (ზმნიზედა თუ მასთან გათანაბრებული სახელი) მიერთიან ზმნა-შემასმენელს ან სახელზმნას	ნათესაობითსა და მოქმედებითში (თანდებულობით ან უთანდებულობით)	—
მიზეზის გარემოებები ვერ მართავენ (ვერ ითანხმებენ) ზმნა-შემასმენელს პირში (რიცხვში)	—	—
მიზეზის გარემოებების ადგილი ზმნა-შემასმენელთან ან სახელზმნასთან	წინ უსწრებს, მოსდევს	

V. ერთგვარი მიზნის გარემოებები წინადადებაში

მიზნისგარემოებიანი შერწყმული წინადადებაც იშვიათად გვხვდება. ერთგვარი მიზნის გარემოებები გვხვდებიან ნათესაობითსა (თანდებულობით) და ვითარებით (უთანდებულობით) ბრუნვებში. მაგ.:

„აკაცი სიმშვიდისა და მოხვეწებისათვის არის გაჩენილი“ (აკაკი, გვ. 379); „მოვიდა მცხოვრებთა მოხვრად და თრევადა...“ (კალ., გვ. 263).

ერთგვარი მიზნის გარემოებების ადგილი სხვადასხვაგვარია ზმნა-შემასმენელთან:

ა) მიზნის გარემოებები პრეპოზიციასა ზმნა-შემასმენელთან:

„ჩვენ ზედგად და სმენად უღონონი ვართ“ (ილია, გვ. 57); „გოგომ წყლის დახალეგად და გახაგრილებლად ძროხა ალაზანზე წაიყვანა“ (ილია, გვ. 82);

ბ) მიზნის გარემოებები პოსტპოზიციასა ზმნა-შემასმენელთან:

„წავიდეს ყველა ქვეყნის დახაცავად და ჩემს შეხაცვლელად“ (ასათ., გვ. 254); „გავეც სამთავრო ჩემი მეფობად და ხადედოფლოდ სხვა დედოფალთა...“ (კალ., გვ. 109).

ყოველივე ზემოთ თქმული სქემის სახით ასე შეიძლება გამოიხატოს:

მიზნის გარემოებები (ზმნიზედა თუ მასთან გათანაბრებული სახელი) მიერთიან ზმნა-შემასმენელს ან სახელზმნას	ნათესაობითში (თანდებუ-ლით) და ვითარებითში (უთანდებულოდ)	—
მიზნის გარემოებები ვერ მართავენ (ვენითანხმებენ) ზმნა-შემასმენელს პირში (რიცხვში)	—	—
მიზნის გარემოებების ადგილი ზმნა-შემასმენელთან ან სახელზმნასთან	წინ უსწრებს, მოსდევს	

§.III.4. ნარევი სახის შერწყმული წინადადება. შერწყმულ წინადადებაში შეიძლება იყოს რამდენიმე წყება ერთგვარი წევრებისა. ისეთ წინადადებებს, რომელშიც მოგვეპოვება რამდენიმე (ორი ან მეტი) წყება ერთგვარი წევრებისა, ნარევი სახის შერწყმულ წინადადებას უწოდებენ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 266). ა. კიზირია კი ასეთი ტიპის შერწყმულ წინადადებებს შერეულს¹ უწოდებს (ა. კიზირია, 1953, გვ. 223).

გვხვდება ნარევი სახის შერწყმული წინადადებების შემდეგი და-

¹ ტერმინი სასკოლო გრამატიკაში ა. შანიძისაგან მოდის: „შერწყმული წინადადება შეიძლება იყოს შე რ ე უ ლ ი ხასიათისა: შიგ იყოს სხვადასხვა ერთგვარი წევრი, მაგ., ერთ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელი და შემასმენლებთან რამდენიმე დამატება ან გარემოება“ (ა. შანიძე, 1948, გვ. 95 — დაშლა ავტორისაა — მ. ბ.).

ჭრუფებები:

1. ერთგვარი შემასმენლები და ერთგვარი ქვემდებარეები:

„ვეფხიაჲ და კობაჲ კარგა ხანს დაისვენეს, ამოიღეს გულიდან საგზალი...“ (ყაზბ., გვ. 343); „ერთ დროს გზირმა და არუთინამ გამო-
რეკეს კვებულები და წაახხეს“ (ვაჟა, II, გვ. 28); „კოჭლი და ბრმა
პიდიოდნენ, შიადგნენ ერთ მდინარეს“ (გოგებ., გვ. 14); „... მიესალ-
მნენ ერთმანეთს და გადაეხვივნენ ურთიერთს კაც ზვამბაია და ლუ-
კაია ლაბახუა“ (გამს., გვ. 41);

2. ერთგვარი შემასმენლები და ერთგვარი ბირდ. დამატე-
ბები:

„... გადმოიღო იქიდან ცივად მოხარშული დამზადებული დედა-
ლი, ყველი, მრგვალად მოხარშული კვერცხები, ხელადით ღვინო, გა-
აწყო...“ (აკაკი, გვ. 157); „... გამოშიგნეს, ამოიღეს გულ-მუცელი,
კუჭ-შაჭები და სამწვადეები“ (ყაზბ., გვ. 279);

3. ერთგვარი შემასმენლები და ერთგვარი ირიბი დამატე-
ბები:

„[მან] ზურგი მეურმეებს და თავის ქმას შეაქცია, დაუწყო
უაზროდ ყურება...“ (ილია, გვ. 229); „ეს კაცი მთელი კვირაობით და-
დიოდა, ხედებოდა ღრესა და ტყესა, მთასა და ველსა...“ (ყაზბ.,
გვ. 717).

4. ერთგვარი შემასმენლები და ერთგვარი უბრ. დამატე-
ბები:

„სამოახლოში ქალები იდგნენ და სამ ხარისხოვნად იყოფებოდ-
ნენ: გამდელებად, მოახლებად და გოგობებად“ (აკაკი, გვ. 35); „...
ის მოვიდოდა ქალთან, დაელაპარაკებოდა... ისევ მოუსვენრად და
მღელვარებით...“ (ყაზბ., გვ. 253);

5. ერთგვარი შემასმენლები და ერთგვარი განსაზღვრებე-
ბი:

„ჩვეულმა და ჭირვეულმა ფიქრმა ხელახლად დაჰქროლა და
მოუშუშა გული“ (ილია, გვ. 266); „ამ ცალთვალა და ცალხელა ნახე-
ვარით-ღა გცხოვრობთ და გკითხულობთ ერთმანეთს“ (ილია, გვ. 301);

6. ერთგვარი შემასმენლები და ერთგვარი ვით.
გარემოებები:

„[არჩილს]... უნდოდა მიწა კადრაკის ფიცარსავეთ უჭრა-უჭრად დაეწყო და ისე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ“ (ილია, გვ. 277); „ველამ შუბლი შეიქმუნა და წყნარად, თუმცა მტკიცედ და გარკვევით უპასუხა“ (ყაზბ., გვ. 597); „მელიდურად, დინჯად ჩამობრძანდა და წამოშლილ სტუმრებს ხუთიოდე ნაბიჯის მანძილზე გაუჩერდა“ (ჯავ., გვ. 144); „ტორტმანით, ფარფატით, ტაატით გაფრინდა, გაცქრიალდა ცხენი...“ (გამს., გვ. 228);

7. ერთგვარი შემასმენლები და ერთგვარი ადგ. გარემოებები:

„ლამის სტუმარი გამოვიდოდა მთვარის შექზედ, მავნე სულსავეთ დაფათურებდა მინდვრად, წყლის პირად და... მთვარის სხივებით კმაყოფილდებოდა“ (ყაზბ., გვ. 574);

8. ერთგვარი შემასმენლები და ერთგვარი დროის გარემოებები:

„დაუწყო ჯუმბერს წვრთნა და ახწავლიდა დღივ და ღამ“ (საბა, გვ. 43); „ძუძუს აღარა გწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა გსუტავ დილით და სადამოთი...“ (ვაჟა, II, გვ. 7);

9. ერთგვარი ქვემდებარეები და ერთგვარი პირდ. დამატებები:

„ვერც ხანშა, ვერც დრომ ვერ გადაავიწყეს იმას მტრობა და სიძულვილი“ (ყაზბ., გვ. 414); „პატარა ბატონი და მისი ყმები გააფთრებით იქნევდნენ ძარაღს, კომბლებს, მათრახებს...“ (ჯავ., გვ. 49); „ხარაზები, თერძები, ჰონები სადგახსა და ნემსს შეაჩერებდნენ“ (გამს., გვ. 126);

10. ერთგვარი ქვემდებარეები და ერთგვარი ირ. დამატებები:

„ზაალის ეზოს და სასახლეს ბოლი, ნატუსალი და ონშივარი ასდის“ (ჯავ., გვ. 72); „ქალები, ბავშვები და მოხუცები საბარგო ჯვტლებსა და ოჩამჩირის მატარებელს წამოჰყენენ“ (გამს., გვ. 193);

11. ერთგვარი ქვემდებარეები და ერთგვარი უბრ. დამატებები:

„პროცესიას მოუძღოდნენ მწვანითა და ნეშოთი შემკული მსუბუქი ავტომობილები და ცხენოსანი პოლიცია“ (გამს., გვ. 93); „მი-

ჰკროდნენ მათ გვერდით... ფშალოთ, ავრეხით, ვენახით დაბლანდული ხეები და ბარდები“ (გამს., გვ. 194);

12. ერთგვარი ქვემდებარეები და ერთგვარი განსაზღვრებები:

„ინლოეთი, ავსტრალია, აფრიკა და ჩინეთი წალმა-უკულმა გადაფარჩხულა ფოლკლორისტების, მითოლოგების, ენათმეცნიერების, ტურისტების კალმით...“ (გამს., გვ. 496);

13. ერთგვარი ქვემდებარეები და ერთგვარი ვით. გარემოებები:

„ჭლუნა და კობა წყნარად და ფრთხილად მივიდნენ სახლის კარებთან“ (ყაზბ., გვ. 330); „ხეები, დედამიწა, წითლად, ყვითლად და მწვანედ დაფარული გაჰლუოდა“ (ვაჟა, II, გვ. 61); „ყისერგაწვდენილი ბატონი და მოურავი ფორხილით და ხვნეშით ეწეოდნენ უღელს“ (ჩავ., გვ. 325);

14. ერთგვარი ქვემდებარეები და ერთგვარი ადგ. გარემოებები:

„უბამსი ქერტლი და თებო ჩალეკოდა მხრებსა და კისერში“ (გამს., გვ. 42); „ამდენი ჭაფა და ხიფათი არც აფრიკის ქუნჯლებში, არც ტიბეტზე გადასვლისას არ შემხვედრია“ (გამს., გვ. 496); „ქუნტება და შუკებში პაპიროსის გასრესილი კოლოფები, ნარინჯის ნაფცქვენები და პლაკატის ნახევები ეყარა“ (გამს., გვ. 568);

15. ერთგვარი პირდ. დამატებები და ერთგვარი განსაზღვრებები:

„[ბატონმა]... ძვირფასი კვერთხისა და შავ-ლურჯი ყურთმაჯის მოქნევით ყველას პირისახეში რისხვა და კრულვა მიახალა“ (ჩავ., გვ. 28); „პირმშვენიერმა, ახლვანმა ვაჟაკმა ამას შესწირა თავისი სიჭაბუკე, გაყვაცობა და სიჭარმაგე“ (გამს., გვ. 683);

16. ერთგვარი პირდ. დამატებები და ერთგვარი უბრ. დამატებები:

„ჭირიცა და ლხინიც სულ მღერით და გალობით იცოდა“ (ილია, გვ. 249); „თემმა მთლად შენი მამული, სახნავი და სათიბი, საძოვრითა და წყალითა... შე მარგუნა“ (ყაზბ., გვ. 158); „... სვანეთიდან გააძევებენ ლქროთი და გერცხლით მოოქვილ ქაშრებს, სვანურ

ქულებს, ჩოხებს, საცვლებს, ბაჭიჭებს, ნაბღებს, ფიქვის მკვარებს, ჩონგურებსა და საზანდარს" (გამს., გვ. 555);

17. ერთგვარი პირღ. დამატებები და ერთგვარი დროის გარემოებები:

„ადრე და მალე რად ვითხელებ ჭკვასა და გონებას“ (ილია, გვ. 190);

18. ერთგვარი პირღ. დამატებები და ერთგვარი მიზნ. გარემოებები:

„ნარდი, ჭადრაკი და სათამაშოები სასიამოვნოდ და დროის გასატარებლად გამოიგონია ჩვენში“ (აქაკი, გვ. 33);

19. ერთგვარი ირიბი დამატებები და ერთგვარი განსაზღვრებები:

„მე ნელ-ნელა პურსა და ქათმის, ინდაურის სორცხ შევექცეოდი...“ (ვაჟა, II, გვ. 129); „ფრთხილი და ირიბი მზერით ხან თამარს გასცქეროდა, ხანაც არაბიას“ (გამს., გვ. 144);

20. ერთგვარი ირიბი დამატებები და ადგ. გარემოებები:

„ბოლნისში, თელეთში სვეტიცხოვლობასა და ალავერდობასაც შეჰხვედრია“ (ჯავ., გვ. 43);

21. ერთგვარი უბრ. დამატებები და ერთგვარი ვით. გარემოებები:

„დარიაჩანგის ბალი ფუტკრებიანად, პეპლებიანად, ჩიტებიანად გამჭრალიყო უკვალოდ და სამუდამოდ“ (ქილ., გვ. 304);

22. ერთგვარი განსაზღვრებები და ერთგვარი უბრ. დამატებები:

„... პირბადრი, სახენათელი, თმაგაშლილი „ადგილის დედა“ ბუნების სანუგეშოდ სიყვარულზე, ხიწმინდეზე და სიცოცხლეზე ზღაპარს უამბობს“ (ვაჟა, II, გვ. 53); „ლამაზი სული ქართი, ფოთლებით, თვისი ხიმშვიდით და შეშფოთებით, ქლიავისა და ატმის ტოტებით საგაზაფხულო მიწას შორდება...“ (კალ., გვ. 351);

23. ერთგვარი განსაზღვრებები და ერთგვარი ვით. გარემოებები:

„მათია ნიავის მსგავსი ჩურჩულით, საესეს კრძალვით და უშანკლებით წარმოსთქვამდა თავის ფიცს სამუდამო სიყვარულისა და

ერთგულებისათვის“ (ყაზბ., გვ. 100);

24. ერთგვარი განსაზღვრებები და ადგ. გარემოებები:

„... მართლაც იყო რაღაც იდუმალი, მომწუხრებელი და მომთვინიერებელი ოქრომქედლის ეშმაკურად მოწყურულ თვალეებსა და შეკავებულ ღიმილით დანაოქებულ ტუჩებსში“ (ქილ., გვ. 13);

25. ერთგვარი განსაზღვრებები და ერთგვარი დროის გარემოებები:

„სამი დღე და ღამე ვიმალებოდით დაფნისა და მაგნოლიების ტყეებში“ (გამს., გვ. 314).

ხშირად გვხვდება ისეთი ნარევი სახის შერწყმული წინადადება, სადაც ერთგვარი წევრების სამი წყებაა. მაგ.:

„გიორგიმ არჩილისა და კესოს (განს.) სწავლებით და ჩვენებით (უბრ. დამატება) გააკეთა და დაქვეალა (შემასმ.) ის ბალი“ (ილია, გვ. 287); „ამ პასუხის შემდეგ ბიჭების მეტი ყველანი დაითხოვეს და დაიწყეს (შემასმ.) გასჯა და აწონა (პირდ. დამატ.) ყველა ჩვენებისა და გაგონილისა (განსაზღ.)“ (ყაზბ., გვ. 71); „მამალი თვალეებდახუჭული, ჩიჩაღდაკიდებული, მხრებდაშვებული, თავტანსისხლიანი (განს.) საცლდავად, გულსაკლავად (ვით. გარ.) ძღდა ცეცხლთან და თბებოდა“ (ვაჟა, II, გვ. 98); „... სამჭერ შემოატარეს ეზოში ცხენიცა და ცხედარიც (პირდ. დამ.) და მოთქმითა და ზარით (ვით. გარ.) გაიყვანეს (შემასმ.) ეზოდან“ (გამს., გვ. 662).

იშვიათად გვხვდება ოთხერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება:

„... ცოდნის სუსხით შემკრთალი და მოზუზული (განს.) მედღა შეგონებებს ღმინდა და ღმანსოვრებდა, გადაყრუებულ ტყე-დრეებსა და ჩვე-ხუფებსში (ადგ. გარ.)... ათასნაირ ყვავილს, ბალახსა და ხავსს (პირდ. დამ.) ფროვებდა (შემასმ.)“ (ქილ., გვ. 43).

§.III.5. განმაზოგადებელი სიტყვები ერთგვარ წევრებთან. შერწყმულ წინადადებაში ხშირად მოგვეპოვება ერთგვარ წევრთა განმაზოგადებელი სიტყვა. ერთგვარი წევრები და მათი გამაერთიანებელი, განმაზოგადებელი სიტყვა ერთსა და იმავე კითხვაზე მიუგებენ და ერთსა და იმავე სინტაქსურ ფუნქციასაც ასრულებენ (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 295). მაგ.:

„ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეული ფრინველნი: ჩხიკნი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ლობემძვარალები, ბოლოცეცნლები, ჭივჭავნი, გგრიტნი, ტრედნი და სხვანი მრავალნი“ (ვაჟა, II, გვ. 133); „ზაალ ყველაფერს ანაცვალებს — ხახლ-კარსაც, მარაბდასაც, ქალაქის მამულსაც და თავის თავსაც“ (ჯავ., გვ. 482);

მართლაც, I წინადადებაში ერთგვარი წევრები და განმაზოგადებელი სიტყვა, ორივე, ქვემდებარეებია, II წინადადებაში — პირდაპირი დამატებები.

განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარ წევრებს შეიძლება მოსდევდეს ან, პირიქით, წინ უსწრებდეს მათ. როცა განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარ წევრებს მოსდევს, მაშინ ის კრებს და აერთიანებს ერთი მნიშვნელობით ერთგვარ წევრებს მაგ.:

„სასახლის ორივე სართული, ძნები, საბძელი, ბეღელი, გომური — ყველაფერი ბოლში შთაინთქა“ (ჯავ., გვ. 382); „ბაგშეგები, დედაკაცები, ხნიერები — ყველანი მოგროვდნენ“ (ჯავ., გვ. 490).

ხოლო როცა განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრების წინაა, მაშინ ერთგვარი წევრები აკონკრეტებენ და აზუსტებენ ასახსნელი სიტყვისა თუ სიტყვათა შეკავშირების მნიშვნელობას (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 295). მაგ.:

„ყველა შიშის ქარმა აიტანა, მახწავლებელიცა და მოხწავლებლებიც“ (აკაკი, გვ. 59); „შიგ უამრავი განძი იყო: ოქრო, გერცხლი, თვალი და მარგალიტი“ (აკაკი, გვ. 64); „გადაშენდნენ წინაისტორიული პერიოდის გიგანტური ცხოველები: მასტოდონტები, მამონტები და მისთანანი“ (გამს., გვ. 48);

ამ შემთხვევაში განმაზოგადებელი სიტყვა თვითონ კი არ ხსნის ერთგვარ წევრებს, არამედ თვით იხსნება ერთგვარი წევრების მიერ¹.

დასაზუსტებელ-ასახსნელი სიტყვა შეიძლება გადმოიციეს როგორც ნაცვალსახელებითა და ნაცვალსახელური ზმნიზედებით, ისე მეტყველ-

¹ მიუთითებენ, რომ ზეპირ მეტყველებისას, როცა განმაზოგადებელი სიტყვა ერთგვარი წევრების წინაა, მაშინ ხმის ამაღლება და ლოგიკური მახვილი მოდის განმაზოგადებელ სიტყვაზე; ხოლო როცა განმაზოგადებელი სიტყვა ჩამოსათვლელი სიტყვების ბოლოსაა, მაშინ ხმა მაღლდება ერთგვარი წევრების ბოლოს, პაუზა კი წერით მეტყველებაში ტირესთან კეთდება (შ. ქურდაძე, 1999, გვ. 210-211).

ბის სხვა ნაწილებითაც: არსებითი სახელით, ზედსართავეებით, რაოდენობითი რიცხვითი სახელებით. ამხსნელ-დამაზუსტებელი სიტყვა თითქმის ყველა სახის შერწყმულ წინადადებაში გვხვდება. მაგ.:

1. **ერთგვარ ქვემდებარებთან:** „მოვიდა გოგო ნადირთა ანგარიშ-მიუწვდომელი: ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალა მხტომელი“ (შოთა, გვ. 20); „მიწა, წყალი, მთა, კლდე, ტყე და ველი, ყველა ნათესაურის კავშირით გადაბმულა ჩემთან“ (აკაკი, გვ. 325); „მას ყველაფერი ჰქონდა: საჭმელიც, სასმელიც, ჩასაცმელიც“ (ყაზ., გვ. 515); „ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეული ფრინველნი: ჩხიკენი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ღობემძვარალები, ბოლოცეცხლები, ჭიგჭავნი, გვრიტნი, ტრედნი და სხვანი მრავალნი“ (ვაჟა, II, გვ. 133);

2. **ერთგვარ შემასმენლებთან:** „ყველაფერში კაი ყმაწვილი კაცი იყო: მშვენიერის სანახაობისა, გულუხვი, გულმარდი, გიჟმაჟი და ვაჟკაცი“ (ილია, გვ. 179); „ნ. ნიკოლაძე მაშინ ძალიან ახალგაზრდა კაცი იყო, მკვირცხლი, მოუსვენარი, ნიჭიერი...“ (აკაკი, გვ. 90); „საშინელი ხალხია — უდიერი, მოლალატი, მოუდრეკელი“ (ჩავ., გვ. 427);

3. **ერთგვარ პირდ. დამატებებთან:** „ნურაჯის დაზოგავთ: ნურც დიდს, ნურც პატარას, ნურც ბებერს და ნურც ყმაწვილს“ (აკაკი, გვ. 343); „დედა მიმზადებს ხაგძალს: პურსა, ყველსა და ხაჭოსა“ (ვაჟა, I, გვ. 435); „... ყველაფერს ათამაშებს — ფეხებს, თეძოებს, მხრებსაც, თავსაც, თვალსაც და უღვაშებსაც“ (ჩავ., გვ. 46); „თინა ყველაფერს ასწრებდა, ჭირისუფლობასაც და საქმესაც“ (ქილ., გვ. 398);

4. **ერთგვარ ირიბ დამატებებთან:** „გადავემტერეთ ყველას: მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა“ (ილია, გვ. 234); „საუყუნოდ მადნებში მუშაობა მიუსაჯეს დიდსა თუ პატარას — ყველას“ (აკაკი, გვ. 80); „თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა ამ მშვენიერ მაგნოლიის ხეს... ამ პარპაშა აღვის ხეს, იმ ქოჩორგაბურძვინილ ლეღვის ხეებს — თავის ბავშვობის პირუთვნელ მოწმეებს“ (გამს., გვ. 346);

5. სხვადასხვა სახის ერთგვარი უბრალო დამატებები თავისი გან-

მზოგადებელი სიტყვით (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 297): „შინა საქმის გარდა მხარდამხარ მისდევნ კაცებს გარე საქმეშედაც: თივის აგროგებაში, ზოდვაში, მკაში, კალოში“; „შენთვის არის საქირო, სიდონი, შენთვის, ისევ შენთვის და შენი ნათესავებხათვის: შვილისათვის, ქმრისთვის, დედისთვის“; „ბედნაკრავ მეგობარს ყველაფრით უსმენდა: ყურებით, გულით, თვალებით, შუბლით, ტვინით და კბილებითაც...“;

6. ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებათაგან თავისი განმზოგადებელი სიტყვით დადასტურდა ატრიბუტულგანსაზღვრებებიან წინადადებაში: „დარისპანისათვისაც არჩეული ჰყავდა საუკეთესო სასძლო: მშვენიერი, ნასწავლი, გვარის შვილი, მდიდარი“;

7. უფრო ხშირია ერთგვარადგილისგარემოებიანი წინადადებანი: „ერობაში, ხატობაში, მთაში თუ ბარში — ყველგან ისმოდა სიმღერა...“ (ყაზბ., გვ. 661); „თავ-თავის აღლაჯს ჩაჯდებოდა ხოლმე — ზოგი ჭაგში, ზოგი მუხის ტოტზე, ზოგი კლდის ნაპრალში და ზოგიც ჭებირ-საფარში...“ (ჯავ., გვ. 221); „სიქემის ზღაპრულ თოვლიან მთებზე, თუ იორდანეს დიდებულ ნაპირთ, თუ ეზდრელონის ლურჯ ზეობაში — სუყველგან შენი ხმა მესმის, რაბი!“ (კალ., გვ. 84);

8. ერთგვარვითარებისგარემოებიანი წინადადება თავისი განმზოგადებელი სიტყვით იშვიათია (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 298): „დამასაფლავეთ ეპოქალურად: ზურნით, თარით, დუღუკით და შოპენის შარშით“.

დროის, მიზეზისა და მიზნის გარემოებებთან განმზოგადებელი სიტყვა არ შეგვხვედრია.

ერთგვარ წევრებსა და განმზოგადებელ სიტყვას შორის შეიძლება განჩნდეს მაიგივებელი კავშირი ან ამ ფუნქციით გამოყენებული ზოგი სხვა სიტყვა (სახელდობრ, მავალითად, როგორიცაა...) მაგ.:

„აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნიფთები, მავალითებრ: ტალახიანი ყარაბადული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალაბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“ (ილია, გვ. 36).

§.III.6. არაერთგვარწევრებიანი წინადადება. 1966 წელს გამოცემულ „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ ლ. კვაჭაძე არაერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებას განიხილავდა ცალკე პარაგრაფში (§. 148) „შერწყმული წინადადების განსაკუთრებული შემთხვევა“ (გვ. 265-266), იმავე წიგნის III გამოცემაში (თბ., 1988) (მეორე გამოცემაში ამ თვალსაზრისით ცვლილება არ ჩანს) აღნიშნული პარაგრაფი სხვა სათაურითაა: „არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება“ (გვ. 260-261). საილუსტრაციო მასალა და მსჯელობა იდენტურია, ოღონდ III გამოცემაში აღნიშნულია, რომ „ვითარების გარემოებისა და პრედიკატული განსაზღვრების ასეთი დაკავშირება უმართებულო ჩანს“ (გვ. 260). რა თქმა უნდა, სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით, თორემ დიალექტებსა და გაბმულ მეტყველებაში ეს ფაქტია.

მეოთხე გამოცემაში (თბ., 1996) უკვე მთლიანი დასახელებაა „შერწყმული (თანწყობილწევრებიანი) წინადადების სინტაქსი“ (გვ. 261) და თავიც (VIII) ისევეა დასათაურებული (იქვე). VIII თავის §. 136 ასე იწყება (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 261):

„შერწყმული ანუ თანწყობილწევრებიანია წინადადება, რომელიც შეიცავს ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულ რამდენიმე ერთმანეთის მიმართ თანწყობილ წევრს. იგი ორგვარია: ერთგვარწევრებიანი და არაერთგვარწევრებიანი“ (გვ. 261). იქვეა სათანადო საილუსტრაციო მასალა და შემდეგაა: „ერთგვარწევრებიანი წინადადება ენაში ფართოდ არის გავრცელებული, არაერთგვარწევრებიანი კი იშვიათად გვხვდება“ (იქვე).

ამიტომაც შერწყმული წინადადების განხილვისას ერთგვარ წევრთა გვერდით გამოყოფენ არაერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებასაც. აღნიშნულია, რომ ერთ საერთო წევრთან დაკავშირებულია რამდენიმე (თანწყობილად შეკავშირებული) სხვადასხვა წევრი, რომლებიც მეერთებელი კავშირით, თუ უკავშიროდ ისე არიან შეერთებული, როგორც 'ერთგვარი წევრები (ლ. კვაჭაძე, 1996, გვ. 299). კერძოდ:

„სადა და როდისა თქრიალს მოიღებს ჭარიო...“ (ვაჟა, I, გვ. 434); „სად და როგორ გამეკეთებინა თხილის ორმოები...“ (ვაჟა, II, გვ. 556); „... რად ბლავის და რას, თვითონაც არ იცის“ (აკაკი, გვ. 446); „... გლებ-კაცობაში ხაიღამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთანა ზნე...“ (ილია,

II); „სად, რისთვის და როდის ეჩქარებოდა ქართველს...“ (ჯავ., გვ. 471); „... სად ვნაბო, როდისა, როგორ?“ (ყაზბ., გვ. 609).

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგვარწევრებიან წინადადებაში გამოყოფენ შემდეგ ჯგუფებს (ვ. იმნაიშვილი, 1988, გვ. 161-163).

ორი სხვადასხვა სახის გარემოება:

„როდის და როგორ მოხერხდება დანაკლისის შევსება“; „რატომ და რისთვის უმზერდნენ ასე დაჟინებით“; „როგორ და როდის მოხდა ეს“;

გარემოება და უბრ. დამატება:

„როდის და ვის მიერ აშენდა ესა თუ ის ხუროთმოძღვრული ძეგლი“; „რით და როგორ დაიწყო უნივერსიტეტის დაარსება“; „უველგან და უველაფერში შეიგრძნობა სრული აპათია“;

ქვემდებარე და გარემოება:

„ვინ და როდის ჩააგონა ასეთი აზრი ანტიოქიის საპატრიარქოს“; „ამგვარ მეთოდებს უველგან და უველანი არ იყენებენ“; „როდის და რა გაგიჭირდათ უველაზე მეტად“;

პირმომართი დამატება და გარემოება:

„რას და როგორ ხედავს უცხოელი ჩვენში“; „კარაქი არაგვის და არასოდეს არ უფუქდება“; „მისი ნახატები ვის ან სად დარჩა“;

ვით. გარემოება და პრედიკატული განსაზღვრება (ლ. კვაქაძე, 1996, გვ. 299):

„ელგუჯა... წყნარად, ჩუმად და პირმოკუმული იქურვებოდა“ (ყაზბ.); „სიფრთხილით და გაჩუმებულნი მიდიოდნენ“ (ყაზბ.); „ის მიდიოდა წყნარად და დაფიქრებული“ (ყაზბ.).

ზემოთ განხილული საილუსტრაციო მასალის მიხედვით, არაერთგვარწევრებიანი შერწყმული წინადადება ქართულში ახალჩამოყალიბებული ჩანს (ლ. კვაქაძე, ვ. იმნაიშვილი). ყოველ შემთხვევაში ამ სახის წინადადებათა აღნუსხვა XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებიდან იწყებს ათვლას და, ამდენად, სპეციალურ ლიტერატურაში გამონათქვამში „... დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო სიახლეა, დღევანდელი ენისავეს დამახასიათებელი თავისებურება“ (ვ. იმნაიშვილი, 1988, გვ. 161), თითქოს რეალურ სურათს ასახავდა.

მაგრამ ძველი ქართული მწერლობის რიგი ნიმუშის არასრულმა

გაცნობამ არაერთგვარწვევებიანი წინადადების ძველად არსებობა ფაქტობრივ დაადასტურა;

„ვისრამიანი“:

ა) უკავშიროდ შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი: „მე ვითა რა მიქნია?“ (გვ. 16)... „აწ ქუეყანასა შიგან რასა ვინ მიზრახავს?“ (გვ. 114)... „მარავს შიგან რა ვინ თქუას ჩემთუის?“ (გვ. 194)...

ბ) უკავშიროდ შეერთებული სამი არაერთგვარი წევრი: „რად ვინ რას მოიჭირებს შენტვის...“ (გვ. 309)...

„ამირანდარეჯანიანი“:

ა) კავშირით შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი: „ვინ ყოფილან ესე ჭაბუჯნი, ანუ რომელსა ეამსა?“ (გვ. 174)...

ბ) უკავშიროდ შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი: „... რა ვის წაელო მას შლილობასა შინა (გვ. 174)...

„ვეფხისტყაოსანი“:

ა) კავშირით შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი: „პატრონი, ნეტარ, სად არის და ვითა?“ (გვ. 168);

ბ) უკავშიროდ შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი: „ვითა ვინ თქვას ქება მათი!“ (გვ. 201)... „სპანი, მისგან დაჭირულნი, ვინმცადა ვით დაგვიჭირნა“ (გვ. 165)... „საჭურქულენი სიმრავლითა რახმცა ვითა დავაგვანენ“ (გვ. 95)... „ჰე, ლომნო, ვისნი ვით მოგთქმენ ენანი!“ (გვ. 186)...

გ) უკავშიროდ შეერთებული სამი არაერთგვარი წევრი: „ხარ დიდი მეფე ინლოთა, რა ვით ვინ მოგაწონოსა!“ (გვ. 132)... „ფრიდონისებრი მოყმენი ვინცა ვით ვინ ეგებიან!“ (გვ. 198)...

„სიბრძნე-სიცრუსა“:

კავშირით შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი: „ვინა ვარ, ან ვის ძეო?“ (გვ. 140).

ანალოგიური სახის წინადადებები დასტურდება ქართულის ზოგ დიალექტშიც:

ფშაური:

კავშირით შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი: „ხალხი რარიგადა და რაის ცხოვრებითა ცხოვრობსო...“ (გვ. 128).

მოხეური:

უკავშიროდ შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი:
„თქვენისთანა კაცისთჳინა აბა როგორ რაიმე უნდა დავზოგათ“
(გვ. 48).

ქიზიყური:

უკავშიროდ შეერთებული ორი არაერთგვარი წევრი:
„მთვრალ კაცს როდის რამ უჭერიანო“ (გვ. 225).

აშკარაა, რომ ამგვარი წინადადებები სათავეს ბევრად უფრო ადრე იღებს, ვიდრე ეს სპეციალურ ლიტერატურაშია წარმოდგენილი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ამ ტიპის წინადადებათა მიღების გზებიც:

1. „... წინადადებაში ერთი და იმავე შემასმენლის რამდენჯერმე გამეორების შემთხვევაში მათი გაცხრილვა და ერთ შემასმენელზე დაყვანა“ (ვ. იმნაიშვილი, 1983, გვ. 160). მაგ.:

„როდის გავაჩერე და რატომ გავაჩერე“ > როდის გავაჩერე და რატომ; როდის დაიბოძბა და რისთვის დაიბოძბა მასპინძელი ქვეყანა“ > როდის დაიბოძბა და რისთვის;

ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი ნიმუშების გვერდით ყველგან დასტურდება ისეთი შემთხვევები, როცა შემასმენელთა გამეორების სახით არაერთგვარ წევრთა მიღების წინა საფეხური ფაქტობრივად წარმოდგენილი (მოგვეყავს მათგან მიღებული არაერთგვარწევრებიანი წინადადებები).

„ამირანდარეჯანი“: „გინა ხარ და ანუ სადაური ხარ?“ (გვ. 115) > „გინ ხარ და ანუ სადაური?“... „გინ ხარ, ანუ რის ჳირისუფალი ხარ?“ (გვ. 12) > „გინ ხარ, ან რის ჳირისუფალიო?“

„გეფხისტყალსანი“: „გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ საქებელო სმენითა!“ (გვ. 182) > გაქო, ვით გაქო, რა, არ საქებელო სმენითა!“

„სიბრძნე-სიცრუისა“: „აქა ვარ და ცოცხალი ვარო“ (გვ. 103) > „აქა ვარ და ცოცხალიო“.

ასევეა ზოგ დიალექტშიც:

გულაძაყრული: „... სად მოკლეს, როგორ მოკლეს...“ (გვ. 89)

> „... სად მოკლეს, როგორ...“

ქიზიყური: „სად იყო, როგორ იყო და ეს თაგვი მაძხვდა ემ

ბოქვაში...“ (გვ. 224) > „სად იყო, როგორ და ეს თავი მაძვდა ემ ბოქვაში...“

აქაც ყველგან ის მდგომარეობაა აღდგენილი, როცა თანწყობილ წინადადებათა შემასმენლის შეკვეცის გზით ვიღებთ არაერთგვარ წევრებს... ამ უკანასკნელთა თანწყობით შეერთება კი, როგორც ამ მცირე მასალის ანალიზიდან ჩანს, ამოსავალი სახის წინადადებისაგან მოსდევს ისტორიულად.

2. მეორე გზად ძველ გრამატიკოსთა — გაიოზ რექტორისა და ს. დოდაშვილის — დარად მიჩნეულია „... მარტივ წინადადებაში გარემოებათა გაუხვება ისე, რომ თავდაპირველი წინადადების შინაარსი უფრო ტყვადი გახდეს, უფრო მეტი ინფორმაციის მომცველი...“ (ვ. იმნაიშვილი, 1983, გვ. 167):

რატომ გააკეთა ეს? → რატომ და რისთვის გააკეთა ეს?

3. უკავშირო მარტივ წინადადებაში ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს შორის კავშირის ჩასმა ან პაუზის გაკეთება (ვ. იმნაიშვილი, 1983, გვ. 168):

წინადადებაში „თითოეულმა ვილნიუსელმა ფეხბურთელმა ზუსტად და შეუტდომლად იცის, როდის და რა გააკეთოს“ როდის და რა გააკეთოს მიღებულია როდის, რა გააკეთოსაგან.

ჩვენ მიერ მოყვანილ ნიმუშებშიც წარმოჩენილია ის საფეხურიც (ე. წ. მესამე გზა ვ. იმნაიშვილთან), როცა არაერთგვარ წევრებთან არც კავშირია გამოყენებული და არც პაუზა იგულისხმება. ასეთ შემთხვევებში, როგორც ითქვა, მძიმე დაისმის ან რომელიმე კავშირი იჩენს ხოლმე თავს. მაგალითად:

„მე ვითა რა მიქნია?“ > მე ვითა და რა მიქნია? შდრ. „რით და როგორ დაიწყო უნივერსიტეტის დაარსება“.

„... აწ ქუეყანასა შინა რასა ვინ მიზრაბავს? > „... აწ ქუეყანასა შიგან რასა და ვინ მიზრაბავს“; შდრ. „ვის რას ერჩოდა“ (მაგალითი ამოღებულია შრომიდან: ვ. იმნაიშვილი, 1983, გვ. 167).

„რად ვინ რაბ მოიჭირვებს შენთვის...“ > რად, ვინ ან რას მოიჭირვებს შენთვის; შდრ. „როდის, ვის და რა დამსახურებისათვის მიენიჭა პირველი ოსტატის წოდება ქართველ მოქალაქე ვაჟთა შორის?“ (ვ. იმნაიშვილი, 1988, გვ. 164) და სხვ.

არაერთგვარწევრებიანი წინადადება გაერთიანებულია შერწყმულ წინადადებაში ავტორთა მიერ (ლ. კვაჭაძე, ვ. იმნაიშვილი) იმის საფუძველზე, რომ არაერთგვარი წევრები ერთმანეთთან კავშირით თუ უკავშიროდ ერთგვარ წევრთა მსგავსად არიან დაკავშირებულნი. ასეთი ტიპის წინადადებებს, მიუხედავად იმისა, რომ არ უპასუხებენ შერწყმული წინადადების ყველა პრინციპს, საერთო მაინც აქვს შერწყმულ წინადადებასთან. კერძოდ, კავშირი ფორმოზოგიური თვალსაზრისით ერთ სინტაქსურ დონეზე აყენებს ერთგვარ და არაერთგვარ წევრებს (ამის შესახებ დაწვრილებით იხ.: ვ. იმნაიშვილი, 1983, გვ. 166-170).

მართალია, აქ ასეთი წევრები ერთგვარ წევრთა განსაზღვრების ერთ-ერთ პირობას ეთანხმებიან (მაერთებელი კავშირით შეუძლიათ ერთმანეთთან დაკავშირება და ერთ საერთო წევრს მიემართებიან), მაგრამ დარღვეულია შერწყმული წინადადების სტრუქტურის გამოყოფის სხვა ძირითადი პრინციპი — შერწყმულია წინადადება, რომელშიც ერთგვარო წევრები მოგვეპოვება, რომლებიც სინტაქსურად ერთი და იგივე წევრია. არაერთგვარწევრებიანი წინადადების შერწყმულად ჩათვლას კი ხელს შეუშლიდა ის გარემოება, რომ ისინი სინტაქსურად სხვადასხვა წევრები ა.

და მაინც, ამასთან დაკავშირებით ვ. იმნაიშვილი აღნიშნავს, რომ არაერთგვარწევრებიანი წინადადებები შერწყმულია, ოღონდ ცვლილებაა შესატანი შერწყმული წინადადების განსაზღვრაში: „შერწყმულია წინადადება, რომელიც შედგება რამდენიმე ერთგვარი ან თანწყობით შეერთებული არაერთგვარი წევრისაგან“ (ვ. იმნაიშვილი, 1983, გვ. 170).

იგივე ფორმულირებაა გამეორებული ვ. იმნაიშვილისავე სტატიისში „კვლავ შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა შესახებ“ (ვ. იმნაიშვილი, 2000, გვ. 192). იქვე ავტორი დასძენს:

„... როდესაც არაერთგვარწევრებიანი შერწყმულ წინადადებას განვიხილავდი, ჩემთვისაც ადვილი არ იყო არაერთგვარი წევრების ერთმანეთთან თანწყობით დაკავშირების საკითხი, რადგან ერთგვარი წევრების ტრადიციული განმარტებით ვიყავი ერთგვარად შებოქილი. მაინც შესაძლებლად ჩავთვალე, რომ „რას და რისთვის წერდა“ ტიპის წინადადებები შერწყმულად მიმეჩნია“ (ვ. იმნაიშვილი, იქვე, გვ. 193).

მაინც სადაა არაერთგვარწევრებიანი წინადადების ადგილი?

მიგვაჩნია, რომ რადგან შერწყმული წინადადება ერთგვარ წევრებს გულისხმობს (ერთგვარ ქვემდებარეებს, შემასმენლებს, დამატებებს და ა. შ.), ამიტომ, ამ უკანასკნელის პრინციპთა თანახმად, არაერთგვარწევრებიანი წინადადების ადგილი აქ არ უნდა იყოს (სწორედ მათი არაერთგვაროვნობის გამო). თუ უფრო თანამიმდევრულნი ვიქნებით, მაშინ ასეთი ტიპის წინადადებებს შეკვეცილი სახის თანწყობილი წინადადება შეიძლება გუწოდოთ:

„სად, რისთვის და როდის ეჩქარებოდა ქართველს...“ < „სად ეჩქარებოდა, რისთვის ეჩქარებოდა და როდის ეჩქარებოდა ქართველს < „სად ეჩქარებოდა ქართველს, რისთვის ეჩქარებოდა ქართველს და როდის ეჩქარებოდა ქართველს.

საქმე აქ აღდგენილ წინადადებათა შემთხვევებში გაშვებულია ასეთი ანგაჟის¹. აღნიშნავენ, რომ გამეორება თხრობის პროცესში გარკვეულწილად გამოხატავს დროის ხანგრძლივობას. ამასთან ერთად, მას სტილისტიკური ფუნქცია ენიჭება (ბ. ლემონჯავა², 1996, გვ. 91; ბ. ლემონჯავა, 1997, გვ. 17-18). ცნობილია ის ფაქტიც, რომ გამეორება ეკონომიის საწინააღმდეგო მოვლენაა (გ. კვარაცხელია, 1990, გვ. 231), რაც ხაზგასმით მიგვანიშნებს მის ექსპრესიულ ფუნქციაზე და გაბმულ მეტყველებაში ხშირად დაჩნდება ხოლმე.

ეს³ და ზოგი ანალოგიური საკითხი ექსპრესიული სინტაქსის თვალსაზრისითაა ყურადსაღები.

ამ ფუნქციით ძირითადად შემასმენლები გამოირჩევიან. რადგან არაერთგვარი წევრები სწორედ შემასმენელს მიემართებიან, ბუნებრივია, ეს მოვლენა არაერთგვარწევრებიან წინადადებაშიც აისახა. ჩანს, რომ ზემოთ მოყვანილი არაერთგვარწევრებიანი წინადადებები გაბმულ მეტყველებაში გამეორების შემდეგ ეკონომიის შედეგად მიღებული, ერთი შეხედვით შერწყმული, მაგრამ, ფაქტობრივ, შეკვეცილი სახის

¹ რომელიც დამახასიათებელია როგორც ამა თუ იმ მწერლის სტილისათვის (ე. კობორიძე, 1981, გვ. 31-38), ასევე ლიტერატურული მეტყველებისათვის (დ. ჩხუბიანიშვილი, 1991, გვ. 117-124).

² ასეთივე სურათი ჩანს ზანურ ენაშიც (დაწვრილებით იხ.: ბ. ლემონჯავა, 1996; ბ. ლემონჯავა, 1997ა, გვ. 18).

³ ლ. ენუქიძის თვალსაზრისით, ასეთი სახის გამეორება ჩნდება მაშინ, როცა მეტყველი ფიქრობს, რომ მსმენელმა უკვე დაივიწყა ადრე ნათქვამი და ცდილობს აღადგინოს იგი მსმენელის მეხსიერებაში (ლ. ენუქიძე, 1987, გვ. 121).

თანწყობილი წინადადებებია. სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ, როცა შეკვეცის შემდეგ არაერთგვარ წევრებს ვიღებთ, მაშინ შეკვეცილი სახის თანწყობილი წინადადება, ხოლო როცა ამის შემდეგად ერთგვარი წევრები რჩება — შერწყმული.

დასკვნა-განზოგადებანი

1. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ანტონ I-დან დაწყებული, შერწყმული წინადადების ზოგი სახე ფაქტობრივ შემჩნეულია, თუმცა მისი დამოუკიდებლად, ცალკე გამოყოფა არ მომხდარა.

მართალია, შერწყმულ წინადადებას ხან მარტივ, ხან თანწყობილ წინადადებას აკუთვნებენ, ხანაც — ქვეწყობილსაც, მაგრამ შერწყმული წინადადების დამახასიათებელი ნიშნები სხვადასხვა ავტორთან ჩამოთვლილია; შერწყმული წინადადების სინონიმურ სახელწოდებებად გვხვდება: გაერთებული, შეერთებული, შერთული...

2. ტერმინ **შერწყმული** წინადადების გავრცელება ქართულში ა. შანიძის სახელთანაა დაკავშირებული და წარმომავლობის თვალსაზრისითაა გამართლებული: მაგ.: რთული თანწყობილი წინადადებიდან შერწყმულის მიღება თანწყობილ წინადადებათა წევრების ეკონომიის გზით (რისი ნიმუშებიც ძველ ქართულსა და ქართულის დიალექტებშიცაა). ამას მხარს უჭერს შერწყმულსა და თანწყობილ წინადადებებში გამოყენებული ერთი და იგივე კავშირებიც.

3. შერწყმული წინადადების განსაზღვრისას ერთგვარ წევრთა დადგენის კრიტერიუმია მთავარი: ისინი ფუნქციურად და სტრუქტურულად იდენტური უნდა იყვნენ (თ. უთურგაიძე). ამის გათვალისწინებით ერთგვარ წევრებს უნდა ჰქონდეთ:

- ა) ერთი და იგივე სინტაქსური ფუნქცია;
- ბ) ერთნაირი სინტაქსური მიმართება საერთო წევრთან (რომელიც მორფოლოგიურადაც ერთნაირად რეალიზდება);
- გ) ერთგვარ წევრთა ერთმანეთთან თანწყობით დაკავშირება (უკავშიროდ ან კავშირით);

დ) ერთი და იმავე ნიშან-თვისების (სემანტიკური მიმართების) გამოხატვა.

4. შერწყმული წინადადება ერთგვარ წევრთა ფუნქციის მიხედვით შეიძლება იყოს:

ა) ერთგვარქვემდებარიანი;

ბ) ერთგვარშემასმენლიანი;

გ) ერთგვარდამატებიანი (ერთგვარი პირდაპირი დამატებები, ერთგვარი ირიბი დამატებები, ერთგვარი უბრალო დამატებები);

დ) ერთგვარგანსაზღვრებიანი (ატრიბუტული, სუბსტანტიური, პრედიკატული);

ე) ერთგვარგარემოებიანი (ადგილისა, დროისა, ვითარებისა და ა. შ.);

ვ) ნარევი.

5. ერთგვარ წევრთა შეერთება შერწყმულ წინადადებაში შეიძლება იყოს: კავშირიანი (სინდეტური) და უკავშირო (ასიდენტური), ან ორივე ერთად — კავშირიცა და პაუზაც.

კავშირებად შერწყმულ წინადადებაში გამოყენებულია იგივე კავშირები, რაც თანწყობილ წინადადებებში გვხვდება: ა) მაჭგუფებელი (და, თუ, ც-ც, არც-არც, ვერც-ვერც, ნურც-ნურც, აღარც-აღარც, კიდევც-კიდევც, როგორც ისე, არამარტო-არამედ, არათუ-არამედ); ბ) მალკევებელი (ხან-ხან, ან-ან, გინდ-გინდ, თუნდ-თუნდ); გ) მაპირისპირებელი (მაგრამ, ხოლო, კი, ოღონდ, თუმცა).

6. ერთგვარქვემდებარიან შერწყმულ წინადადებაში ყველა ქვემდებარე ერთსა და იმავე ბრუნვაშია: გარდამავალი ზმნით გადმოცემული შემასმენელი მათ მართავს სახელობით, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში, ო რ პ ი რ ი ა ნ ი გარდაუვალი ზმნით გამოხატული შემასმენელი — სახელობითში; იმავედროულად ერთგვარი ქვემდებარეები მართავენ ზმნა-შემასმენელს პირში (ან ითანხმებენ რიცხვში ერთდროულად). მაშასადამე, ასეთ შემთხვევებში ზმნა-შემასმენელსა და ერთგვარ ქვემდებარეებს შორის კ ო ო რ დ ი ნ ა ც ი უ ლ ი ურთიერთობაა.

თუ ზმნა-შემასმენელი ერთპირიანი გარდაუვალი ზმნითაა გადმოცემული, მასთან მდგომი ერთგვარი ქვემდებარეები მართავენ

ზმნა-შემასმენელს პირში (ითანხმებენ რიცხვში). აქ უკვე ს უ ბ ო რ - დ ი ნ ა ც ი უ ლ ი დამოკიდებულებაა ზმნა-შემასმენელსა და ერთგვარ ქვემდებარეებს შორის.

ასეთ წინადადებაში ერთგვარი ქვემდებარეები შეიძლება ზმნა-შემასმენელს მოსდევდეს, ან წინ უსწრებდეს, ან კიდევ ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ქვემდებარეებს შორის იყოს.

7. ტრადიციულად ქართულ სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებას მხოლოდ ერთი საერთო ქვემდებარის გარშემო აჯგუფებენ. ქართული ზმნის ბუნებიდან ამოსვლით (მისი პოლიპერსონალიზმის გამო) კი აქ საჭიროა ცალ-ცალკე გამოიყოს და დაჯგუფდეს: ა) სუბორდინაციული მოვლენები (როცა ზმნა-შემასმენელი ერთპირიანია და მართულია სახელის მიერ პირში, ზოგჯერ შეთანხმებულიცაა რიცხვში), ბ) კოორდინაციული მოვლენები (როცა ზმნა-შემასმენელი ორ- და სამპირიანი ზმნითაა გადმოცემული, მაშინ იგი მართავს სახელს ბრუნვაში და თვითაა მართული სახელის მიერ პირში, ზოგჯერ შეთანხმებულიცაა რიცხვში).

8. რაკი ქართულის პოლიპერსონალურ ზმნაში საერთო პირდაპირი და ირიბი დამატება-ობიექტები არსებითად იმავე სინტაქსური უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც ქვემდებარე, ამიტომაც ერთგვარშემასმენლიანი წინადადება განსახილველია არა მხოლოდ ერთ საერთო ქვემდებარესთან, არამედ მიმართებაში ერთ საერთო პირდაპირ და ირიბ დამატება-ობიექტებთანაც: 1) ერთგვარი შემასმენლები ერთ საერთო პირდაპირ დამატება-ობიექტთან, 2) ერთგვარი შემასმენლები ერთ საერთო ირიბ დამატება-ობიექტთან (რ. ჭიკაძე, გ. ბურჭულაძე).

9. ნაშრომში ცალკეა წარმოდგენილი ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შედგენილობა მთავარ და მეორეხარისხოვან წევრთა მიხედვით. აი, მაგალითად: რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და პირდაპირ დამატებასთან ერთად; რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და უბრალო დამატებასთან; რამდენიმე შემასმენელი ერთ საერთო ქვემდებარესა და სხვადასხვა გარემოებებთან და სხვ.

10. პირდაპირდამატებიან შერწყმულ წინადადებაში გარდამავალი ზმნით გადმოცემული ზმნა-შემასმენლები მართავენ პირდაპირ დამატე-

ბებს ბრუნვაში (სახელობითში II და III სერიის ფორმებთან, მიცემითში I სერიის ფორმებთან), ხოლო თვით პირდაპირ დამატებებს შეუძლიათ ზმნა-შემასმენლები პირში მართონ (ან ერთდროულად ითანხმებენ რიცხვში); პირდაპირი დამატებები ზმნა-შემასმენლებს შეიძლება მოსდევდეს ან წინ უსწრებდეს, ან კიდევ ზმნა-შემასმენელი ერთგვარ პირდაპირ დამატებებს შორის იყოს.

11. ირიბდამატებიან შერწყმულ წინადადებაში ორპირიანი გარდაუვალი ზმნით გადმოცემული შემასმენელი ირიბ დამატებებს მართავს მიცემით ბრუნვაში სამსავე სერიის ფორმებში, ხოლო გარდამავალი საპირიანი ზმნით გადმოცემული შემასმენელი — I და II სერიის ფორმებთან (III სერიაში ისინი უბრალო დამატებებად იქცევიან). თავად ირიბი დამატებები კი ზმნა-შემასმენელს მართავენ პირში (ან ერთდროულად ითანხმებენ რიცხვში); მათი ადგილი ზმნა-შემასმენელთან თავისუფალია: ისინი ზმნა-შემასმენელს მოსდევენ, ან წინ უსწრებენ, ან კიდევ ზმნა-შემასმენელი ერთგვარ ირიბ დამატებებს შორის არის.

12. უბრალოდამატებიან შერწყმული წინადადების დამახასიათებელია ის, რომ ყველა ერთგვარი შინაარსის უბრალო დამატება დაკავშირებული უნდა იყოს ერთსა და იმავე წევრთან. ამ სახის შერწყმულ წინადადებაში უბრალო დამატებები გვხვდება მიცემით, ნათესაობით, მოქმედებითსა და ვითარებით (თანდებულობით ან უთანდებულობით) ბრუნვებში. უბრალო დამატებები მოქმედებით ბრუნვაში შეიძლება იყოს საჭურვლისა და თანაობისა.

უბრალო დამატებანი, ზმნა-შემასმენელთანაა იგი თუ ნაზმნარ სახელთან, მართულია ბრუნვაში ამ უკანასკნელთა მიერ. ოღონდ თვით უბრალო დამატებები ზმნა-შემასმენელს ვერც მართავენ პირში და ვერც ითანხმებენ რიცხვში. ერთგვარი უბრალო დამატებები ზმნა-შემასმენელს (ან ნაზმნარ სახელს) წინ უსწრებენ, ან მოსდევენ, ან კიდევ ზმნა-შემასმენელი ერთგვარ უბრალო დამატებებს შორის არის.

13. ერთგვარგანსაზღვრებიან შერწყმულ წინადადებაში გამოსაყოფია: 1. ატრიბუტული, 2. სუბსტანტიური, 3. პრედიკატული ერთგვარი განსაზღვრებები. ამათგან:

1) ერთგვარი ატრიბუტული განსაზღვრებები ეთანხმებიან ბრუნვაში (სახელობითში, მოთხრობითში, მიცემითში, ნათესაობითში, მოქმე-

დებითსა და ვითარებითში — სრულად ან ნაწილობრივ) სახელით გამოხატულ საზღვრულ წევრს.

2) ერთგვარი სუბსტანტიური განსაზღვრებანი ა) მართულია ნათესაობით ბრუნვაში, ბ) მართულ-შეთანხმებული (თუ სუბსტანტიური განსაზღვრება მოსდევს თავის საზღვრულ წევრს) ნათესაობით-მოთხრობითში, ნათესაობით-მიცემითში...

გვხვდება ურთიერთგანმსაზღვრელი სუბსტანტიური წევრები, რომლებიც ერთგვარ წევრებად არ ჩაითვლება: „ეს მოხდა რომელიღაც თანამშრომლის ბავშვის დაბადების დღეზე“ (ფანჯ.).

გ) ერთგვარი პრედიკატული განსაზღვრებანი წყვილში შედიან ზმნა-შემასმენელთან, მაგრამ დაკავშირებულნი არიან სახელთანაც (ქვემდებარესთან ან დამატებასთან) — შეთანხმებული არიან მასთან სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში.

ერთგვარი განსაზღვრებები შეიძლება საზღვრულ წევრს წინ უსწრებდეს, ან მოსდევდეს, ან კიდევ საზღვრული სახელი ერთგვარ განსაზღვრებებს შორის იყოს.

14. ერთგვარგარემოებიან წინადადებათაგან გამოსაყოფია რამდენიმე: 1. ადგილის, 2. დროის, 3. ვითარების, 4. მიზეზის, 5. მიზნის ერთგვარი გარემოებანი. ისინი (ზმნიზედით თუ მასთან გათანაბრებული სახელით გადმოცემულნი) მიერთვიან ზმნა-შემასმენელს ან სახელზმნას.

ერთგვარი გარემოებანი ვერ მართავენ ზმნა-შემასმენელს პირში (ვერ ითანხმებენ რიცხვში), ისინი ზმნა-შემასმენელს შეიძლება წინ უსწრებდნენ, ან მოსდევდნენ, ან კიდევ ზმნა-შემასმენელი ერთგვარ გარემოებებს შორის იყოს.

15. ნარევი (შერეული) სახის შერწყმულ წინადადებაში ორი ან მეტი წყებაა ერთგვარი წევრებისა წარმოდგენილი (შრომაში ასეთი სახის 25 ვარიანტია ნარევი წინადადებისა, რაც, რა თქმა უნდა, ვერ ამოწურავს ასეთ წინადადებათა რაოდენობას). ამათგან შეგვხვდა: ერთგვარ შემასმენლებთან ერთად ერთგვარი ა) ქვემდებარეები, ბ) პირდაპირი დამატებები, გ) ირიბი დამატებანი, დ) უბრალო დამატებები, ე) განსაზღვრებები, ვ) ადგილის გარემოებანი, ზ) დროის გარემოებანი... ერთგვარ ქვემდებარეებთან ერთგვარი ა) პირდაპირი დამატებანი, ბ) ირიბი დამატებანი, გ) უბრალო დამატებანი, დ) განსაზღვრებები, ე) ვითა-

რების გარემოებები, ვ) ადგილის გარემოებები... ერთგვარ პირდაპირ დამატებებთან ერთად ერთგვარი ა) განსაზღვრებები, ბ) უბრალო დამატებები, გ) დროის გარემოებები, დ) მიზნის გარემოებები... ერთგვარ ირიბ დამატებებთან ერთად ერთგვარი ა) განსაზღვრებები, ბ) ადგილის გარემოებანი... და სხვ.

ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როცა ერთგვარ წევრთა სამი ან ოთხი წყებაა მოცემული და სხვ.

16. ერთგვარი წევრები და მათი განმაზოგადებელი (გამაერთიანებელი) სიტყვა ერთსა და იმავე სინტაქსურ ფუნქციას ასრულებენ (ერთსა და იმავე კითხვაზეც პასუხობენ); ასეთი სიტყვები გვხვდება სხვადასხვა სახის ერთგვარ წევრებთან (ერთგვარ ქვემდებარებთან, შემასმენლებთან, პირდაპირ, ირიბ და უბრალო დამატებებთან, განსაზღვრებებთან თუ გარემოებებთან).

17. ერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებათა გვერდით გამოყოფენ არაერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებასაც: ა) ორი სხვადასხვა სახის გარემოება, ბ) გარემოება და უბრალო დამატება, გ) ქვემდებარე და გარემოება; დ) პირმიმართი დამატება და გარემოება, ე) ვითარების გარემოება და პრედიკატული განსაზღვრება... (ლ. კვაჭაძე, ვ. იმნაიშვილი).

18. არაერთგვარწევრებიანი წინადადების შერწყმულ წინადადებად მიჩნევა არაა გამართლებული, რადგან:

ა) ასეთი წევრების სინტაქსური ფუნქცია სხვადასხვაა;

ბ) ამ სახის წინადადება მიღებულია თანწყობილი წინადადების შეკვეცით, რის შედეგად ვიღებთ არაერთგვარ წევრებს (შდრ. თანწყობილი წინადადების შეკვეცის შედეგად მიღებული ერთგვარი წევრები, რაც შერწყმული წინადადების საფუძველია).

საილუსტრაციო მასალის წყარო

1. აკაკი — აკაკი წერეთელი, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი II, თბ., 1989.
2. ამირანდარეჯანიანი — მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, თბ., 1969.
3. ასათ. — ლადო ასათიანი, ერთტომეული, თბ., 1979.
4. გამს. — კონსტანტინე გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტომი I, თბ., 1958.
5. გოგებ. — იაკობ გოგებაშვილი, საგანძური, წიგნი I, თბ., 1982.
6. ვაჟა, I — ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ორ ტომად, ტომი I, თბ., 1979.
7. ვაჟა, II — ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ორ ტომად, ტომი II, თბ., 1979.
8. ვისრამიანი — ძველი ქართული მხატვრული მწერლობა, მეორე გამოცემა, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ტფ., 1938.
9. კალ. — ანა კალანდაძე, რჩეული, თბ., 1976.
10. ნინოშ. — ეგნატე ნინოშვილი, ჩვენი საუნჯე, 13, თბ., 1961.
11. საბა — სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე-სიცრუისა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1986.
12. შოთა — შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1975.
13. ფანჯ. — გურამ ფანჯიკიძე, რჩეული თხზულებანი სამ ტომად, ტომი I, თბ., 1986.
14. ქეგლ, I — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი I, თბ., 1950.
15. ქეგლ, II — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი II, თბ., 1951.
16. ქეგლ, III — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი III, თბ., 1953.
17. ქეგლ, IV — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი IV, თბ., 1955.

18. ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი, ქართული პროზა, წიგნი XI, თბ., 1986.
19. ქავკ. — ილია ქავკავაძე, თხზულებანი, თბ., 1984.
20. ქავკ. II — ილია ქავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი II, თბ., 1988.
21. კილ. — ოთარ კილაძე, რჩეული თხზულებანი, ტომი I, თბ., 1986.
22. ჯავ. — მიხეილ ჯავახიშვილი, არსენა მარაბდელი, თბ., 1969.
23. ჯავ. I — მიხეილ ჯავახიშვილი, ჯაყოს ზიზნები. თეთრი საყელო. გივი შადური., თბ., 1985.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანტონ I, 1997 — ანტონ პირველი ბაგრატიონი, ქართული გრამატიკა, მეორე რედაქცია — 1767, ე. ბაბუნაშვილის რედაქციით, თბ., 1997.
2. გ. ახვლედიანი, 1949 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949.
3. გ. ახვლედიანი, 1999 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
4. ე. ბაბუნაშვილი, 1970 — ე. ბაბუნაშვილი, ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
5. ბ. ბათიაშვილი, 1977 — ბ. ბათიაშვილი, შერწყმული წინადადების სწავლებასთან დაკავშირებით შესწავლილი მასალის გამეორება, კრ.-ში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, თბ., 1977.
6. ნ. ბასილაია, 1991 — ნ. ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991.
7. გ. ბურჭულაძე, 1974 — გ. ბურჭულაძე, შერწყმული წინადადების სახეობათა კლასიფიკაციისათვის ქართულში, გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, №2(10809), 1974.
8. გ. ბურჭულაძე, 1975 — გ. ბურჭულაძე, წინადადებათა შერწყმა პირმომართ დამატებათა მიხედვით ახალ ქართულში, კრ.-ში: ფილოლოგია, I, თბ., 1975.
9. გ. ბურჭულაძე, 1979 — გ. ბურჭულაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ ქართულში. — არნ. ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1979.
10. გ. ბურჭულაძე, 1990 — გ. ბურჭულაძე, სახელიანობა და პირიანობა ზმნისა, იკე, XXIX, თბ., 1990.
11. გ. ბურჭულაძე, 1991 — გ. ბურჭულაძე, ზმნის რიცხვში შინაარსობლივი შეთანხმებისათვის ქართული ენის ზოგ დიალექტში, დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991.
12. თ. ბურჭულაძე, 1998 — თ. ბურჭულაძე, შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა გაგებისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, VII,

- თბ., 1998.
13. თ. ბურკულაძე, 1999 — თ. ბურკულაძე, ერთგვარ განსაზღვრებათა გაგებისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.
 14. თ. ბურკულაძე, 1999ა — თ. ბურკულაძე, ერთი სახის ურთიერთგანმსაზღვრელ წევრთა შესახებ, საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999.
 15. თ. ბურკულაძე, 2000 — თ. ბურკულაძე, არაერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებათა შესახებ, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XI, მასალები, თბ., 2000.
 16. თ. ბურკულაძე, 2000ა — თ. ბურკულაძე, არაერთგვარწევრებიან შერწყმულ წინადადებათა ისტორიისათვის, XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000.
 17. გაიოზ რექტორი, 1970 — გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბ., 1970.
 18. თ. გამყრელიძე, 1979 — თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“. — საენათმეცნიერო კრებული, მიძღვნილი გ. მაჭავარიანის ხსოვნისადმი დაბადების 50 წლისთავზე, თბ., 1979.
 19. ი. გიგინეიშვილი, 1984 — ი. გიგინეიშვილი, პოსტპოზიციური მართული მსაზღვრელი ახალი ქართული ლექსის ენაში. — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეექვსე, თბ., 1984.
 20. ა. დავითიანი, 1973 — ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.
 21. ს. დოდაშვილი, 1830 — ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, ტფილისი, 1830.
 22. ლ. ენუქიძე, 1967 — ლ. ენუქიძე, ბირთვული წინადადება ქართულში. — თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, II, თბ., 1967.
 23. ლ. ენუქიძე, 1974 — ლ. ენუქიძე, ზმნის ვალენტობისა და პირიანობის მიმართების საკითხისათვის ქართულში. — თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, IV, თბ., 1974.
 24. ლ. ენუქიძე, 1987 — ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987.

25. მ. თალაკვაძე, 1959 — მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდთმცოდნეობა, თბ., 1959.
26. ვ. თოფურია, 1923 — ვ. თოფურია, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით. — სამეცნიერო კრებული: ჩვენი მეცნიერება, ტფილისი, 1923.
27. ვ. თოფურია, 1965 — ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965.
28. ვ. თოფურია, 1967 — ვ. თოფურია, ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები. — ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, თბ., 1967.
29. ვ. იმნაიშვილი, 1988 — ვ. იმნაიშვილი, შერწყმული წინადადების ერთი სახეობისათვის. — ბალავერი, 4-6, თბ., 1988.
30. ვ. იმნაიშვილი, 2000 — ვ. იმნაიშვილი, კვლავ შერწყმული წინადადების ერთგვარ წევრთა შესახებ. — საენათმეცნიერო ძიებანი, X, თბ., 2000.
31. პლ. იოსელიანი, 1863 — პლ. იოსელიანი, პირატულ-დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამატიკისა, აღბეჭდილი მესამედ ქ. თფილისს, 1863.
32. ც. კალაძე, 1961 — ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
33. ლ. კვანტალიანი, 1990 — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990.
34. ლ. კვანტალიანი, 1990 — ლ. კვანტალიანი, რთული წინადადების შესწავლის ისტორიიდან, იკე, XXIX, თბ., 1990.
35. ლ. კვანტალიანი, 1993 — ლ. კვანტალიანი, ქართული ენის სინტაქსის შესწავლის ისტორია (XVIII-XX სს. 30-40-იანი წლები). — იკე, XXXII, თბ., 1993.
36. გ. კვარაცხელია, 1990 — გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.
37. ლ. კვაჭაძე, 1950 — ლ. კვაჭაძე, რთული წინადადების სწავლების მეთოდთმცოდნეობა, თბ., 1950.
38. ლ. კვაჭაძე, 1966 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966.

39. ლ. კვაჭაძე, 1988 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მესამე გამოცემა, თბ., 1988.
40. ლ. კვაჭაძე, 1996 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეოთხე შევსებული გამოცემა, თბ., 1996.
41. ლ. კვაჭაძე, 1999 — ლ. კვაჭაძე, პრედიკატული განსაზღვრება ძველ ქართულში. — ენათმეცნიერების საკითხები, 4, თბ., 1999.
42. ა. კიზირია, 1953 — ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ქართულში, იკე, IV, თბ., 1953.
43. ა. კიზირია, 1963— ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
44. ა. კიზირია, 1969 — ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1969.
45. ა. კიზირია, 1982 — ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.
46. ა. კიზირია, 1997 — ა. კიზირია, ნარკვევები ქართული ენის შესწავლის ისტორიიდან, თბ., 1997.
47. ე. კოშორიძე, 1981 — ე. კოშორიძე, რ. ინანიშვილის ენის ზოგი თავისებურება. — ქართული მეტყველების კულტურის საკითხები, IV, თბ., 1981.
48. ე. კოშორიძე, 1985 — ე. კოშორიძე, კვლავ ერთი სადავო საკითხის გამო. — ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, თბ., 1985, 1-2.
49. ბ. ლემონჯავა, 1996 — ბ. ლემონჯავა, სიტყვის გამეორება ზანური ენის შერწყმულ წინადადებაში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბ., 1996.
50. ბ. ლემონჯავა, 1996ა — ბ. ლემონჯავა, შერწყმული წინადადების ერთი თავისებურებისათვის ზანურში ქართულთან მიმართებით. — ქართველური მეგვიდრეობა, I, ქუთაისი, 1996.
51. ბ. ლემონჯავა, 1997 — ბ. ლემონჯავა, შერწყმული წინადადება ზანურში ქართულთან მიმართებით, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997.
52. ბ. ლემონჯავა, 1997ა — ბ. ლემონჯავა, შერწყმული წინადადების ერთი თავისებურების შესახებ ზანურში. — საენათმეცნიერო ძიება-

- ნი, V, თბ., 1997.
53. ლ. ლეჟავა, 1959 — ლ. ლეჟავა, ქართული ანდაზების ენა. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ., 1959.
 54. ლ. ლეჟავა, 1970 — ლ. ლეჟავა, მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში. — თანამედროვე ქართული ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.
 55. ლ. ლეჟავა, 1972 — ლ. ლეჟავა, მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრელიან შესიტყვებაში. — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი I, თბ., 1972.
 56. ი.ნიკოლაიშვილი, 1919 — ი. ნიკოლაიშვილი, ქართული მოკლე გრამატიკა, მეოთხე შესწორებული გამოცემა, 1919.
 57. ი.ნიკოლაიშვილი, 1928 — ი. ნიკოლაიშვილი, ქართული გრამატიკა, მეშვიდე გამოცემა, 1928.
 58. ე.ნიკოლაიშვილი, 1970 — ე. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა, წგ.-ში: გაიოზ რექტორი, ქართული ღრამატიკა, თბ., 1970.
 59. თ. ჟორდანი, 1889 — თ. ჟორდანი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1889.
 60. გ. როგავა, 1948 — გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში. — ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, ქუთაისი, 1948.
 61. გ. როგავა, ზ. კერაშევა, 1966 — Г. Р. Рогова, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар 1966 Майкоп.
 62. გ. როგავა, 1980 — გ. როგავა, ვ. თოფურიას სინტაქსური ანალიზის კანონი, იკე, XXII, თბ., 1980.
 63. ზ. სარჯველაძე, 1997 — ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
 64. ლ. ტენიერი, 1988 — Л. Теньер, Основы структурного синтаксиса, Москва, 1988.
 65. თ. უთურგაიძე, 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.
 66. თ. უთურგაიძე, 1986 — თ. უთურგაიძე, ქართული სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

67. თ. უთურგაიძე, 1999 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999..
68. თ. უთურგაიძე, 2000 — თ. უთურგაიძე, პირდაპირ და ირიბ ობიექტთა დიაქრონიული მიმართებისათვის. — არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, მასალები, თბ., 2000
69. თ. უთურგაიძე — ახალი ქართული ენა, — ლექციების კურსი წაკითხული თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე 1993-1996 წლებში.
70. ე.ფეიქრიშვილი, 1996 — ე. ფეიქრიშვილი, ქართული ენის სინტაქსი, ქუთაისი, 1996.
71. ლ. ქანთარია, 1956 — ლ. ქანთარია, მსაზღვრელის ადგილი რამდენიმე მსაზღვრელიან წინადადებაში. — სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, თბ., 1956.
72. ქართული დიალექტოლოგია, 1961 — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
73. არ.ქუთათელაძე, 1888 — არ. ქუთათელაძე, პირველ-დაწყებითი ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1888.
74. შ. ქურაძე, 1999 — შ. ქურაძე, ზეპირი შეტყვევებისა და გამოშეტყვევებითი კითხვის საკითხები, თბ., 1999.
75. ა. ლლონტი, 1975 — ა. ლლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1975.
76. უ. ყორღანაშვილი, 1982 — უ. ყორღანაშვილი, შერწყმული წინადადების სწავლების ერთი საკითხისათვის. — ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №1, თბ., 1982.
77. ა. შანიძე, 1948 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII-VIII კლასებისათვის, თბ., 1948.
78. ა. შანიძე, 1948ა — ა. შანიძე, წინასიტყვაობა, წიგნში: ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, სახელმძღვანელო VII-VIII კლასებისათვის, თბ., 1948.
79. ა. შანიძე, 1955 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, VII-VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1955.
80. ა. შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი, III ტ., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980.

81. ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, 1987 — ქართული ენა, VII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1987.
82. თ. შარაძენიძე, 1939 — თ. შარაძენიძე, „ვით“ თანდებული ქართულში, თსუ-ს შრომები, X, პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ., 1939.
83. თ. შარაძენიძე, 1956 — თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში. — სახელის ბრუნვების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, თბ., 1956.
84. არნ. ჩიქობავა, 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დაბასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტომი I, თბ., 1950.
85. არნ. ჩიქობავა, 1952 — არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952.
86. არნ. ჩიქობავა, 1968 — არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, მეორე გამოცემა, თბ., 1968.
87. არნ. ჩიქობავა, 1977 — А. С. Чикобава, К вопросу о синтаксисе некоторых особенностях предикативной синтагмы в иберийско-кавказских языках: Вопросы синтаксического строя иберийско-кавказских языков. Нальчик, 1977.
88. არნ. ჩიქობავა, 1981 — არნ. ჩიქობავა, თურქობითი: გარდამავლობის საკითხი, უნებურობა, რევერსია, XXXVII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1981.
89. არნ. ჩიქობავა, 1998 — არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? თბ., 1998.
90. არნ. ჩიქობავა, 1998ა — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დაბასიათება, თბ., 1998.
91. დ. ჩხუბიანაშვილი, 1966 — დ. ჩხუბიანაშვილი, „მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის“, (გამოქვეყნებული ქ. მონთობანს 1877 წ.), იკე, XI, თბ., 1966.
92. დ. ჩხუბიანაშვილი, 1991 — დ. ჩხუბიანაშვილი, გამეორება დიალექტურ მეტყველებაში. — დიალექტოლოგიური კრებული, თბ., 1991.
93. ნ. ცქიტიშვილი, 1983 — ნ. ცქიტიშვილი, დანართის ძირითადი

- სტილისტიკური ფუნქციები და მართლწერასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი, კრ.-ში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი V, თბ., 1983.
94. შ. ძიძიგური, 1989 — შ. ძიძიგური, რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში, თბ., 1989.
95. კ. წერეთელი, 1954 — კ. წერეთელი, პარანომაზია ქართულში, იკე, VI, თბ., 1954.
96. ლ. წულაძე, 1963 — ლ. წულაძე, შერწყმული წინადადების სწავლება სკოლაში, თბ., 1963.
97. რ. ჭიკაძე, 1868 — რ. ჭიკაძე, წინადადების აგებულების საკითხისათვის ქართულში (ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების მაგალითზე). — თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის XXIII სამეცნიერო სესია, თეზისები, 1968.
98. რ. ჭიკაძე, 1984 — რ. ჭიკაძე, ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების სტრუქტურული თავისებურება ქართულში. — ქართული ენა, წერილების კრებული, თბ., 1984.
99. რ. ჭიკაძე, 1995 — რ. ჭიკაძე, წინადადების პარატაქსული კონსტრუქცია ქართულში, თბ., 1995.
100. ს. ხუნდაძე, 1915—ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, თბ., 1915.
101. ს. ხუნდაძე, 1927—ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, თბ., 1927.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	3
1. შერწყმული წინადადების რაობა (ზოგადად)	3
2. შერწყმული წინადადების შესწავლის ისტორიისათვის	4
3. გზა შერწყმულ წინადადებად	20
თავი I	25
§.I.1. ერთგვარი წევრების რაობა	25
§.I.2. შერწყმული წინადადების ტიპები (ზოგადად)	36
§.I.3. ერთგვარ წევრთა შეერთების საშუალებანი	40
თავი II	54
§.II.1. ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადება	54
§.II.2. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადება	62
§.II.3. ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადების შედგენილობა მთავარ და მეორეხარისხოვან წევრთა მიხედვით	73
§.II.4. პირდაპირდამატებებიანი შერწყმული წინადადება	79
§.II.5. ირიბდამატებებიანი შერწყმული წინადადება	81
თავი III	85
§.III.1. უბრალოდამატებებიანი შერწყმული წინადადება	85
§.III.2. ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება	93
§.III.3. ერთგვარგარემოებიანი წინადადებანი	104
§.III.4. ნარევი სახის შერწყმული წინადადება	114
§.III.5. განმაზოგადებელი სიტყვები ერთგვარ წევრებთან	118
§.III.6. არაერთგვარწევრებიანი წინადადება	122
დასკვნა-განზოგადებანი	129
საილუსტრაციო მასალის წყარო	135
დამოწმებული ლიტერატურა	137

ტექნიკური რედაქტორი ლ. ვაშაკიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა რ. რატიანისა

ფასი სახელშეკრულებო

გირაჟი 100